



This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) in partnership with the [Georgian National Museum](#).

- Author: Gogadze, E. / გოგაძე, ე. / Гогадзе, Е. М.
- Title: კოლხურის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა / культура поселений колхида епохи бронзы и позднего железа
- Publication Date: 1982
- Publisher: Georgian National Museum, Georgian National Academy of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_dde2833b1f

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

ନ୍ରୀପାଜାର ପ୍ଲଟିଚେ

କମ୍ପୁଟର
ଫୋନ୍‌ଟାଇପିଂ
ପ୍ରିଣ୍ଟିଂ
ଡିଜିଟଲ
ପାର୍ସିଙ୍ ଏବଂ
କର୍ମକାରୀ
ପାଇଁ



ଶୁଭକାମନା

WE-4296

საქართველოს სსრ მიცნობილი განათლების
აკად. ს. ჯანაშვილის სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ელგუჯა გოგაძე

კოლექტის ბრინჯაოსა და აღრეული
რპინის ხანის ნამოსახლართა
კულტურა

(ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით)

2011



გამოშევამლობა „მიცნობილი“

თბილისი

1982



902 . 6 (G 41)
ББК 63 . 4 (2 Г)
902 . 6 (47 . 922)

გ 59

ნაშრომში განხილულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსირი-მუსეუმის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ცხაკაიასა და გეგეჭყორის რაიონებში გათხრილი ბრინჯაოსა და აღრეული რკინის ხანის ძეგლები (ძვ. წ. II ათასწლეული და I ათასწლეულის პირველი ნახევარი); წარმოადგენს გათხრების სრულ ანგარიშს.

მოცემულია ძეგლთა დახასიათება და გათხრების მსვლელობა, შესწავლილია კულტურულ ფენათა სტრატიგრაფია. ავტორის მიერ შემოთავაზებულია ძეგლთა პერიოდიზაცია, დადგენილია ცალკეულ ფენათა თარიღები. ნაშრომი ეხება კოლხეთში ცნობილ სხვა ანალოგიურ ძეგლებსაც.

ნაშრომი ხელს შეუწყობს ძველი კოლხეთის ისტორიისა და კულტურის შესწავლას.

რედაქტორი ი. გაგოშიძე:

4/83

შ ი ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს შეძლებისამებრ სრულ ანგარიშს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნოსირი-მუხურჩის ჭგუფის ნამოსახლარებზე 1967—1981 წწ. წარმოებული გათხრების შესახებ და სათანადო არქეოლოგიურ მონაცემთა ინტერპრეტაციის ცდას. მაგრამ ყველა ამ მონაცემის საფუძველზე მოცემული დასკვნები ჭერ კიდევ სავსებით სრული და საბოლოოდ დაზუსტებული არ შეიძლება იყოს, რამდენადაც გათხრები, გარკვეულ სირთულეთა გამო, უმთავრეს ობიექტებად მიჩნეულ ძეგლებსაც კი (ნოსირის ნამოსახლარი ცხაკაიას რ-ნის სოფ. მესამე ნოსირში) „კეკელური ზუგა“ და „ნაჭვის ზუგა“ გეგეჭკორის რ-ნის სოფ. მუხურჩაში) მეტ-ნაკლები მასშტაბით მხოლოდ ნაწილობრივ შეეხო, რომ არაფერი ითქვას ამ რეგიონში ჭერ გაუთხრელ სათანადო ხასიათის მრავალ ძეგლზე. მიუხედავად ამისა, გეგმით დასახულ საქმეს ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით: აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნოსირის (უფრო გვიან ნოსირი-მუხურჩისად სახელდებული) არქეოლოგიური ექსპედიციის მრავალი წლის საველე მუშაობის შედეგები უკვე მოითხოვს მთლიანი სახით გამოქვეყნებას, რათა დროულად შევიდეს სპეციალურ სამეცნიერო მიმოქცევაში (მასალები დაცულია ამავე მუზეუმში). სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომს უმთავრესად მასალათა პუბლიკაციის ხასიათი აქვს. მასში, ბუნებრივია, ყველაზე ხანგრძლივი და ინტენსიური შესწავლის ობიექტი, ნოსირის ბორცვს, მთავარი ადგილი უჭირავს, თუმცა სათანადო მონაცემების შევსება-შემოწმების საჭირო, სხვა, პარალერული ძეგლების შესწავლის საფუძველზე, კარგა ხანია დასმულია ჩვენს წინაშე და მისი გადაწყვეტაც მომავალს ეკუთვნის.

ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიურ ექსპედიციას წლების მანძილზე (1967—70 წწ.) წარმატებით ხელმძღვანელობდა ძველი კოლხური კულტურის ცნობილი მკვლევარი, აწ განსვენებული მეცნიე-

რი დომენტი ლეონტის ქ ქორიძე. მასვე ეკუთვნის ნოსირის ნამო-სახლარის კულტურული ფენებისა და მასალების ძირითადი ქრო-ნოლოგიური და სხვა წინასწარული განსაზღვრები, რაც გადმოცე-მულია უკვე გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშებში ნოსირის გათხრების შესახებ² და თავმოყრილია მის არქივში დაცულ ერთ-ერთ ხელნაწერ ნაშრომში³, რომლის დასრულება და გამოცემა მან ვერ მოასწრო. დ. ქორიძის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით შესრულდა საველე დოკუმენტაციებისა და მასალათა ილუსტრაც-იების დიდი ნაწილი, რომელიც წინამდებარე გამოცემაში ქვეყნდება ან მის მოსამზადებლად იქნა გამოყენებული. შემდგომი წლების ანგარიშები გამოვაქვეყნეთ ექსპედიციის სხვა წევრებთან თანაავ-ტორობით⁴.

ნოსირის ნამოსახლარს 1966 წ. მიაკვლია ივ. ჯავახიშვილის სა-ხელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუ-ტის დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურმა ექსპედი-ციამ გ. გრიგოლიას ხელმძღვანელობით, ხოლო 1967 წლიდან საქარ-თველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების საველე არქეოლოგიურ სამუშაოთა გეგმაში ნოსირის გათხრების შეტანა, როგორც აღნიშნავდა დ. ქორიძე. „მიზნად ისახავდა კოლხეთის დაბლობზე ბრინჯაოს პერიოდის ძეგლების — კერძოდ, ნასახლარე-ბის გათხრას: ძველი კოლხების დასახლების, მათი ყოფა-ცხოვრე-ბისათვის დამახასიათებელი ნივთიერი ძეგლების გამოვლენას, შეს-წავლას და რიგი სხვა საკითხების ძიებას, რომლებიც დაკავშირებუ-ლი იქნებოდა მათი მეურნეობის ხასიათთას, რწმენა-წარმოდგენებ-თან და სხვა“. შემდეგ დ. ქორიძე ხაზს უსვამდა ამ საქმის აქტუა-ლობას, რამდენადაც კოლხეთის ბარში ბრინჯაოსა და მისი მომდევ-ნო ხანის ძეგლები ჯერ ბოლომდე გათხრილი და შესწავლილი არ ყოფილა, ხოლო, ამასთანავე, ამ ხასიათის ძეგლების გათხრის შედე-გად მუზეუმს საშუალება მიეცემოდა სათანადო დოკუმენტირებუ-ლი მასალებით შეევსო ფონდები და ექსპოზიცია⁵.

მართლაც, შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ დ. ქორიძის თაოსნობითა და მისი აქტიური შემოქმედებითი ენთუზიაზმით, ამა-სთანავე მუზეუმის მხარდაჭერითა და ქმედითი დახმარებით წემოწ-ყებულმა საქმემ სასარგებლო ნაყოფი გამოილო, რაც ექსპედიციის პირველსავე წლებში ნათელი გახდა. მუზეუმი აქტიურად ჩაება კოლხური კულტურის ძეგლთა შესწავლის საქმეში და სხვ.

ნოსირის ექსპედიციის მუშაობის შედეგები უფრო მრავალმ-ხრივი გახდა ბოლო წლებში. ექსპედიციამ გააფართოვა თავისი

კვლევის სფერო ნოსირის გარეთ პარალელური ქეგლების შესწავლის დაწყებით, სამაროვნის გათხრით, დაზვერვითი სამუშაოების გაფართოებით და სხვა.

მაგრამ ზოგჯერ ჩვენ გვიძნელდება კიდეც გარკვეული სახის ახალი მონაცემებისა და ფაქტების საბოლოო ახსნა. მათი სრული გაანალიზება, ერთი მხრივ, გაპირობებულია დროის ფაქტორით, მეორე მხრივ, დამატებით მონაცემებს მოითხოვს.

რამდენადაც ჩატარებულ საველე სამუშაოთა შედეგების შესახებ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ანგარიშებში (იხ. ზემოთ, სქოლ. 2,4) მაინც მრავალმხრივმა ფაქტობრივმა მასალამ მოიყარა თავი, ჩვენ გარკვეულ შემთხვევებში ვზღუდავთ წინამდებარე ანგარიშს ფაქტების დეტალური განმეორების მხრივ, აქცენტირებას ვახდენთ დღემდე ნაკლებად წარმოდგენილ მონაცემებზე თუ დასკვნებზე.

იმის გამო, რომ ქეგლების ინტერპრეტაციას გათხრების მსვლელობაში მრავალი სირთულე ახლდა, ნაშრომში ვახდენთ ზოგიერთი იმ ვარაუდის კორექტირებას, რომლებიც ადრე ექსპედიციის ანგარიშებში იყო გამოთქმული და შემდგომი გათხრების კვალდაკვალ იცვლებოდა. კოლხეთის სხვა პარალელურ ქეგლებთან ჩვენი რეგლების შედარება-შეპირისპირება გვაძლევს კოლხური კულტურის ცალკეულ თავისებურებათა გამოვლენის და განზოგადების საშუალებას.

პირველი თავი

ძეგლთა დახასიათება. გათხრების მცდელობა. სტრატიგიზაცია

ნოსირის ნამოსახლარი

ნოსირის ნამოსახლარი მდებარეობს სოფ. მესამე ნოსირის ჩრდ. განაპირას, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირას, ქ. ცხაკაიადან 7-8 კმ-ზე, აღმ-ით. იგი ფაქტიურად წარმოადგენს ძველი სხვადასხვა ნამოსახლარი ობიექტების კულტურული ფენების ერთობლიობას, რომლებიც მოწმობენ სოფლის ტიპის დასახლებას⁶. კულტურული ფენები ზოგან სტრატიფიცირებულია, ე. ი. ერთიმეორის ვერტიკალური მონაცემებით და ერთმანეთისავან გამოყოფილად დევს, ზოგან კი არა. ცალკეული უბნების მიხედვით, შეიმჩნევა კულტურულ ფენათა მეტ-ნაკლები რაოდენობა. ისინი განეკუთვნება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდს, შუაბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ელინისტურამდე ჩათვლით. მაგრამ კულტურული ფენებით უმთავრესად წარმოდგენილია ბრინჯაოს ხანა.

არქეოლოგიური გათხრების დაწყების მომენტისათვის შემორჩენილი იყო ნამოსახლარის ნაწილი მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირას (ტაბ. 1; 2; 9). მისი ჩრდ. ნაწილი, როგორც ჩანს, მოხსნილი და განადგურებულია გამდინარე წყლის მიერ, რამდენადაც მდინარის კალაპოტმა წარსულში სამხრეთით გადმოინაცვლა. ნასახლარის ნაშთები ამჟამად სამხრეთის მხრიდან მდინარის კალაპოტში გადის. ნაბოსახლარის უდიდესი სიგრძე ჩრდ.-აღმ-დან სამხრ-დას-ით აღწევს 150 მ-ს.

გათხრების უმთავრეს ობიექტს მთელ ნამოსახლარზე წარმოადგენდა კულტურულ ნაშთთა დაფენების შედეგად წარმოქმნილი ხელოვნური ბორცვი (თანამედროვე ნიადაგის ზემოთ შემჩნეული შემაღლება), რომელსაც პქონდა დაახლოებით 2000 კვ. მ ფართობი და მდებარეობდა 50 მ-ზე მდინარის ნაპირიდან სამხრეთით. მისი უდიდესი სიმაღლე (სამხრეთ მხარეს) აღწევდა 1,7 — 1,3 (ტაბ. 9).

ბორცვზე თავდაპირველად გამოვლინდა I-III კულტურული ფენები, რომელიც ზოგადად ეკუთვნის შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანას და აბსოლუტური ქრონოლოგიით ეჭცევა დაახლოებით II ათასწლეულის ფარგლებში. ბორცვის დასასრული პერიოდის IV კულტურული ფენა (პერიფერიული) შეიძლება მიეკუთვნოს ბრინჯაოდან ადრეულ რკინაზე გარდამავალ პერიოდს — ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისს. მნიშვნელოვანი აღმოჩნდა აგრეთვე ნამოსახლარის ერთ-ერთი უბანი (ე. წ. I საძიებო მოედანი) დაახლოებით 150 კვ. მ ფართობისა, რომელიც მდებარეობდა ბორცვიდან ჩრდილო, ზედ მდინარის ნაპირზე (ტაბ. 1, 4; 2). გარდა ამისა, გათხრილი იქნა შედარებით მცირე ფართობის მქონე მონაკვეთები ნამოსახლარის ჩრდილო-და ჩრდილში, მდინარის გაყოლებით.

1967 წელს ბორცვზე გავლებულ იქნა 1 მ სიგანის და 1,5 მ სიღრმის ორი თხრილი, ერთი — ბორცვის NW ნაწილში, დაახლოებით N-S (ოდნავ NWN-SOS) დამხრობით, 28 მ სიგრძისა, რომელიც ბორცვის ჩრდილში. კიდეს კვეთდა და მის გარეთ გადიოდა; მეორე თხრილი გადიოდა ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, დაახლ. W-O დამხრობით. ეს ტრანშეები (პირველი ნაწილობრივ შემდეგში დაემთვა განათხარებს სათანადო კვადრატებში (ტაბ. 9). ამ ტრანშეებმა ცხადყო ბორცვის ხასიათი როგორც ძველი სამოსახლო ადგილისა და გამოავლინა მასში კულტურული ნაშთების სიჭარპე. მრავლად აღმოჩნდა კერამიკა (ფრაგმენტები) წითელი ბათქაშის ნატეხები (ნახანძრალი ნაშთები). კერამიკა ამჟღავნებდა კოლხურ ხასიათს.

ამავე წელს დაიდო დიდი თხრილი 3დ. ტეხურის ნაპირს — ე. წ. I საძიებო მოედანი (ტაბ. 1, 4; 2), სადაც გაითხარა 256 მ? ფართობი — დაახლ. 64 კვადრატი. განათხარი ფართობის დიდი ნაწილი დაღრმავდა 1,7 მ სილრმემდე, მაგრამ უძრავ ფენამდე ამ წელს არსად არ ყოფილა გათხრები დაყვანილი. ეს უბანი პირველ რიგში იქნა შერჩეული გასათხრელად, რადგან გადარეცხვის საშიშროება მოელოდა. მდინარე შლიდა და ანგრევდა ნაპირს (ტაბ. 2).

I საძიებო მოედანზე მოპოვებულ იქნა სხვადასხვა ხანის კერამიკული მასალა, მაგრამ აქ ფენები ჯერჯერობით არეული ჩანდა.

ამ მოედნის მახლობლად, ჩრდილო, მხარეს, მდ. ტეხურის მიერ გამორეცხილ ფართობზე (მდინარის ნაპირთან) შენიშნულ იქნა ნამოსახლარის ნაშთები — ძელური წყობა, თიხატკეპნილი იატაკის ცალკეული მონაკვეთები და ორმოები.

1968 წელს ბორცვის „ცენტრალურ ნაწილში“ გათხრილ იქნა 72 კვ. მ ფართობი, 18 კვადრატი (კვ. GD 89-80, 99-90, 09-00, GF.

81-84, 91-94, 01-04)⁷. ამ განათხარს გეგმაში სწორკუთხა, ფორმა ჰქონდა (12 X 6მ) და დამზრუბილი იყო W-O მიმართულებით. მას თანდათან ვაფართოებდით შემდგომ წლებში. 1968 წელს ყველაზე ღრმა დონე ამ განათხარში, ბორცვის თავიდან 2,9-3მ, — მიღწეულ იქნა უმნიშვნელო მონაკვეთზე (ტაბ. 10)⁸. ამ წელს დაღგვენილ იქნა ბორცვის მრავალფენიანობა, მოპოვებულ იქნა მრავალრიცხოვანი კერამიკული მასალა და ძირა ფენაში ნაწილობრივ გამოვლინდა ხის ნაგებობის ნაშთები.

მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა გათხრებმა მდ. ტეხურის ნაპირას, I საძიებო მოედანზე. განსაკუთრებით მის ჩრდ.-აღმ. ნაწილში (კვ. CE 26-28, 36-38, 46-47), სადაც ძირითადი სამუშაოები ჩატარდა 1967-1968 წწ. და გამოვლინდა სტრატიფიცირებული კულტ. ფენები. დადგენილ იქნა მძლავრი დაფენებები, დაახლ. 4,5—4,7 მ. საერთო სისქისა, რომლებშიც გამოიყოფოდა ერთმანეთისაგან სტრატილური მიწით ან თიხით გამიჯნული, ან სტრუქტურულად მკვეთრად განსხვავებული სამი მძლავრი კულტურული ფენა, ორი ზედა ფენა შეესატყვისებოდა დაახლ. აღრეანტიკურ პერიოდს და ჩანს, ელინისტურ ხანამდე აღწევდა (მისი ჩათვლით), ხოლო ქვედა, შავი და მოშვი თიხიანი თუ თიხანარევი ძირა ფენა (დაახლ. 1—1,5 მ სიმძლავრისა), რომელშიც ცალკეული ხის ძელები აღმოჩნდა, წინარეანტიკური ხანისა უნდა ყოფილიყო, დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი საუკუნეების (ტაბ. 16, 9). ეს ფენა ყველაზე მრავლად შეიცავდა ე. წ. კანელურებიან კერამიკას.

ექსპედიციამ გამოიკვლია ნასახლარის ნაშთები ნამოსახლარის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ზედ მდ. ტეხურის ნაპირზე (კვ. CE, CF). აქ მდინარის კალაპოტის ტერასულად შემაღლებულ ძირზე გაიწმინდა ზოყვითალო თიხნარეში ამოჭრილი სამეურნეო დანიშნულების მრგვალი ორმოები, რომლებზეც მდინარის წყალი თხლად გადიოდა და რომლებიც ქვებითა და დანალექი მიწით თუ სილით იყო ამოვსებული. ზოგიერთ მათგანში კერამიკის ნატეხები აღმოჩნდა. აქვე, მდინარის კალაპოტის უწყლო ნაწილში, მის ნაპირთან, გაიწმინდა ძელების წყობა, რომელიც მოშვი თიხანარევი მიწის კერამიკიან კულტურულ ფენაში იყო (კვ. CE) (ტაბ. 16, 10), ხოლო ოდნავ აღმ.-ით მდინარის ფლატესთან გამოვლინდა და გაიწმინდა საცხოვრებლის თიხატკეპნილი იატაკი და მასზე დაფენებული წითელაბათქაშიანი კულტურული ფენის ნაშთები (კვ. BF). ყველა ეს ნაშთი უნდა ეკუთვნოდეს ნამოსახლარის მოგვიანო პერიოდს, არაუადრეს ტეხურის პირა ძირა ფენისა (ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისი).

1969 წელს ბორცვის ცენტრალურ ნაწილში თხრილი გაფართოვდა კიდევ 68 კვ. მ. ფართობზე, ე. ი. 17 კვადრატით, ჩრდ. და დას. მხარეს. ესაა კვ-ბი GD 68-60, 78-70; 88; 98; 08, GE 61-64, 71-74 (ტაბ. 11; 12) ამ წელს საბოლოოდ დადგინდა ბორცვის აღნიშნულ ნაწილში სამი ძირითადი კულტურული ფენის არსებობა და გამოვლენილ იქნა ცალკეული სამშენებლო დონეები (შრეები) — თიხატკეპნილი იატაკები და სხვ. I ძირი ფენაში გამოვლენილი და გაწმენდილი იქნა: ოთხკუთხა ნაგებობის მორებიანი საძირკველი (რომლის ნაწილი წინა წელს იქნა გაწმენდილი) და მის ჩრდ. მხარეს რკალურად შემოვლებული ხის ძელების ლიანდაგისებური წყობა, აგრეთვე სოლების რიგი, ხისა და სხვა მასალის ნაშთები, რომლებიც, როგორც ჩანს, დას. მხარეს სადრენაჟო მოწყობილობას ეკუთვნოდა (ტაბ. 4). მოპოვებულ იქნა დიდი რაოდენობის კერამიკული მასალა და სხვა ნივთები.

გარკვეული მოცულობის სამუშაო ჩატარდა ტეხურისპირა უბნებზე I საძიებო მოედნის აღმ. ნაწილში, ყველაზე ღრმა ადგილებში თხრილი რამდენადმე გაფართოებული და მონაცრისფერო თიხნარის გრუნტამდე იქნა დაყვანილი (ტაბ. 2, 1). დადებულ იქნა 5×2 მ ფართობის ახალი თხრილი აღნიშნული მოედნის სამხ. მხარეს, ძველი ხიდის ბურჯთან (მის აღმოსავლეთ მხარეს), აქ მდინარის ნაპირის შვეულ ფლატეზე გამოდიოდა კულტურული ფენა, რომელიც ეკუთვნოდა ნამოსახლარის შედარებით მოგვიანო პერიოდს.

1970 წ. ნოსირის ბორცვზე გაითხარა კიდევ 76 კვ. მ ფართობი, 19 კვადრატი. ესაა კვ-ბი GD58-50; GE 51-54, GD 57-67, 77, 87, 97, 07, დიდი ოთხკუთხა განათხარების (ქვაბულის) ჩრდ. და დას. ნაპირების გაყოლებით და GC 90, GD 91-92-93-94-95-96, რომლებზედაც ხვდებოდა ბორცვის დას. ნაწილში გამავალი O-WI ტრანშეა. ეს ტრანშეა დაღრმავდა 1-1, 5 მ სიღრმეზე და გრუნტამდე დაყვანილი არ ყოფილა (ტაბ. 4, 2; 9). აღნიშნულ თხრილში პირველად იქნა გამოვლენილი ბორცვის IV კულტურული ფენა, რომელიც დაახლოებით ტეხურისპირა ქვედა ფენის პერიოდს განეკუთვნება.

წინა წლების განმავლობაში I (ძირი) კულტურული ფენის ძირი დიდი ოთხკუთხა განათხარის უდიდეს ნაწილში გრუნტამდე ჩაჭრილი და მოხსნილი არ ყოფილა. ძელების წყობათა ქვეშ, როგორც გვიან გაირკვა, მნიშვნელოვანი სიმძლავრის კულტურული

დაფენება არსებობდა (საშუალოდ 0, 5 მ სიმძლავრისა). ამ დონეზე დაღრმავებას მაშინ ყქსპედიცია მოერიდა იმ მიზნით, რომ არ დარღვეულიყო ძელების წყობა, ხოლო ერთ-ერთი მცირე მონაკვეთის მოსინჯვას არ მოუცია დაფენების მნიშვნელოვანი სიმძლავრე. ბოლო წლების გათხრებმა ცხადყო I ფენის სულ ძირა დონის შესწავლის საჭიროება, ბორცვის „ცენტრალურ“ (განათხარ) ნაწილში.

1971 წლის სამუშაოები ნოსირის ნამოსახლარზე ძირითადად შემოიფარგლა ბორცვის გათხრებით. ამ წელს ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა მხოლოდ ცალკეულ მცირე მონაკვეთებზე გაგვეთხარა I ფენა—ძველი განათხარს ჩამოშვავებულ ნაპირებთან, რომლებიც თითქმის ძირამდე ჩამოვასწორეთ და გავწმინდეთ; აქ მოპოვებული მასალაც მნიშვნელოვანი გამოდგა, მაგალითად, ქვის ცულ-წერაჭვა (ფრაგმენტი), რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ დამათარილებელ ნივთს (ტაბ. 46, 2506). ამ ადგილებში მოპოვებულია II კულტურული ფენის ცალკეული ნიმუშებიც.

1971 წლის სამუშაოები მნიშვნელოვანი გამოდგა ბორცვის კონსტრუქციული და სტრატიგრაფიული დაზუსტებების თვალსაზრისით. ბორცვის სამხრეთ ნაწილში (კვადრატები HE და IF). დაიდო ფართო (22X4მ) ტრანშეა N-SA, რომელიც 192 კვ. მ ფართობის მქონე ძველი ოთხკუთხა დიდი განათხარიდან ბორცვის სამხრეთ კიდემდე იქნა გავლებული (ტაბ. 9, 1:15). ამის შედეგად შესწავლილ იქნა სხვადასხვა ჰორიზონტები მოცემულ მონაკვეთზე და მიუიღეთ სათანადო ვერტიკალური ჭრილები ბორცვის ცენტრის მახლობლად გამავალ N-S ხაზებზე. თუმცა, ეს ჭრილები თხრილის სამხრეთ ნაწილში ნაწილობრივია, რამდენადაც თხრილის დაღრმავება აქ ყველგან ბოლომდე არ დასრულებულა. ამ გათხრების უმთავრეს შედეგს წარმოადგენს: -დაახლოებით ბორცვის შუა ნაწილში სტერილური დიდი (აღნიშნულ წელს 1,5 მ სისქეზე ჩაჭრილი) თიხაზვინულის გამოვლენა, რომლის თავზე ნახანდრალი II კულტურული ფენა იდო; სამხრეთ ნაწილში (ბორცვის პერიფერაზე), IV კულტურული ფენის დადგენა; დიდი თიხაზვინულის ცენტრი რელიეფურად გამოსახული ბორცვის ცენტრის რამდენადმე სამხრეთით აღმოჩნდა.

1972 წლის სამუშაოები ძირითადად მიზნად ისახავდა ბორცვის ცენტრალური ნაწილის სტრუქტურის ბოლომდე გარკვევას აქ გამოვლენილ სქელ თიხაზვინულთან დაკავშირებით. აღნიშნულ წელს გრძელდებოდა N-SA თხრილის დაღრმავება, ხოლო მის გასწვრივ დაახლოებით ნახევარ სიგრძეზე დასავლეთ მხარეს დაიდო 2მ სიგა-

ნის ახალი ტრანშეა N-SB. იგი დაახლოებით ხვდებოდა კვადრატებზე HE 61-62, 71-72, 81-82, 91-92, 01-02, IE 11-12 (ტაბ. 9,1). N-SA და N-SB თხრილებს შორის სხვადასხვა მიზნით ტიხტულად დატოვებული გვქონდა მიწის კედელი.. ეს თხრილი ძირამდე არ დაღრმავებულა.

N-SA თხრილის ჩრდილო მხარეზე — დაახლოებით ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, ყვითელი სტერილური თიხნარის ფენა ჩავჭრით ძირამდე (მოშავო უძრავ თიხნარამდე) და დადგინდა 2,5მ სისქის ხელოვნური თიხაზვინულის არსებობა, რომელიც ეყრდნობოდა ჯარგვლისებური ქელური წყობის ნაგებობას, ანუ თვით ამ ზეონულისათვის შექმნილ ქელურ საძირკველს (ტაბ. 5, 1, 2; რ).

1973 წელს დიდ სიძნელეებს წავაშუდით იმის გამო, რომ თხრილის ჩრდილო ნაწილში კედლების ჩამოშვავების შედეგად დიდძალი მიწა დაგროვდა. ჩამონაშალი მიწა წყლით გაჟღენთილი და დაფარული დაგვხვდა სამუშაოთა დაწყებისას. აუცილებელი გახდა თხრილის ხელახლა ამოწმენდა. განმეორებით სამუშაო მეტად შრომატევადი აღმოჩნდა და მოითხოვა სამუშაო დროის უდიდესი ნაწილი.

1973 წ. გათხრილ ახალ მონაკვეთს ეკუთვნის N-SA თხრილის უკიდურესი ჩრდ. ნაწილი (ძველ განათხართან — დიდ ქვაბულთან შეერთების აღგილი, GE 03-04 კვ-ბის სამხრეთი ნაწილი, HE 13-14 კვ-ბის ჩრდილო ნაწილი). აქ, დიდი თიხაზვინულის ქვეშ გაიწმინდა ქელური ნაგებობის ჩრდილო კედელი (ჯარგვლისებური წყობა ტაბ. 5,1; 2). თხრილის ჩრდილო ნაწილი რამდენადმე გაფართოვდა (დაახლ. 0,5 მ. სიგანეზე) ჩამონგრეული კედლების ჩაჭრისა და ჩასწორების ხარჯზე.

დასავლეთ მხარეს (N-SB თხრილის გაგრძელებაზე ჩრდილოეთით) გაითხარა ფართობი, რომელზედაც ბორცვის თავი, მასი უმაღლესი ნაწილი ხვდებოდა (კვ-ბი HE 11-12, 21-22, 31-32; 41-42-ის ჩრდილო ნაწილი). ეს მონაკვეთი აღნიშნული გვაქვს როგორც N-SC თხრილი. იგი ნულოვანი დონიდან (დაახლოებით ბორცვის თავიდან) დავიყვანეთ 0,5-0,7 სილტმეტრე — დიდი თიხაზვინულის თავამდე, რომელიც ბორცვის ამ ნაწილში გრძელდება და დასავლეთ მხარეს თანდათან დაბლდება. აქ გამოვლინდა ნახანძრალი II ქულტურული ფენა, რომელიც თიხაზვინულზე იდო, ისე როგორც აღმ. მხარეს, N-SA თხრილის ჩრდილო ნაწილში და თითქმის ზედაპირულად გამოდიოდა (ტაბ. 20, 2).

N-SA თხრილის ჩრდილო ბოლოსთან, დიდი ოთხკუთხა განათხარის ძირზე (აღრე განათხარ ფართობზე, საღაც ზედა ფენები მოხ-

სნილი იყო), ჩავჭერით ვიწრო თხრილი (GE 03, 93 კვადრატების დასავლეთ ნაწილი), რომელმაც გამოავლინა I კულტურული ფენის ძირი (0, 3 — 0,4 სისქის დონე) (ტაბ. 15).

N-SA თხრილის სამხრეთ ბოლოზე, ამ თხრილის ძირზე ჩავჭერით ვიწრო თხრილი (კვ-ბი HE 03, IE 13), რომელმაც დიდ სიღრმეზე (ნულვანი დონიდან 3-4,5 მ) გამოავლინა I და II კულტურული ფენები (ტაბ.15). ეს იყო მნიშვნელოვანი სიახლე, რამაც პირველად წარმოაჩინა ნოსირის ნამოსახლარის ძირა ფენების უფრო ღრმა დონეები, ვიდრე აქამდე ჩვენთვის იყო ცნობილი. ვარდა ამისა, როგორც ამ მონაკვეთზე, ისე უფრო ჩრდილო მხარეს (N-SA თხრილის შუა და სამხრეთ ნაწილში) მიღებულმა მონაცემებმა წარმოგვიდგინეს II კულტურული ფენა ზანძრის კვალის გარეშე.

1974-1975 წლებში ნოსირის ნამოსახლარზე ექსპედიციას მუშაობა არ ჩაუტარებია, რადგან მახლობელ რაიონში — სოფ. მუხურჩის მიდამოებში (გეგეჭკორის რ-ნი) სამეურნეო სამუშაოთა წარმოების ობიექტებზე შემთხვევით აღმოჩენილი ძეგლების შესწავლით იყო დაკავებული, რაც გადაუდებელ საქმედ იქნა დასახული, რამდენადაც ამ ძეგლებს განადგურების საფრთხე ელოდა.

მუშაობა ნოსირის ნამოსახლარზე ექსპედიციაში განაახლა 1976-წელს, როდესაც ნოსირის გარდა მან მუხურჩიც ჩაატარა სამუშაოები. ამ წელს ნოსირის ბორცვზე 4 თხრილი დაიდო: თხრილი №1 (A), რომელიც ბორცვის ჩრდ. ნაწილზე ხვდებოდა და დიდი ოთხკუთხა განათხარის („ქვაბულის“) შევიწროებულ გაგრძელებას წარმოადგენდა ჩრდილო მხარეს. ამ თხრილის ფართობი მეტ- ნაკლები მოცულობით ემთხვეოდა კვადრატებს: GD 38-39-30; GE 31-32; 41-42) (ტაბ. 17; 18). თხრილმა გამოავლინა I-IV ფენების მნიშვნელოვანი სიმძლავრე და მათი დანაწევრება ქვეფენების სახით, I ფენის დიდი დაღრმავება (4,5-5 მ ბორცვის თავიდან) და II ფენის ძელური წყობები. თხრილი №2 დაიდო ბორცვის ცენტრალურ ნაწილში, „ქვაბულის“ გაგრძელებაზე სამხრეთ მხარეს. იგი ნაწილობრივ ხვდებოდა დიდი თიხაზვინულის ჩრდ.-დას. კუთხეზე, ნაწილობრივ კი (ჩრდილო ვიწრო ზოლით) „ქვაბულის“ ძირა დონის გაუთხრელ ნაწილზე გადადიოდა. მეტ-ნაკლებად ფარავდა კვადრატებს: HD 18-19-10. 28-29-20; HE 11-12 (ტაბ. 20). ამ თხრილში გამოვლინდა ზვინური საყრდენი ძელური ნაგებობის ჩრდ.-დას. კუთხის ნაწილი და მის გარეთ, სიღრმეზე, I კულტურული ფენა; თხრილი №3 დავდეთ ბორცვის სამხრ. ნაწილში, N-SB ტრანშეის სამხრეთ ბოლოსთან, მის გაგრძელებაზე დასავლეთ მხარეს. იგი სხვადასხვა

ფართობით მოიცავდა კვადრატებს: HE 91-92; 01: IE 11-12 (ტაბ. 9,1). IV ფენის დონეზე უფრო ჭვევით ამ თხრილის დაღრმავება არ მოხერხდა. თხრილი № 4 დადებულ იქნა ბორცვის ჩრდილო ნაწილში, ფაქტიურად უკვე განათხარ ადგილას — დიდი „ქვაბულის“ ჩრდილო ნაპირთან, სადაც აღრე გამოვლენილი გვერდა ძელების რკალური „ლიანდაგისებური“ წყობა რომლებიც ამ ნაწილში უკვე დაფარული იყო ჩამონაშალი მიწით. ეს თხრილი გამიზნული იყო ძელებსქვედა დონეზე I კულტურული ფენის გასარკვევად. იგი ჩრდილო მხარეს უერთდებოდა № 1 თხრილს (ტაბ. 18.2; 19, 1).

1976 წელს ჩვენ, მუზეუმის ხელმძღვანელობასთან და არქეოლოგის განყოფილებასთან შეთანხმებით, ვაპირებდით ნოსირის ნამოსახლარზე გათხრების დამთავრებას, უფრო სწორად, ამ სეზონის შემდეგ სამუშაოთა შეწყვეტას, რამდენადაც ერთი მხრივ, ამ წლის სამუშაოთა შედეგად ვვარაუდობდით მეტ-ნაკლებად დასრულებული სტრატიგრაფიული და კონსტრუქციული სურათის მიღებას, ხოლო მეორე მხრივ, ბორცვისა და ნამოსახლარის არახელსაყრელი მდებარეობა და გარემომცელი პირობები, არ იძლეოდა საჭირო მასშტაბით გათხრის საშუალებას. შემდგომი გათხრები შეუძლებელი გახდა აქ გამავალი მთავარი გზების, მიმდებარე ნაგებობებისა და კარმიდამოების ხელშეხების და დანგრევის გარეშე. გარდა ამისა, როგორც ვიცით ნოსირის ბორცვის ზედა კულტურული ფენებიც კი ნიაღაგის თანამედროვე ზედაპირზე უფრო ორმად მდებარეობენ, ხოლო ძირა ფენები — დიდ სიღრმეზე — 2-3 მ-ზე, ბორცვის თავიდან კი 2-5 მ-ზე და უმთავრესად წყლისა და ავდრის მოქმედების შედეგად ხშირად იშლებოდა მიღებული ჭრილები და ჩამონგრეული მიწით იგსებოდა ღრმა თხრილები. დიდ სიძნელეს წარმოადგენდა აგრეთვე მონათხარი მიწის გაზიდვა. ბორცვის პერიფერიულ ნაწილებზე ამონათხარი მიწა ბლომად იყო დაგროვილი. ყოველივე ამის გამო უფრო მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ნოსირში გათხრების მომთავრება. მართალია, ძეგლი ბოლომდე არ იყო შესწავლილი, მაგრამ ვვარაუდობდით, რომ ერთგვარ კომპენსაციას მოახდენდა ამავე ხასიათისა და ამავე ეპოქის ნამოსახლარი ბორცვის „კეკელური ზუგას“ გათხრა მუხსურჩაში, რომლის შესწავლა ჩვენ დაწყებული გვერდა და მომდევნო ეტაპზე უთუოდ ნაკლებ სიძნელეებს წავაწყდებოდით. ამ გარემოებათა გათვალისწინებით გათხრები ნოსირში 1976 წელს უნდა დაგვემთავრებინა, მაგრამ ამ წლის სამუშაოებმა ვერ

ამოწურა გათვალისწინებული პროგრამა და ვერ მოგვცა ნავარაუ-
დევი მინიმუმი მონაცემებისა, სავალე სამუშაოები ძალზე შრომა-
ტევადი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარეობდა საერთო გადაწყვეტი-
ლებაც 1977 წელს ნოსირში გათხრების გაგრძელების შესახებ.

1977 წლის სეზონიც (9. VIII-25. XI) მთლიანად მიეძღვნა ნო-
სირის ბორცვის გათხრებს. სამწუხაროდ, ამ წელსაც უამინდობამ
ძალზე გაართულა საველე მუშაობა. გაფართოვდა თხრილი № 1. ეს.
ახალი განათხარი ფართობი აღვნიშნეთ როგორც № 1 თხრილის B
და C მონაკვეთები. პირველ მათგანზე (N მხარეს) შევისწავლეთ ზე-
და კულტურული ფენები, III ფენის ძელური წყობის გავრძე-
ლება აღმოსავლეთ მხარეს (ზედაპირიდან 2 მ სიღრმეზე), მეორეზე
(O მხარეს) ქვედა ფენებამდეც დავლრმავდით. ესაა კვადრატები GD-
28-29, 20; 38-39, 30; GE 21-22; 31-32 (ტაბ. 17, 1: 19,2).

ბორცვის დასავლეთ ნაწილში რამდენადმე გაფართოვდა O-W1
ტრანშეა (1970 წ. დადებული O-W ტრანშეა) სიგრძივი კედლები-
დან ჩამოშვავებული მიწის გაწმენდისა და ამ კედლების ჩასწორების
ხარჯზე, რამაც აქ გამოავლინა ძლიერ დახრილად განლაგებული და-
ფენებები. ულრმესი განათხარი (მცირე ვიწრო თხრილი ტრანშეის
დაახლოებით შუა ნაწილში, მისი ნახევარი სიგანისა) აქ II კულტუ-
რულ ფენაზე ლრმად არ დასულა (უამინდობამ აქაც შეაფერხა მუ-
შაობა) (ტაბ. 9,1).

ბორცვის აღმოსავლეთ ნაწილში დავდეთ ახალი თხრილები —
O-W2 ტრანშეა (დაახლოებით კვ-ბი: GE 80,97—98-99-90; 05—06-
07-08-09-00. HE 15-16-17) და თხრილი № 5 (დაახლოებით კვ-ბი:
GF 81-82; 91-92; 01), რომლებიც ბოლოს ერთმანეთს შეუერთდა.
(ტაბ. 9,1; 21). ამ თხრილებში გამოვლინდა სხვადასხვა ფენები, O—
W2 ტრანშეის დასავლეთ ბოლოზე გაიწმინდა მცენარულ საფეხზე და
გრუნტზე დაყრდნობილი თიხაზვინულის ქვეშა ჭარვვლისებური ძე-
ლური ნაგებობის (საყრდენის) ჩრდ.-აღმ. კუთხე. ქვედა დონეებზე ამ
თხრილების შემდგომი დალრმავება მოხერხდა უფრო ვიწრო ფარ-
თობზე (ნახევარ სიგანეზე), ე. ი. შიდა ვიწრო თხრილების დაზებ-
ით. წყლის დაგროვების გარდა აქ მუშაობას დიდად აძნელებდა
თხრილის კედლების ჩამონაგრევა და ზედა, ამონაყარი მიწის ჩამო-
შვავება.

მსგავსი მდგომარეობა გვქონდა სხვა თხრილებშიც, სადაც მაქ-
სიმალური დალრმავების შესაძლებლობა არსებობდა მხოლოდ გარ-
კვეულ ვიწრო მონაკვეთებზე, აქაც განათხარები სწრაფად ივსე-
ბოდა გაუთხრელი მიწიდან გამონაუონი წყლით. ამას დიდად უწყობ-

და ხელს ნაწვიმარი შეულით გაუღენთილი ამონაყარი მიწა, რომელიც მრავლად დაგროვდა და სქელ ფენად იდო ბორცვის გაუთხრელ ფართობზე. ბორცვის ტერიტორიიდან ამ მიწის, გასაზიდად არავითა-რი საშუალება არ არსებობდა, რადგან თავისუფალი და მისადგომი ადგილი მახლობლად არ იყო. მიწის დიდმა გროვებმა განსაზღვრეს აგრეთვე ზოგიერთი თხრილის მიმართულება, მაგ., O-W2 ტრანშე-ისა, რომელსაც არაზუსტად O-W მიმართულების დამხრობა აქვს.

ნოსირის ბორცვზე მუშაობის დასასრულს (საერთოდ გათხრების შეწყვეტის გამო), შემდგომი დაზიანებისაგან ძეგლის დაცვის მიზნით, ჩვენ ყველა თხრილი სწორედ ამ ამონაყარი მიწით ამოვაფ-სეთ ბოლომდე (ტექნიკის გამოყენებით) და გაუთხრელი ფართობი სავსებით მოწმენდილი დავტოვეთ, ეს ძეგლს დაიცავს შემდგომი დაზიანებისაგან.

*

* * *

როგორც ვნახეთ, ძირითადი კულტურული (I-IV) ფენები ნო-სირის ნამოსახლარზე, როგორც განფენილობისა და სიმძლავრის, ისე სტრატიგრაფიული განლაგების თვალსაზრისით უკეთაა წარ-მოდგენილი სამოსახლო ბორცვზე. ნაძოსახლარის სხვა უბნებზე წარ-მოდგენილი შესატყვისი კულტურული ფენები, თუ ფენათა ნაშთები და აგრეთვე მასალები ძირითადად განისაზღვრება ბორცვზე დადგენილ ფენათა სტრატიგრაფიის საფუძველზე. ბორცვის გარეთ I საძიებო მოედნის ერთ მონაკვეთზე გვაქვს მკაფიო სტრატიგრაფი-ული სურათი. აქ დადგენილი ფენები ბორცვთან ერთად შეადგენს ნამოსახლარის საერთო სტრატიგრაფიულ სქემას.

კულტურულ ფენათა შემადგენლობა, დაცულობა და დონეები სამოსახლო ბორცვის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვანაირი აღ-მოჩნდა. ყოველივე ამას, როგორც ირკვევა, განსაზღვრავდა, ჯერ ერთი, ძველი რელიეფი უძველესი დასახლების ადგილას (ბორცვის ძირზე), შემდეგ, ხელოვნური კონსტრუქციული ნაგებობები დასახ-ლების ადგილას და თვით კულტურული ნაშთების დაფენების ინ-ტენსივობა და ხასიათი.

1968-1970 წწ. გათხრების პერიოდში ბორცვის ჩრდილოეთ ნაწილში, ე. ი. დიდი ოთხკუთხა თხრილის (ქვაბულის) არეში ვამ-ჩნევდით კულტურული ფენების თანმიმდევრულ და დაახლოებით ჰორიზონტულ დაფენებას. I (ძირა) კულტურული ფენა ძირითადად შედგებოდა გადამპალი ორგანული ნარჩენების ჭარბად შემცველი შავი თიხისაგან, ამ ფენის ზოგიერთ მცირე მონაკვეთებზე შეიმჩნე-

ოდა ნაცრის ანდა ბლანტ მასად ქცეული ნახშირის თხელი ფენები.

I ფენის სიმძლავრე აქ 0,8-0,9მ აღწევდა. იგი მიწის ზედაპირი-დან დაახლოებით 2-2,2მ სიღრმეზე იწყებოდა, ბორცვის თავიდან კი (მაქსიმალური დაშორებით) 2,6 მ-ზე, გამოყოფილი იყო II (მის ზე-ვით მდებარე) კულტურული ფენისაგან უმთავრესად თიხატკეპნილა-იატაკით ან 0,2-0,3 მ სისქის მოყვითალო თიხის (თუ, თიხანარევი მი-წის) შრით (ტაბ. 3,1; 11,1). ზოგიერთ ადგილას კი II ფენის ნაგებო-ბათა გადამწვარი ნაშთები, წითელი ბათქაში — თაბის შელესილო-ბის წითლად გადამწვარი ნაშთები, ხშირად მათ ქვეშ მოქცეული ნახშირის შრეებითა და სხვადასხვა სისქის ხეების დანახშირებული ნაწილებით, უშუალოდ I კულტურულ ფენაზე იდო. I ფენაში (განა-თხარის შუა ნაწილში) გამოვლენილი ოთხკუთხა წყობის ძელები (5,7-5,8 მ სიგრძისა) კარგად იყო შენახული. ეს წყობა შეიძლება რა-იმე ნაგებობის საძირკველს წარმოადგენდა. უფრო სქელი ზედა ძე-ლები, დაახლოებით O-W დამხრობისა, წყვილ-წყვილად იყო დალა-გებული ქვედა გარდიგარდმო ძელებზე რაიმე სამაგრის გარეშე. ამ ოთხკუთხა საძირკვლის ფართობი შეადგენდა 38-40 კვ. მ. ძელებს შორის არე შევსებული იყო თიხით, რომლის ზედაპირი თითქოს მოტკეპნილი ჩანდა. ამ ფუძეზე ჩრდ. და დას. მხარეს ლიანდაგის-ებურად შემოყოლებული ძელები ოთხწახნაგად იყო ვათლილი და ცოტათი უფრო მაღალ დონეზე ელაგა (ტაბ. 3; 4,1; 9,2).

როგორც ითქვა, ძელებს ქვეშ I კულტურული ფენა კიდევ მნიშვნელოვნად ღრმავდებოდა (1976 წ.) და ისეთსავე ნივთიერ მა-სალას შეიცავდა, როგორც მისი ზედა დონე (კერამიკა, ძვალი და სხვ.) ამგვარად, თითქოს ცხადი უნდა იყოს, რომ ძელების აღნიშნუ-ლი წყობები I ფენის უადრეს დასახლებაზე გვიანდელია და აქ ძველ დაფენებებზე იყო გაკეთებული, თუმცა ორივე ეს დონე ერთ კულტურულ ფენას უნდა შეადგენდეს. I ფენის ძელსქვევითა პო-რიზონტი განსაკუთრებით მძლავრი იყო ბორცვის ჩრდილო პერი-ფერიაზე №1 და №4 თხრილებში (1976-1977 წწ.), სადაც იგი ნაწი-ლობრივ (გარკვეულ მცირე მონაკვეთებზე) შევისწავლეთ. დიდ სიმძლავრეს აღწევდა I ფენა N-SA ტრანშეის სამხრეთ ბოლოშე ვიწრო თხრილში (1973 წ.).

II კულტურული ფენა, რომლის საშუალო სიმძლავრე დიდ განათხარში 0,7 მ აღწევდა, უმთავრესად შედგებოდა ნახანძრალი ნაშთებისაგან. ზოგიერთ ადგილას, როგორც ჩანს, II ფენა შედგე-ბოდა მცირე ბათქაშნარევი და ნახშირნარევი მოშავო ან მოყავის-ფრო მიწისაგან, რომლის გამოყოფა ზედა ფენისაგან უფრო ძნელი

იყო. ასეთ შემთხვევაში ამ დონეების სტრატიგრაფიული განსაზღვრის საშუალებას წარმოადგენს კერამიკის ტიპოლოგიური ანალიზი.

მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი ხანძრის გავლენით ამ ფენის კერამიკის დიდ ნაწილს ფაქტურის მიხედვით სახე შეცვლილი აქვს, იგი თავისი ფორმებისა და ორნამენტის ხასიათით, ამასთანავე ხანძრის კვალის მიხედვით, კარგად გამოიყოფა როგორც ჭარკვეული პერიოდის თუ ქვეპერიოდის მასალა. სწორედ ამიტომ, სტრატიგრაფიულად II კულტურულ ფენად პირველ რიგში ჩვენ გამოვყავით ნახანძრალი ნაშთები, ხოლო მის შესატყვის ტიპოლოგიურ განმსაზღვრელ სახედ ნახანძრალი კერამიკა. ბორცვის სხვა ნაწილებში, მაგალითად, ჩრდილოეთ და სამხრეთ პერიფერიულ მხარეს, II კულტურული ფენა ხანძრის კვალს არ ატარებს ან ნაკლებად ავლენს. ეს ფენა ზოგან კარგად გამოიყოფა სხვა ნიშნებით და წარმოადგენს მნიშვნელოვანი სიძლავრის დაფენებას (იხ. ქვემოთ). ლრმა დონეებზე II კულტურული ფენა კარგად გამოიყოფოდა კვადრატებში GD 78-79, 70; 88-89, 80; 98; 08 და სხვ. ამ ფართობზე იგი იწყებოდა 1,3—1,5 მ სილრმიდან, ხოლო განათხარის სამხრ.-აღმ. ნაწილში—უფრო მაღალ დონეზე (ტაბ. 10,3; 11,2). ძირი ამ ფენისა დახლოებით 2 მეტრზე იყო მიწის ზედაპირიდან.

II ფენისათვის დამახასიათებლად აღნიშნული დაბალი დონეები მიჩნეული იყო გათხრების პროცესში. მაგრამ ამჟამად ჩვენ გარკვეული კორექტივის შეტანა შეგვიძლია ამ ვარაუდში. GE 72-73-74 და 82-83-84 კვადრატებში აღნიშნა მძლავრი (0,6 მ სისქის) ბათქაშიანი ფენის მდებარეობა ბორცვის ზედაპირიდან მცირე სილრმეზე — 0,3 — 0,4 მეტრზე. რის გამოც იგი მივაკუთვნეთ III კულტურულ ფენას. დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს კი ბათქაშის ეს ფენა დაქანებულად ეშვებოდა დაახლოებით II ფენის დონემდე. ბათქაშის ამ შემაღლების ქვეშ იყო ნაყარი მიწის კულტურული დაფენება, რომელსაც ქვემოთ ენაცვლებოდა ჩვენთვის უკვე ცნობილი მოყვითალო თიხანარევი თხელი (0,2 — 0,3 სისქის) ფენა, ჩვეულებრივ II ფენის ძირზე მდებარე. ბათქაშის ეს შემაღლება (კერამიკის მიხედვით II ფენის დასასრული ან III ფენის დასაწყისი) შეიძლება იყოს სილრმეზე მდებარე II კულტურული ფენის ბათქაშიანი და ნახშირიანი შრეებისაგან გარკვეული პერიოდით დაშორებული დაფენება. დასაშვებია, თიხალესილი ნაგებობა მოეწყოთ უკვე შემაღლებულ ადგილას, რომელსაც

ქმნიდა II ფენის ხანძრის შემდგომი მოგვიანო პლასტი (კულტურული ფენის ნაყარი მიწა). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ II ფენის დასახლების დასაწყისიდან მის დასასრულამდე მნიშვნელოვანი ქრონოლოგიური მონაკვეთი არსებობდა. შემაღლების გამოყენებას კი გასაგებს ხდის ბორცვზე გამართული დიდი თიხაზვინული.

ხის დანახშირებული ნაშთები და ნახშირის შრეები ჩვეულებრივ მოქცეული იყო წითელი ბათქაშის ფენებს (გროვებს) ქვეშ. ეს ნაშთები მიუთითებენ დიდ ხანძარზე (ხანძრის მიზეზი გაურკვეველია), რომლის შედეგად გარედან სქელი თიხით შელესილი ხის კედლები და სახურავები ჩამოინგრა და ჰორიზონტალურად დაეფინა. ბათქაშიანი დაფენებები საერთოდ ერთი მთლიანი ფენის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ მოზრდილ ფართობებზე. შეიმჩნეოდა ცალკეულ ადგილებზე უფრო მოზრდილ გროვებად მათი კონცენტრირება, რაც ცალკეულ ნაგებობას უნდა შეესატყვისებოდეს. II ფენის კერამიკისა თუ სხვა მონაპოვარი მასალის (ძვალი, ქვა და ა.შ.) დიდი ნაწილი ატარებდა ძლიერი ხანძრის კვალს. თახატკეპნილიატაკიანი და თიხით მოგებული მონაკვეთების ზოგიერთ ადგილას შეიმჩნევოდა მომცრო მრგვალი ორმოები, რომლებიც ჰუმუსიანი შავი მიწით იყო ამოვსებული.

დიდი განათხარის ჩრდილო ნაწილში I და II კულტურულ ფენებს შორის ფიქსირებულ იქნა საშუალოდ 0,2-0,3 მ სისქის მოკვითალო (ზოგან მომწვანო-მოყვითალო, ხაკისფერი) თიხის ფენა (ტაბ. 11; 12). ზოგან იგი სტერილურ თიხნარს ჰგავდა, ვაგრამ ხშირ შემთხვევაში შეიცავდა I ან II კულტურული ფენისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტებს. ციადია, გამორიცხული არ არის სტერილური თიხის თხელ ფენაში ცალკეული ნივთის მოხვედრა როგორც ზედა, ისე ქვედა ფენიდან. ასეთი შემთხვევები ხშირი იყო სხვა ჰორიზონტებშიც. ჩვენი დაკვირვება გვავარაუდებინებს, რომ ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია აქ საქმე გვქონდეს თიხის თხელი შრის ზემოქმედებასთანაც ქვევით მდებარე განსხვავებული სტრუქტურისა და შეფერილობის მქონე კულტურული ფენის გარკვეულ დონეზე. წყლისა და ნესტის ზემოქმედებით თიხა ჩაიყობებოდა მიწის გარკვეულ სილრმეზე და მას მოყვითალო თიხის შეფერილობას. აძლევდა. ასეთ შრეებს I და II (თუ სხვა) კულტურულ ფენებს ზორის პირობითაუ მივიჩნევთ შუალედ ფენად, ხოლო მასში აღმოჩენილ მასალას, ტიპოლოგიური უპირატესობის მიხედვით, მივაკუთვნებთ ამ ფენაზაგან სათანადო (ზედა თუ ქვედა) დონეს.

III კულტურული ფენის სიმძლავრე ბორცვის შუა და ჩრდილო

ნაწილში (დიდი ოთხკუთხა განათხარის არეში) 1-1,3 მ აღწევდა. იგი იწყებოდა კორდოვანი ფენის ქვეშ მცირე სილრმეზე. III ფენა აქ ძირითადად წარმოადგენდა მოყავისფრო ან მოყვითალო თიხანარევი (ზოგჯერ ოდნავ მონაცისფროდ ან მოშავოდ შეფერილი). მიწის დაფენებას, რომელშიც ნაწილობრივ მცირე ბათქაში იყო შეჩეული. მის სხვადასხვა დონეზე შეინიშნებოდა ცალკეული მცირე მონაცვეტები თიხატკეპნილი იატაკით ან ბათქაშისა და ნახშირის შრეებით. III ფენის ზედაპირული დონე ჰუმუსული მიწისაგან შედგებოდა, რომელიც შეიცავდა აგრეთვე მოგვიანო (ანტიცური) ხანის კერამიკულ ფრაგმენტებს, ცალკე კულტურულ ფენად არ გამოგვიყვია. III კულტურული ფენაც დას. და ჩრდ. მხარეს თანდათან დაბლდებოდა და თხელჭებოდა. ეს გარემოება უნდა აიხსნას ბორცვის თანდათანობითი ზრდით უკვე შემაღლებული ადგილიდან, რომელიც შექმნილი იყო I და II კულტურული ფენებისაგან. III კულტურულ ფენას ყველაზე მეტად ეტყობოდა ნაძრავობა და სხვა. ფენებთან აღრევა, განსაკუთრებით ბორცვის კალთებზე (მათ დასაწყისთან), მკვეთრი დახრილობის ადგილებზე.

N-SA თხრილის ჩრდილო მხარეზე, ე. ი. დაახლოებით ბორცვის ცენტრალურ ნაწილში გამოვლინდა, 2,5 მ სისქის ყვითელი სტერილური თიხაზვინული (ტაბ. 15; 16,1), რომელზეც იდო II კულტურული ფენა. ეს უკანასკნელი ბორცვის თავიდან, დაახლოებით ნულის დონიდან იწყებოდა. აღნიშნული თიხაზვინული დაყრდნობილი იყო ძელების მძლავრი ჭარგვლური წყობებისაგან შედგენილ დიდ ოთხკუთხა ნაგებობაზე და დაახლოებით მასვე შეესაბამებოდა. თიხაზვინულის ფუძე ოდნავ გადიოდა ძელების გარეთ. მთლიანი ნაგებობა წარმოადგენდა დიდი უჯრედისებური ოთხკუთხედებისაგან შედგენილ სისტემას (ტაბ 9,1; 15). ჭარგელისებურ წყობას ქმნიდა ოთხოთხი ან სამ-სამი ძელი (ტაბ. 5,1-2; 6; 7,1-2; 16,1-7). თიხაზვინული ქვედა ძელების ძირამდე და ქველ გრუნტამდე. დადიოდა. ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მოცისფრო-მონაცრისფრო წმინდა ბლანტ თიხნარს, რომელზედაც (ძელების ქვეშ) შეიმჩნეოდა ფოლებისა და წვრილი ტოტების საკმაოდ მკვრივ თიხაში შეტკეპნილი, მოშავო თხელი საფენი, როგორც ჩანს, წყლისა და სინესტისაგან ჭელების დასაცავი. ზოგან ხის ძელების გაყოლებით მთელი კედლის (წყობის) დონეზე თიხნარი მოშავო ან მონაცრისფრო იყო. ჩანს, ასეთი შეფერილობა ყვითელ თიხნარს ხეების გახრწნის შედეგად ჰქონდა მიღებული.

ალბათ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბორცვის სამოსახლოს ცენტრი, ერთ-ერთი ადრეული ნასახლარისა მაინც, სწორედ დიდი თიხაზვინულის ადგილია, და არა უფრო ჩრდილოეთით მდებარე ნაწილი (ადრე ცენტრალურ ნაწილად მიჩნეული), სადაც დიდ განათხარში გამოვლინდა ცენტრალური ნავებობის იერის მქონე ოთხკუთხა ძელური წყობა და მის ჩრდილოს. მხარეს მორკალურ ლიანდაგისებრ დაწყობილი ძელები.

როგორც ითქვა, დიდი თიხაზვინულის ჩრდილო მხარეს, დიდ ოთხკუთხა ქვაბულში (განათხარში) უფრო დაცული სახით კი მის ჩრდ.-აღმ. ნაწილში ფიქსირებულ იქნა თიხნარის შედარებით თხელი ფენა, იატაკისებური ზედაპირით, რომელზეც იდო II კულტურული ფენა. ყველა მხარეს იგი ერთნაირად არ ვრცელდებოდა, ან მოშლილი იყო. რამდენადმე შესამჩნევი იყო იგი განათხარის სამხ.-აღმ. კუთხეში, სადაც შემაღლებული თიხნარის ტერასული განლაგება იქმნებოდა (მასზე II კულტურული ფენა იდო) ხოლო უფრო ღრმად ამ ადგილებში I ფენა თითქმის თიხაზვინულის ძირს ებჯინებოდა. ამ შეერთების ადგილას (კვ. GE 92-C2). I ფენის ძირზე დაგებული იყო წაბლის ნაჭუჭების მჭიდრო საფენი (5 სმ სისქის), რომელზეც ელაგა შედარებით მჭიდრო წყობის მომცრო რიყის ქვები. ძირს მცირედი შემაღლება ჰქონდა სამხრეთ მხარეს, თიხაზვინულისკენ. გარკვეული მსგავსი სურათი გვაქვს სამხრეთ მხარეს, N-S თხრილის დაახლოებით შუა ნაწილში (კვ-ბი HE 63-64), სადაც სქელი თიხაზვინული მკვეთრად (შვეული ნაპირით) წყდებოდა. აქ, სქელი განდაგანი მორების გარეთ, ზვინულის ძირს უერთდებოდა, ხოლო სამხრეთით, თითქოს თხრილის სამხრ. ბოლომდე მიემართებოდა თხელი (საშუალოდ 0,15—0,2 მ სისქის) თიხნარის ფენა, რომელზედაც შედარებით თხელი II კულტურული ფენა (თუ I და II ფენების შერეული პლასტი) იდო. ყოველივე ეს, ვფიქრობთ, თიხაზვინულისა და I კულტურული ფენის თანადროულობის მანიშნებელი უნდა იყოს, აღნიშნულ კვადრატებში და ტრანშეის ჩრდილო ნაწილში ჭარგვლისებური ძელური წყობის ძირი და შავთიხიანი თუ მონაცრისფრო გრუნტის ზედაპირი 3,1 — 3,3 მ სიღრმეზე იყო ნულის დონიდან (დაახლოებით ბორცვის თავიდან), ძელური წყობის თავი — 2,3 მ-ზე (ტაბ. 16,1).

როგორც ვიცით, N-SA ტრანშეის სამხრეთ ბოლოზე, ტრანშეის ძირზე ჩაჭრილ ვიწრო (შურფისებურ) თხრილში (კვ-ბი HE 03, IE 13, W ნაწილი) (ტაბ. 7,3; 15) შეიმჩნეოდა. I-II ფენების მნიშვნელოვანი სიმძლავრე და დაღრმავება. ამ ფენათა საერთო სიმძლავ-

რე 1,5-2 მ აღწევდა, ხოლო კულტურული დაფენების ძირი ნულის დონიდან — 4,-4,5 მ. I ფენა წარმოადგენდა შავი თიხის პლასტის, II ფენა დაახლოებით იმავე სისქის მოცისფრო-მონაცრისფრო თიხნარს. II ფენის ძირზე დაგებული იყო მცენარეული საფენი, იგი წარმოადგენდა ფოთლიანი წვრილი ხის ტოტების მჭიდრო საფენს, რომელიც შესანიშნავად იყო დაცული ბლანტ და სველ თიხაში.

N-SB ტრანშეის ჩრდილო ნაწილში (კვ-ბი HE 61,71) გამოვლინდა დიდი თიხაზვინულის დას. ნაპირი, რომელზედაც II ფენის შრები იდო და რომლის ზედაპირი (კულტურულ ფენასთან ერთად) აქ, ნაპირისაკენ მკვეთრად იყო დაქანებული (ტაბ. 9,1). აქ გათხრები ძირამდე არ დაგვიყვანია. თხრილის უდიდეს ნაწილში, II ფენის ზევიდან ედო. IV კულტურული ფენის სხვადასხვა შრე. ტრანშეის სიგანის მიხედვით ისინი დასავლეთ მხარეს იყო დაქანებული, სიგრძივი დამხრობის მიხედვით — სამხრეთისაკენ.

დიდ ოთხკუთხა განათხარში I ფენის ორი დონე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომელიც გამოიყოფა ქელების ძირა წყობებით. ბორცვის პერიფერიებზე დადგინდა I-III კულტურული ფენების მეტი სიმძლავრე, დანაწევრება და დაღრმავება (№ 1; 2; 4; 5 თხრილები; OW1 და O-W2 ტრანშეები). № 1-2 თხრილების უღრმეს განათხარებში (ტაბ. 18; 19) შევნიშნეთ მონაცემები, რომელთა მიხედვით შესაძლებელია ქვედა, I-II ფენების ორ-ორი დონე (თუ ქვეფენა) მაინც გამოიყოს. ზოგან III-IV ფენებიც აგრეთვე ნაწევრდება დონეების განათხარებით. ფენათა და დონეთა გამოყოფის საფუძველს აქ პირველ რიგში წარმოადგენდა ქელური წყობების, მცენარეული საფენის თხელი დანახშირებული შრის, ბათქაშის გროვის დაფენებისა, თუ ფენათა სტრუქტურული განსხვავების არსებობა (ტაბ. 10—14; 17—21). თუმცა, ყველა მონაცემები უწყვეტად არ შეგვხვედრია ასეთი მონაცემები.

გაირკვა, რომ ბორცვის ცენტრალურ ნაწილში სადაც დიდი თიხაზვინული და ჯარგვლისებური წყობის ქელური ნაგებობის სუბსტრუქცია მდებარეობდა და სადაც ქველი გრუნტის ზედაპირი ნულის დონიდან (დაახლოებით ბორცვის თავიდან) 3,1 — 3,3 მ სიღრმეზე იყო, უძველეს ხანაში. ე. ი. სამოსახლოს წარმოშობის მომენტში, წარმოადგენდა ბუნებრივ შემაღლებას და ამ თავდაპირველი სამოსახლოს ცენტრალურ ნაწილს, სადაც დასაწყისშივე აიგო ქელური ნაგებობა და მასზე აღიმართა დიდი თიხაზვინული (შეიძლება ჩვენამდე შემორჩენილი მოცულობისა). ამის შესაბამისად, ქვედა ჰორიზონტთა კულტურული ფენები, უმთავრესად დაქანებული იყო

ჟველა მიმართულებით, ხოლო ზედა კულტურული ფენები, რომლებიც დიდი თიხაზვინულისა და შემდეგ წარმოქმნილი სხვა ხელოვნური შემაღლებების პირობებში დაეფინა, ცალკეულ ნაგებობათა თუ საცხოვრებელ ფართობთა ტერასულ განლაგებას ადასტურებდა და მთლიანობაში უფრო მეტ დაქანებას ავლენდა ბორცვის ნაპირებისაკენ. I კულტურული ფენის ძირი, რომელიც ყველგან თიხნარის გრუნტზე იდო, ბორცვის ზოგიერთ პერიფერიულ ნაწილში 4,1—4,15 მ სიღრმეზე აღმოჩნდა ნულის დონიდან დაშორებით (მაგ. № 1 თხრილის ულრმესი განათხარი), ხოლო ზოგან—4,5 მ-ზე (№ 5 თხრილის ულრმესი ნაწილი მის სამხრეთ ზოლში), ქვედა ფენის პირი გრუნტის თავზე ჩვეულებრივ მოგებული იყო პცენარეული საფენით ან ერთ ფენად დალაგებული წვრილი რიყის ქვით. ასეთი „იატაკები“ იშვიათად ზედა ფენების ძირზეც შეიმჩნეოდა.

დიდი თიხაზვინულისა და ძელური სუბსტრუქციის სხვადასხვა ნაწილში დადებულ თხრილებში — N-SA ტრანშეის ჩრდილო და შუა ნაწილში, №2 თხრილში (თიხაზვინულის ჩრდ.-დას. ნაწილი და ჩრდილო მოსაზღვრე მონაკვეთი), N-SB თხრილის ჩრდილო ბოლოსთან და O-W 2 ტრანშეის დასავლეთ ბოლოზე გაირკვა, რომ ძელური სუბსტრუქციის შიგნით, თიხაზვინულის ქვეშ აქაც არავითარი კულტურული ფენა ან სხვა რაიმე კულტურული ნაშთი არ არსებობს. ეს იმ დროს, როდესაც ირგვლივ ყველა მხარეს დასტურდება ადრეული (I-II) კულტურული ფენების არსებობა და უიხაზვინულის თავზე — II ფენისა.

თხრილებში გამოვლინდა და გაიწმინდა თიხაზვინულის აღნიშნული ძელური საყრდენი დიდი ნაგებობის ცალკეული ნაწილი, რომელიც კარგად ავსებდა მის მთლიან რეკონსტრუქციულ გეგმას. ეს იყო საშუალოდ 0,2-0,3 მ სისქის მრგვალგანივეკვეთიანი ოთხი ძელისაგან შედგენილი ჯარგვლისებური წყობის შვეული კედელი საშუალოდ 1 მ სიმაღლისა, რომელსაც (ნაგებობის მთლიანი გეგმის შესაბამისად) ჰქონდა დამხრობა NWN-SOS ან WSW-ONO. ქვედა ძელი ყველგან გრუნტის თავზე მჭიდროდ დაგებულ მკვრივ მცენარეულ საფენზე იდო. ასე, რომ ამ ცალკეული ნაწილების მიხედვით ნაგებობის გეგმა მთლიანად იკვრება. ესაა დიდი კვადრატული ნაგებობა, რომლის გვერდების სიგრძე 12 მ უდრის, ხოლო ფართობი 144 კვ. მ. მასთან ერთად წარმოდგენა გვექმნება თიხაზვინულის მოცულობაზე, რომელსაც არანაკლები ფართობი უჭირავს, ვიდრე ძელების ნაგებობას, მისი ძირი რამდენადმე ძელებს გარეთ გადის.

თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, ნოსირის ბორცვის ამ ცენტრალური ნაწილის შესახებ ჩვენ ახლა უკვე შეგვიძლია ახალი დასკვნა გავაკეთოთ: დიდი თიხაზვინული და მის ქვეშ მდებარე ჯარგვლური ტიპის საყრდენი ნაგებობა ეკუთვნოდა არა II კულტურული ფენის დროინდელ სამოსახლოს, როგორც ამას ადრე ვფიქრობდით, არამედ I კულტურული ფენის დროინდელ თავდაპირველ დასახლებას.

თუმცა უნდა ითქვას, რომ არსებობს მონაცემები, რომლებიც შეიძლება ეწინაღმდეგებოდეს ზემომოყვანილ დასკვნას. მაგალითად, თიხაზვინულის თავზე I კულტურული ფენის არარსებობა. იშვიათ შემთხვევაში აქ გვხვდება I ფენის კერამიკის მსგავსი ცალკეული ფრაგმენტები, რომელთა II ფენისადმი კუთვნილება პრინციპულად გამორიცხული არ არის, მაგრამ შეიძლებოდა ისიც გვიფიქრა, რომ თავის დროზე I ფენა აქ უმნიშვნელო სიმძლავრისა იყო, ხოლო მთავარ საცხოვრებელს წარმოადგენდა დაბალი ნაწილი და არა თავდაპირველი ბორცვისებური დიდი თიხაზვინულის თავი და კალთები, რამდენადაც ამ უკანასკნელთ მკვეთრი დაქანება ჰქონდა და პირველი (ძირა) კულტურული ფენი ზვინულის ძირამდე მოდიოდა. თიხაზვინულის პერიფერიული (ნაკლებდაფერდებული) ნაწილი კი, რომელზეც საცხოვრებელ ნაგებობებს ტერასული განლაგება ჰქონდა (მსგავსი განლაგება კიდევ უფრო თვალნათლივ დასტურდება „კეკელურ ზუგაზე“ და „ნაჭვის ზუგაზე“), შემდგომ პერიოდებში უნდა წარმოქმნილიყო.

ასევე შეიძლება ვიფიქროთ, რომ დიდი თიხაზვინულის თავზე და კალთებზე, II ფენის სამოსახლოს დასაწყისში (თუ ცალკეული ნაგებობის გამართვისას) მოეხსნათ დღევანდელი თიხაზვინულის თავზე, თუ უფრო აღრეულ დაბალ ზვინულზე დაფენილი წინა პერიოდის ნაგებობათა ნაშთები რათა შლადი და მწებვარე ნარჩენებისაგან გაეწმინდათ დასახლების ადგილი და სიმყარე უაებრუნებინათ თიხნარის სუბსტრატისათვის.

შეიძლებოდა ასაკობრივი განსხვავების ნიშნად მიგვეჩნია დიდ თიხაზვინულში სხვადასხვა დონის თიხებს შორის თხრილების ზოგიერთ ჭრილზე შემჩნეული განსხვავება, მაგ., O-W2 ტრანშეის სამხრეთი ჭრილის დასავლეთ ნაწილზე, სადაც ყვითელი თიხის სისქეში გამოიყოფა მოყავისფრო თიხის ფართო ზოლი, მაგრამ მონაცემები გარკვევით არაფერს გვეუბნება.

ვფიქრობთ, რომ ყველა ვარაუდიდან უპირატესობა თიხაზვინულისა და დიდი ძელური სუბსტრუქციის თავდაპირველად აგებას უნდა

და მიენიჭოს. ეს ვარაუდი კი ემყარება დიდი თიხაზვინულის ძირზე კულტურული ფენის არარსებობისა და მის ირგვლივ უძველეს დაფენებათა გავრცელების ფაქტს, რაც თითქოს უფრო სარწმუნო არგუმენტი ჩანს.

საველე მუშაობისათვის ძალზე არახელსაყრელი პირობების გამო ვერ მოვახერხეთ O-W1 ტრანშეის უღრმესი ნაწილისა და №3 თხრილის ბოლომდე, გრუნტამდე დაღრმავება (ტაბ. 9,1), მაგრამ ამ თხრილებიდან მიღებული მონაცემები არ ეწინააღმდეგება ძირა ფენების შესახებ ჩვენს ყოველგვარ თვალსაზრისს და არ არღვევს საერთო სტრატიგრაფიულ სურათს.

ბორცვის უგვიანესი, IV კულტურული ფენის შესატყვისი მასალა თავდაპირველად დაფიქსირდა მის დასავლეთ კალთაზე, O-W (O-W1) ტრანშეაში, განსაკუთრებით ტრანშეის დასავლეთ ნაწილში. ბორცვის ზედა პორიზონტში დიდი თხრილის ფართობზე აღმოჩნდა ამ ფენისათვის დამახასიათებელი კერამიკის მცირე რაოდენობა, მაგრამ ცალკე კულტურული ფენის საჭირო ჩვენ ამგვარი ნაშთების დაფენება აქ არ შეგვინიშნავს. I საძიებო მოედნის ძირა ფენა, ჩვენ მიერ სინქრონიზებულია ბორცვის IV ფენასთან.

IV კულტურული ფენა განსაკუთრებით მძლავრად ბორცვის სამხრეთ ნაწილში გამოიყო (N-SA ტრანშეის შუა და სამხრეთ ნაწილი და N-SB ტრანშეა) (ტაბ. 9,1), მხოლოდ ბორცვის პერიფერიულზე დადგენილი ეს ფენა თანდათან მძლავრდებოდა ბორცვის კიდეებისაკენ და თანამედროვე ნიადაგზე უფრო ღრმად ეშვებოდა ძირისაკენ. აქ იგი (ან მისქვეშა თიხნარის შრე) ზოგან უშუალოდ II ფენაზე ყო დაყრდნობილი. III ფენა, პირიქით, პერიფერიულზე სუსტდებოდა ან იქამდე არ აღწევდა. IV ფენის ცალკეული დონეები (კერამიკის, ზოგჯერ ბათქაშისა და ნახშირის შემცველი ჰუმუსირებული მოშავო მიწის შრეები) ხშირად ერთმანეთისაგან გამოიყოფოდა ხელოვნურად დაფენილი თხელი სტერილური ყვითელი თიხნარით ან თიხანარევი მიწის შედარებით თხელა ფენით. ეს თიხა, ჩანს, ცალკეული საცხოვრებლის თუ სამოსახლოს გამართვის დროს იყო დაგებული. IV ფენისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მასალაა ფართოკანელურებიანი დიდი ზომის კერამიკული ჭურჭელი (მოპოვებულია ფრაგმენტების სახით). სწორედ კალენურებიანი კერამიკა აახლოებს ბორცვის IV ფენას ნოსირის ნამოსახლარის ტეხურისპირა ქვედა (I) კულტურულ ფენასთან.

მდ. ტეხურის ნაპირას — I საძიებო მოედანზე, დაფენებათა

უდიდესი სისქე ხვდებოდა ამ მოედნის აღმოსავლეთ ბოლოზე (ტაბ. 2; 8; 16,9) ულრმესი ფენა აღწევდა 4,5—4,7 მ მიწის ზედაპირი-დან (კვ. CE 27-28, 37-38). აქ გრუნტში შექმნილი იყო ჩაღრმავება თუ ჩავარდნა, რომელიც მდინარის თანამედროვე კალაპოტის ძირზე უფრო ღრმად ჩადიოდა.

ქვედა (I) კულტურული ფენა, შავთიხიანი, რომელიც მონაც-რისფრო ან მოყვითალო თიხნარის გრუნტზე იდო და რომლის სიმ-ძლავრე 1,5 მეტრამდე აღწევდა, შეიცავდა რომელიღაც ნაგებობის მორებიან და ფიცრულ ნაშთებს (ტაბ. 16,9) და, უმეტესად, კანელუ-რებიან შავპრიალა კერამიკას (შეად. ტაბ. 41; 45). ეს კერამიკა ან-ლოს დგას ბორცვის IV ფენის კერამიკასთან, მაგრამ მასზე რამდე-ნადმე აღრეული უნდა იყოს.

ამ ფენის ზევით იყო მოყავისფრო მიწის ფენა აღრეანტიკუ-რი ხანისა, რომელიც გაჭედილი იყო სპარასხვანირი კერამიკული ნატეხებით. ამ ფენის ყველაზე მძლავრი მონაკვეთი, 1 მ-ზე მეტი სისქისა, შეიმჩნეოდა მოედნის იმავე ნაწილში, სადაც ქვედა ფენის უმძლავრესი და ულრმესი მონაკვეთი იყო, ტეხურისპირა II ფენის კერამიკულ მონაპოვართა შორის აღმოჩნდა ქიოსური და სწვა წარ-მოშობის ამფორათა ფრაგმენტები, რომლებიც ძვ. წ. IV-III სს. თარიღდება.

მოედნის ამავე ნაწილში, II ფენის ზემოთ კარგად გამოიყოფო-და 0,5 სისქის ყვითელი მიწის სტერილური შრე; მის ზემოთ კი-მიდიოდა თითქმის 2 მ სისქის მოყავისფრო მიწის ნაყარი, რომე-ლიც. როგორც ჩანს, შერეულ ფენას წარმოადგენდა ელინისტური და სწვა პერიოდების კერამიკული ფრაგმენტების შემცველს. ეს ზე-და ფენა მთელს მოედანზე გაითხარა 1967 წელს.

ნამოსახლარის სწვა განათხარ უპნებზე (მდ. ტეხურის ნაპირას) ფენათა მკაფიო სტრატიგრაფია არ გვქონია. მეტწილად აქ შერეუ-ლი ფენები ჩანდა, ხოლო ზოგან, მოპოვებული ნივთიერი მასალე-ბის ნაკლები გამომსახველობის გამო, მათი ასაკის მტკიცედ გან-საზღვრა ვერ ხერხდება.

„კიპრიური ზოგა“

1974 წლიდან ნოსირი-მუხურჩის არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა აგრეთვე გეგეპკორის რ-ნის სოფ. მუხურჩის მიდამოებში. გათხრების უმთავრეს ობიექტებს წარმოადგენდა: აღრე-ული რკინის ხანის სამაროვანი მუხურჩის მახლობლად, მდ. აბაშის მა-რჯვენა ნაპირას (1974, 1976 წწ.), ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი

ბორცვი „კეკელური ზუგა“ სოფლის განაპირას დასავლეთ მხარეს (1974-1976, 1979-1980 წწ.), აღრეანტიკური ხანის ნამოსახლარი პლანტაჟიან ფართობში „კეკელურ ზუგასთან“ (1975, 1980 წ.). და ნამოსახლარი ბორცვი „ნაჭვის ზუგა“ (1981 წ.).

1974 წ. გათხრები მუხურჩაში ძირითადად შეეხო აღნიშნულ სამაროვანს. ამავე დროს შედარებით მცირე მასშტაბის გათხრები ჩატარდა „კეკელურ ზუგაზე“ (კეკელიების ბორცვი) (ტაბ. 23,1).

„კეკელური ზუგას“ საერთო ფართობი შეადგენდა დაახლოებით 1200 კვ. მ. სიმაღლე — 3 მ. აღნიშნული შემაღლების გამო გათხრები ამ ბორცვზე უფრო პერსპექტიული ჩანდა, ვიდრე ნოსირის ბორცვზე. მართალია, აღმოსავლეთ და სამხრეთ მხრიდან მას ჩაის პლანტაცია ერტყა თითქმის ბორცვის ძირამდე, მაგრამ დასავლეთ მხარეს დიდი ფართობი იყო თავისუფალი, სადაც, კულტურული ფენების არსებობის შემთხვევაში, შეიძლებოდა თხრილების გავლება და გათხრების გაგრძელება, აგრეთვე მოთხრილი მიწის ვაზიდვა და დაყრა. ჩრდილოეთ მხარეს კი ღრმა არხი გადიოდა (O-W მიმართულებით), რომლის გამოყენებაც შეიძლებოდა ბორცვის ტერიტორიაზე განათხარებში დაგროვილი წყლის გადასაშვებად სპეციალური თხრილების საშუალებით (ტაბ. 26).

აღნიშნულ წელს ბორცვის დასავლეთ ფერდზე, დაახლოებით მის შუა ნაწილში, დაიდო 10 მ-მდე სიგრძის, 2 მ სიგანისა და საშუალოდ 1 მ სიღრმის საკონტროლო თხრილი (კვადრატები HH 12-13 14-15-16, S ნაწილი; 21-22-23-24-25-26, N ნაწილი; ტაბ. 26), რომელშიც გამოვლინდა წითელი ბათქაშის მძლავრი ფენა და ნაბშირის ნაშთები, კერამიკული ფრაგმენტების დიდი რაოდენობა; ქვისა და ძვლის სხვადასხვა ნივთები (რიყისა თუ ქვიშაქვის ხელსაფქვავები, სანაყები, „კვერის საცხობი“ მრგვალი ბრტყელი რიყის ქვები და სხვ.). მონაცემები ცხადყოფდა ბორცვზე კულტურულ დაფენებათა დიდ სიმძლავრეს და ძლიერი ხანძრის კვალს. გასათხრელად შევარჩიეთ ბორცვის ჩრდ.-დას. სექტორი, რომლის დალრმავება განისაზღვრა შესაძლებლობისდაგვარად მთლიან ფართობზე. ამის შედეგად უნდა მიგვეღო N-S და W-O დიამეტრულ ხაზებზე გამავალი ძირითადი ჭრილები.

1975 წელს გათხრები დავიწყეთ ბორცვის თავზე ცენტრის მახლობლად და მისგან რამდენადმე ჩრდილოეთით მდებარე კვადრატებში (კვადრატები HH 59-50, 69-60; 79-70; 89-99-90; 08-09-00) (ტაბ. 27,1). ბორცვის ცენტრის მახლობლად, კორდოვანი ფენისა და მოყავისფრო სტერილური ფენის ქვეშ, ბორცვის თავიდან (დაახლ-

ოებით ნულის დონიდან) 0,35—0,40 მ სიღრმეზე იდო ყვითელი სტერილური თიხნარი, რომელიც ერთ ადგილას 0,3 მ სიღრმეზე ჩავჭერით და თავიდანვე მივიჩნიეთ დიდი თიხაზვინულის ზედა ნაწილად. ასეთი ვარაუდის საფუძველს გვაძლევდა ნოსირის ბორცვის სტრუქტურის გათვალისწინება. საკუთრივ ცენტრიდან რამდენადმე დაშორებით იწყებოდა ნახანძრალი კულტურული ფენა, რომელიც გრძელდებოდა სექტორის ყველა მიმართულებით (ტაბ. 27).

1976 წელსაც გათხრები ნაწილობრივ, მცირე მასშტაბით შეეხო „კეკელურ ზუგას“ რამდენადაც ექსპადიციის ვადებისა და სახსრების მეტი ნაწილი დაეთმო მუხურჩის სამაროვნისა და ნოსირის ბორცვის გათხრებს. აღნიშნულ წელს ბორცვის თავზე წინა წელს გათხრილ ფართობს მიემატა განათხარი კვადრატებში: HH 37; 46-47-48-49-40; 54-55-56-57-58; 65-66-67-“8; 73-74-75-76-77-78 83-84-85-86-87-88; 96; 06. უღრმესი დონე გათხრების მიხედვით გვქონდა HH 87 კვადრატში, სადაც განათხარის ძირი ნულის დონიდან (დაახლოებით ბორცვის თავიდან) 2 მ სიღრმემდე აღწევდა. გათხრილ ფართობზე სხვადასხვა მონაკვეთებად გამოვლინდა წითელი ბათქაშის გროვები, ნახშირის შრეები, ზოგან — დანახშირებული ძვლის ნაშთი; ყვითელი თიხნარის შემაღლებები, თუ მოყავისფერო კორდოვანი მიწის დაფენება. კულტურული პლასტის ეს კომპონენტები თითქმის ყველგან მრავლად შეიცავდა ნივთიერ მასალას.

1977-1978 წლებში „კეკელურ ზუგაზე“ საველე სამუშაოები არ ჩატარებულა. 1977 წ. მუშაობა გაგრძელდა ნოსირის ბორცვზე, ხოლო 1978 წელს ექსპედიციის წევრები სხვა, სპეციალური სამუშაოებით იყვნენ დაკავებული.

1979 წელს „კეკელურ ზუგაზე“ მუშაობა განახლდა. გათხრების ფართობზე (ჩრდ.-დას. სექტორში). ბორცვის ძირითადი შემაღლების სათანადო ნაწილზე, გარდა უკიდურესი პერიფერიებისა, მთლიანად მოიხსნა ზედა კულტურული ფენა (ტაბ 23,2; 27,2). ეს ფართობი ჩრდილოეთ მხარეს აღწევდა HH 44-40 კვადრატების შუამდე, ხოლო დასავლეთით HH 04-44 კვადრატებამდე (ჩათვლით). იგი შოიცავდა 42 კვადრატს და უდრიდა დაახლოებით 168 კვ. მ. საშუალოდ 1 მ სიღრმით გათხრილს თიხაზვინულის (როგორც შემდეგში დაზუსტდა, თიხნარის სქელი ფენის) პრეპარირებულ ზედაპირზე მცირე ჩაღრმავებების ან ბურცოპების ნაპირები შვეულად გვქონდა ჩაჭრილ-შემოსწორებული (ტაბ. 23,2; 27,3), ზოგან, O-W ტრანშეის აღმოსავლეთ ბოლოზე და ჩრდილოეთ მხარეს (N-S ჭრილთან) თიხნარის მკვეთრად დაქანებული ზე-

დაპირი ჩაჭრილი იყო კიბისებურად, საფეხურისებრ (ტაბ. 23,3). ეს გამოწვეული იყო კულტურული დაფენებისა და ნაზვინი თიხის ზე-დაპირის ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამოყოფის სიძნელეებით და ძნელად მისაღვიმ ადგილას (ფერდებზე) იმავე ზედაპირის დროებით ფიქსირებისათვის) შენარჩუნების საჭიროებით.

ბორცვის დაბალ (პერიფერიულ) ნაწილზე და მის გაგრძელებაზე ბორცვის გარეთ, ბორცვის ჩრდილოეთ-დასავლეთ სექტორის სამხრეთ ხაზის გასწვრივ, დავდეთ O-W ტრანშეა (ტაბ. 24,1). იგი ემთხვევოდა სიგრძივი განლაგების 10 კვადრატს, HG 07-დან HH 06-მდე. სილრმე (მიწის ზედაპირიდან) უდრიდა საშუალოდ 2 მ. ეს მიმართულება ავირჩიეთ პირველ რიგში იმის გამო, რომ ამ მნარეს, როგორც ალვნიშნეთ, ბორცვის გარეთ თავისუფალი არეა. O-W ტრანშეს აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა იგივე ბათქაშიანი და ნახშირნარევი კულტურული ფენა 0,7 — 1,5 მ სიმძლავრისა (იხ. ჭრილები, ტაბ. 28; 29, 1,3). ტრანშეის სამხრეთ ჭრილი უახლოვდებოდა დიამეტრულ ხაზს და სიგრძივ უერთდებოდა ბორცვის ზედა ნაწილის უმთავრეს ჭრილს (წინა წლებისას). ტრანშეის ამავე ნაწილში (კვ. HH 04-06) გამოვლინდა თიხის მძლავრი ფენა დაახლოებით 1,50 მ სისქისა. იგი მაშინ დიდი თიხაზვინულის ნაწილად მივიჩნიეთ, მაგრამ შემდეგში აქ სხვაგვარი ინტერპრეტაცია უფრო შესაფერისი გამოდგა. კულტურული ფენა ამ წელს ყველგან ძირამდე (თიხნარის ფენამდე) არ გათხრილა. ტრანშეის დასავლეთ ბოლოზე დავლრმავდით ძველ გრუნტამდე (ერთ მონაკვეთზე, ტაბ. 28).

1980 წელს საბოლოოდ გაიწმინდა, პრეპარაციით დაზუსტდა და სათანადოდ დაფიქსირდა ბორცვის იმავე სექტორში თიხაზვინულის (თიხნარისანი ფენის) ზედაპირი, მისი რელიეფური დეტალები და სხვ. მაგრამ ამ წლის გათხრების უმთავრესი მიზანი გახდა—ბორცვის სტრატიგრაფიის შესწავლა აღნიშნულ სექტორში, მის რომელიმე ნაწილში მთლიანი ვერტიკალური ჭრილის მიღებით.

O-W ტრანშეა აღმოსავლეთ მხარეს გაგრძელდა ბორცვის ცენტრამდე და მნიშვნელოვნად დაღრმავდა ტრანშეის მთელი ეს ნაწილი, ბორცვის თავიდან დასხლ. 3 მეტრამდე (ტაბ. 24, 1; 29,3).

ამავე მიზნით დადებულ და დაღრმავებულ იქნა N-S ტრანშეა (ტაბ. 25), რომელიც გავლებულ იქნა სექტორის ამავე დამხრობის გვერდზე, დაახლოებით ბორცვის N-S დიამეტრზე (ტრანშეს აღმოსავლეთ გვერდის მიხედვით). იგი დაიწყო ბორცვის ჩრდილოეთ ნაპირიდან, HH 20 კვადრატის ნიშნულიდნა და გაგრძელდა HH 70 კვ-ის ნიშნულამდე (სიგრძე — 10, სიგანე — 2 მ, სილრმე — სხვა-

დასხვა ნაწილში სხვადასხვა). შუა და ჩრდილოეთი ნაწილის აღმო-სავლეთ მხარეს ტრანზეის ძირი უფრო ვიწრო თხრილის სახით ჩავ-ჭრით (1 მ სიგანეზე). ამან საშუალება მოგვცა 1,5 მ-ით კიდევ უფრო ღრმა დონეზე შეგვესწავლა ბორცვის სტრატიგრაფია გრუნ-ტამდე და სხვ. აღნიშნული ვიწრო თხრილის სამხრეთ ბოლოზე და-მატებით გაკეთდა პატარა შურფი, რომელიც მოშავო-მოყავისფრო თიხნარის გრუნტამდე დავიდა — ზედაპირიდან 4,5 მ-დე. გარდა ამისა, ეს ვიწრო განათხარები წყლის შეგროვებისა და შედარებით ადვილად ამოწურვის შესაძლებლობას ქმნიდნენ.

* * *

ზუგაზე თიხნარის ზევით აშკარა სტრატიგრაფიული დაყოფა არ შეგვიმჩნევია. აქ ერთი კულტურული (ნახანძრალი) ფენის არსე-ბობა დავადგინეთ, რომელიც დაახლოებით სინქრონული ჩანს ნო-სირის II-III ფენებისა (იხ. ქვემოთ). დიდი ფართობის ერთდროუ-ლად გათხრამ მისი თანდათან დადაბლებით საშუალება მოგვცა მთლიანი სახით გეგმაში გამოგვევლინა და დაგვეფიქსირებინა ნაგე-ბობათა ნახანძრალი ნაშთები (ბათქაში, ნახშირის შრეები თუ ძელთა ნარჩენები) და, თიხაზვინულის ზედაპირზე არსებული ჩალრმავებე-ბის მიხედვით, ტერასული განლაგების ნახევარმიწურის ტიპის ნაგებობათა საფუძველი და ძირი. ჩალრმავებების მსვავსი სუ-რათი ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო ნოსირის ბორცვიდან. ნო-სირის ბორცვის მაგალითისამებრ, „კეკელურ ზუგაზეც“ მოსა-ლოდნელი იყო დიდი თიხაზვინულის ძირზე (ზვინულის ქვეშ) ხის ძელების საყრდენი კონსტრუქციის არსებობა, რის ვარაუდიც ჯერჯერობით არ გამართლდა. მაგრამ „კეკელური ზუვას“ აგებუ-ლებას შეუძლია ნოსირის ბორცვის მონაცემების შევსება.

O-W ტრანზეაში აღნიშნული კულტურული ფენა წყდებოდა HH 01 და 02 კვ-ბის ზღვარზე (დაახლოებით ბორცვის ნაპირთან). აქვე იწყებოდა და დასავლეთით გრძელდებოდა (კვ-ბი HH 01, HG 00, 09, 08) თითქმის ამავე სტრუქტურის ფენა. ეს ზღვარი სუსტად ჩანდა (ტაბ. 28,1), მაგრამ ახალი ფენა შეიცავდა მხოლოდ და მხოლოდ ადრეანტიკური ხანის საწყისი პერიოდის კერამიკას. ამ კერამიკის მიხედვით იგი თანადროული ჩანს აქვე ახლოს, პლანტა-ზიან ფართობში ჩვენ მიერ შესწავლილი ნასოფლარის კულტურული ფენისა (1975, 1980 წწ.). და შეიძლება მის უშუალო გაგრძელება-საც წარმოადგენდეს ზედ ბორცვის ნაპირამდე. ამ შემთხვევაში სა-მოსახლო ბორცვთან ეს ფენა არავითარ კავშირში არ უნდა იყოს.

O-W ტრანზეის დასავლეთ ნაწილში კულტურული ფენის ქვეშ

მდებარე გრუნტი, რომელიც ნულის დონიდან 5 მ სიღრმეზე იწყება, ჩავჭრით ვიწრო თხრილით და მცირე შურფით (ტაბ. 28,2), რომლებიც გამოგვადგა აგრეთვე სველი გრუნტიდან გამონაუონი თუ ნაწვიმარი წყლის დასაწრეტად და შესაკრებად. სველი გრუნტი წარმოადგენდა ქვიშა-და სილანარევი ყვითელი თიხის ფენას. გასზე იდო აგრეთვე გრუნტისეული, სუფთა და მკვეთრი მუქი ყავისფერი თიხნარი 0,5 მ სისქისა, რომელიც მთელ თხრილში გრძელდებოდა აღმოსავლეთ მხარეს სქელ ნაზვინ თიხნარამდე. კულტურული ფენის ძირზე თხელი (0,2 მ სისქის) ყვითელი თიხის შრე, რომელიც აგრეთვე ამ ადგილს უერთდებოდა, ხელოვნურად უნდა იყოს დაგებული. სველი თიხნარი კი თავის მხრივ იდო მოცისფრო-მონაც-რისფრო თიხაზე, ბორცვის თავიზან (და დაახლოებით ნულის დონიდან) 6 მ სიღრმეზე. ისე როგორც კულტურული ფენა, გრუნტიც ბორცვის შუა ნაწილისკენ, თიხაზვინულისკენ მაღლდება. სამო-სახლო ბუნებრივ შემაღლებაზე უნდა იყოს დაფუძნებული.

შეგრამ, როგორც უკვე 1980 წელს O-W და N-S ტრანშეების მიხედვით მიღებულმა მონაცემებმა გვიჩვენა, ბორცვის შუა ნაწილში გვქონდა არა მთლიანი დიდი თიხაზვინული, არამედ ნაზვინი ყვითელი თუ მოყვითალო ან მოყავისფრო თიხის მძლავრი ფენები, რომლებიც წარმოადგენდნენ კულტურულ ფენათა საყრდენ-საფუძველს და, ამდენად, ამ ფენათა გამყოფ პლასტებსაც.

ფენათა სტრატიგრაფიული განლაგება მთლიანობაში „კეკელურ ზუგაზე“ ფიქსირებული გვაქვს O-W და N-S ტრანშეების საშუალებით მიღებულ ჭრილებზე (ტაბ. 28; 29). O-W ტრანშეების აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც ვერტიკალურ ჭრილებზე შეიმჩნეოდა სულ ცოტა ოთხი კულტურული ფენა და მათ ქვეშ ნაზვინი თიხნარის ამდენივე პლასტი (ტაბ. 29,1,3) სანამ ბორცვის სრული სტრატიგრაფიული სურათი არ გვაქვს, ფენათა ნორჩკლატურას ზევიდან ქვევით ვითვლით.

თიხნარის პლასტები ზოგიერთ ადგილას შეიცავდა კულტურულ ნაშთებს; კერამიკის ნატეხებს, ცხოველის ძვლებს და სხვ., თუმცა მცირე რაოდენობით. ვფიქრობთ, ამ ფაქტის ახსნა სავსებით შესაძლებელია მის ზედა კულტურულ ფენასთან ან სათანადო სამოსახლოსთან დაკავშირებული შემთხვევითობით, ანუ იქიდან მოხვედრით.

ყველა კულტურული ფენა ატარებდა ხანძრის კვალს. ყველაზე ძლიერ ეს კვალი ზედა ფენაში გამოვლინდა წითელი ბათქაშის დიდი (ზოგჯერ 0,5 მ მეტი სისქის) გროვების, ნახშირის სქელი შრეე-

ბის, თუ ნახშირნარევი მიწის, ძლიერი ცეცხლის შედეგად გაღაშით-ლებული მიწისა და გადაწყვარი კერამიკის სახით. ზედა ფენა, ბუნებრივია, ზოგან შეიცავდა ყავისფერ მიწას, მაგრამ ზოგან ნახანდ-რალ ნაშთებშიც შერეული იყო ყვითელი თიხაც.

O-W ტრანშეაზე მიღებული ჭრილების მიხედვით შეგვიძლია აღვნიშნოთ I (ზედა) ფენის მეტი დახრილობა ბორცვის ცენტრიდან მის ნაპირამდე, რაც სავსებით გასაგებია, რადგან მისი დაფენების პერიოდში ქვედა ფენები უკვე სათანადოდ გავრცობილი და შე-მაღლებული იყო. I ფენის ძირის მოხაზულობაში ზოგან შეიმჩნეოდა ჩაღრმავება (ორმო ან მიწურის ძირი), ზოგან კი (ჭრილის შუა-ნაწილზე) წყვეტილი (ტაბ. 29,1,3).

II კულტურული ფენა, ნახშირნარევი შავი ან მოშავო მიწისა, უკეთ იყო წარმოდგენილი ტრანშეის აღმოსავლეთ ნაწილში, ბორ-ცვის ცენტრისკენ. იგი აქ გამოიყოფოდა ცალკეული შრეების სახით (უდიდესი სისქე 0,3 — 0,4 მ), რომელიც ზოგან ერთდებოდა (ტაბ. 29,1). სწორედ ამ შეერთების, აგრეთვე ერთმანეთთან სიახლოვის სტრუქტურული შედგენილობის იგივეობისა და მასალის მსგავსე-ბის გამო ეს შრეები ერთ ფენად გამოვყავით. ზოგიერთი ეს შრე ძალზე ვიწრო დ ძალზე დამრეცი (განსაკუთრებით სამხრეთ ჭრილ-ზე), თითქოს ხაზისებური სახით ჩანდა (ალბთ დარღვეულობის გა-მო), მაგრამ თითქმის ყველგან ნივთიერი მასალის (კერამიკის) შემ-ცველი იყო. ბორცვის ცენტრის ახლოს (კვ. HH. 90-00; 99-09 აღ-მოსავლეთ ნაწილი) მათ ჰორიზონტული განლაგება და თითქმის სრუ-ლიად ერთნაირი სტრუქტურა ჰქონდა, იმ განსხვავებით, რომ ზედა-შრე უფრო ერთგვაროვანი იყო, ქვედა კი ჰორიზონტულად დაზო-ლილი (შავი და ღია ფერის ზოლები). უფრო დასავლეთ მხარეს ზედა შრე პირველი ფენის ძირს ეხებოდა, შემდეგ ეს შრე ვიწრო დამრეც ზოლად ეშვებოდა ქვევით და HH. 87, 97-07 კვადრატების დასავლეთ ხაზთან (S ჭრილის მიხედვით 07 კვ-ის აღმოსავლეთ ხაზ-თან) ერთმანეთს უერთდებოდა. დაახლოებით იმავე აღგილას ამ-ორივე შრეს წყვეტილის შემდეგ უერთდებოდა პირობითად III კულტურულ ფენად აღნიშნული დაფენება (რომელიც აღმოსავლეთ-მხარეს დაახლოებით იმავე სიმტლავის მოშავო შრედ ვამოიყოფო-და უფრო ერთგვაროვანი სტრუქტურით), აგრეთვე ყვითელი თიხნა-რის ძარჩე ან მის წიაღში მდებარე მოყავისფრო თიხანარევი (ასევე პირობითად) IV ფენა. ასეთმა დამთხვევებშა ძალზე გაართულა ფე-ნათა სტრატიგრაფიული გარკვევის საკითხი აღნიშნულ ნაწილში და-მის დასავლეთით, საითკენაც კულტურული დაფენება ერთ მთლიან-

ფენად გამოიყოფოდა. ძირა ჰორიზონტისა და მასში აღმოჩენილი მასალის ფიქსაციის დროს გამოვიყენეთ ერთიანი პირობითი აღნიშვნა — „III-IV ფენები“ რამდენადაც აქ შემჩნეული ცალკეული ფენები, თუ შრეები ყოველთვის არ ყოფილა ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამოყოფილი. საკმაოდ ღრმად, თითქმის ტრანშეის ძირზე ყავისფერთიხიან ფენაში აღმოჩნდა კერამიკის მცირეოდენი ნატეხები. მაგრამ იმის გამო, რომ აქ შემდგომი დაღრმავება და დაფენების ძირის გამოვლენა ვერ მოესწრო, ხოლო ბორცვის ცენტრის მხარეს ამ თიხნარის ქვეშ გამოჩნდა კიდევ ერთი, შავთიხიანი ფენა, რომელშიც კერამიკის ნატეხი აღმოჩნდა, ფენების საბოლოო განსაზღვრისაგან თავი შევიკავეთ. ქვედა ფენებს უფრო ნაკლები სიგრძივი გავრცობა და შემაღლება ჰქონდა, რაც აღრეული სამოსახლოს ნაკლები მოცულობით უნდა აიხსნას.

შევეცადეთ O-W ტრანშეის უღრმეს ნაწილში (ტრანშეის აღმოსავლეთ თავთან და ბორცვის ცენტრთან ახლოს) შეგვენარჩუნებია სამხრეთი კედლის ჭრილი, თუმცა გათხრების პროცესშივე ავღრისა და თხრილის დიდი სიღრმის გამო ჭრილი მნიშვნელოვნად დაზიანდა. ჩრდილოეთ კედლის ჭრილი (ტაბ. 28,2) თანდათანობით დადაბლდა, რადგან ტრანშეის (მისი აღმ. და ჩრდ. ნაწილის) ჩრდილოეთ მხარეს გავაახლეთ გათხრები და დავაღრმავეთ მთელი ეს ზოლი ერთი კვადრატის (2 მ) სიგანეზე. შემდეგში იგი კიდევ გაფართოვდა. II კულტურული ფენა აქ მოიხსნა HH 88-89-80-კვადრატებში, ხოლო უფრო დასავლეთით (კვ. HH 95-96) გაითხარა I ფენის ნაწილი, რომელიც დაბალ დონეზე ეშვებოდა. ამ ზოლის აღმოსავლეთ თავთან (კვ. HH 99-90 და ნაწილობრივ 89-80) პრეპარირებულ იქნა II ფენაში გამოვლენილი იატაკი (ტაბ. 24,2), რომელიც დაფარული იყო ნახშირის თხელი შრით და, მეტწილად, გადამწვარი კერამიკის ნატეხებით. ჩრდილოეთ მხარეს მდებარე ზემოაღნიშნული (პარალელური) ზოლები (კვ. HH 85-80 და 75-79), განსხვავებული დონეების და ჭრილების შენარჩუნებით, თანდათანობით დაღრმავდა.

N-S ტრანშეა (ტაბ. 25; 29,2). რომელიც ჩრდილოეთ მხარეს ბორცვის ძირამდე (ნაპირამდე) გრძელდებოდა, სამხრეთ მხარეს ბორცვის ცენტრამდე არ აღწევდა. იგი ხვდებოდა კვადრატებში HH 39-30; 49-40; 59-50; 69-60; 79-70, აღმოსავლეთ კედლის სახით მიღებული მთავარი ჭრილი აღასტურებდა. ძეგლის მრავალფენიანობას. ზედა, კორდოვანი შრე (0,1 — 0,3 მ სისქისა) შეიცავდა განსხვავებული პერიოდების ცალკეულ კერამიკულ ფრაგმენტებს. I კულტურული ფენა მძლავრი დაფენების სახით იყო გამოსახული

აღმოსავლეთ ჭრილზე (დასავლეთი ჭრილი სრული არ იყო, რადგან ადრე აქ მოხსნილ იქნა პირველი ფენა). კორდოვანი ფენის ქვეშ აღმოსავლეთ ჭრილზე გამოსახული იყო 0,3 — 0,5 მ სიღრმის ორმოსებური ორი ჩატქაშნარევი და ნახშირნარევი შავი ფენისა, ერთი მოგრძო (კვ. HH 30-40-50-60), მეორე მოკლე (კვ. HH 60 და 70-ს ნაწილი). სტრუქტურისა და მასალის შემცველობით ისინი არ განსხვავდებოდნენ კულტურული ფენის სხვა მონაკვეთებისაგან, რომელებიც O-W ტრანშეაში გვაქვს შესწავლილი. ჩატქაშებები გადატვირთული იყო კერამიკული მასალით, რომელშიც მრავლად იყო ნაკლებად გადამწვარი ფრაგმენტები. მათ ხშირად საკმაოდ არქაული იერი ჰქონდა—ნოსირის II კულტურული ფენის, ცალკეულ შემთხვევაში კი I ფენის კერამიკისა.

II კულტურულ ფენას უნდა წარმოადგენდეს ჭრილზე გამოსახული შედარებით თხელი, მოშავო-მოყავისფრო თუ მონაცემის ფრო შრეები. ზედა შრე (0,1 — 0,15 მ სისქის) გამოდიოდა სამხრეთის მხრიდან, ტრანშეის გაუთხრელი ნაწილიდან და I ფენის მცირეორმოსებურ ჩატქაშების უერთდებოდა, ქვედა შრე კი (0,2-0,25 მ სისქის) იმავე მხრიდან ჰორიზონტალურად მიემართებოდა ჩრდილოეთ მხარეს, მცირე ჩატქაშების ქვეშ გადიოდა მისგან გამოყოფილად და გრძელდებოდა მოზრდილი ჩატქაშების ქვეშ, რომლისგან რაიმე შუალედი შრით არ გამოიყოფოდა.

III (ქვედა) ფენას წარმოადგენს ტრანშეის აღმოსავლეთ ნაწილში (HH 60-70 კვადრატები), ზედაპირიდან 2-2,5 მ (ნულიდან საშუალოდ 3 მ) სიღრმეზე რამდენადმე დახრილად მდებარე მოშავო მიწის შრე. იგი სამხრეთით ისევ გაუთხრელ მიწაში შედიოდა, ხოლო ჩრდილოეთისაკენ ყვითელი თიხის სქელ ჰორიზონტალურ შრეს უერთდებოდა. კულტურულ ფენებს შორის არეს ავსებდა მოყვითალო ან მოყავისფრო სტერილური თიხა. ამავე სტრუქტურის თიხაში ტრანშეის აღმოსავლეთ ნაწილის ძირზე (კვ. HH 79), ზედაპირიდან 3,2—3,3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა მცირე რაოდენობის კერამიკის ფრაგმენტები. გაურკვევლობის გამო, თიხნარის ეს დონე ცალკე კულტურულ ფენად არ გამოგვიყვია და პირობითად III (ქვედა) ფენას მივაკუთვნეთ.

ტრანშეის შუა და ჩრდილოეთ ნაწილზე ჩაჭრილ ვიწრო თხრილში, ნულიდან საშუალოდ 5 მ სიღრმეზე (ზედაპირიდან 3-4 მ-ზე) თითქმის ჰორიზონტალურად (ჩრდილოეთ მხარეს ოდნავ დადაბლებულად) გამოვლინდა მოშავო-მოყავისფრო თიხის გრუნტი, ხოლო

0,5—0,6 მ უფრო ღრმად,—გრუნტისეული მონაცრისფრო თიხნარი.

„კეცვლური ზუგას“ I ფენის მნიშვნელოვანი სიმძლავეზე გამოვლინდა O-W ტრანშეის ცალკეულ მონაკვეთზე (ტაბ. 28; 29,3), მაგრამ ამ ფენის დანაწევრების მტკიცე საფუძველი ჭერჭერობით არა გვაქვს. მით უმეტეს ეს ეხება ქვედა ფენებს, რომელთა სიმძლავრე, შასალის შემცველობა თუ გამომსახველობა გაცილებით ნაკლებია. O-W ტრანშეის ერთ მცირე მონაკვეთზე ბათქაშისა და ნახშირის შრეების განლაგების მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა ამ ადგილას I ფენის ორი დონის არსებობა.

„ნაჭვის ზუგა“

„ნაჭვის ზუგა“ (ანუ „კოჩას ზუგა“) მდებარეობს სოფ. მუხურჩის დასავლეთით დაახლოებით 2 კმ-ზე. იგი წარმოადგენს ბრინჯაოს ხანის ხელოვნურ ნამოსახლარ ბორცვს (თიხის ხელოვნური დაზვინვითა და სამოსახლოს ნაშთების დაფენებით წარმოქმნილ შემაღლებას), რომლის დიამ. უდრის 40 მ, ხოლო სიმაღლე ბორცვის გარშემო ნიადაგის დონიდან — 4,5 — 5,0 მ-ს. ზედაპირის საერთო ფართობი 1500 კვ. მ-მდეა (ტაბ. 31; 32).

ძირითადი გათხრითი სამუშაოები „ნაჭვის ზუგაზე“ დაიწყო 1981 წ. როდესაც იგი წარმოადგენდა ექსპედიციის მუშაობის მთავარ ობიექტს. გასათხრელად შეირჩა ბორცვის ჩრდილო-დასავლეთი სექტორი, მისი გათხრა, ბორცვის ზედაპირის მნიშვნელოვანი დაქანების გამო, დაიწყო ტრანშეების საშუალებით, რომელთა ძირს ტერასულ დახრილობას ვუნარჩუნებდით (ტაბ. 30; 31). ბორცვის კიდიდან ცენტრალურ ნაწილამდე გავავლეთ 4 ასეთი ტრანშეა საშუალოდ 2 მ სიგანისა — სამი ტრანშეა N-S დამხრობით, ხოლო ერთი O-W დამხრობით. შემდეგ გათხრების მსვლელობაში, ბორცვის ჩრდილოეთ პერიფერიულ ნაწილში ტრანშეები, შედარებით მცირე სილრმისა, გავაერთიანეთ შუალედი ზოლების მოხსნით, რამაც საშუალება მოგვცა ეს ნაწილი ერთიანად შეგვესწავლა პორიზონტალურ პლანში (ტაბ. 31,2). გაითხარა დაახლოებით სექტორის ნახევარი ფართობი — 160-მდე კვ. მ. განათხარები (თხრილები) დავიდა სხვადასხვა სილრმემდე. ყველაზე ღრმაა ჩრდ-დან სამხრეთით დამხრობილი დიამეტრალური ტრანშეა (N-S 1 ტრანშეა), რომლის უდიდესი დალრმავება ზედაპირიდან (შუა ნაწილში) 4 მ აღწევს. ამ ტრანშეამ ყველაზე სრულად გამოავლინა ბორცვის სტრუქტურა და სტრატიგრაფია მოცემულ სექტორში (ტაბ. 34; 35).

გაირკვა, რომ ძლიერ ნახანძრალი კულტურული ფენა დევს ხელოვნურად მოზეინული თიხის დიდი, 2,5 მ (უდიდესი) სიმაღლის მქონე გორცვისებურ შემაღლებაზე, რომლის ძირი (ტრანშების ბოლოზე, HH 24-20 კვადრატებში გაკეთებული ჩაღრმავების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) 1,5 მ სიღრმეზე ეშვება გარეშემო ნიადაგის ზედაპირიდან და დევს ქვანარევ თიხნარიან ძველ გრუნტზე.

კულტურული ფენა გამოიყოფა ერთ მთლიან მძლავრ დაფენებად ძელური და თიხალესილი გადამწვარი ნაგებობების ნაშთებით (ბათქაშისა და ნახშირის შრეები ან ცალკეული დანახშირებული ძელების ნაშთები და ბათქაშის ნატეხები). მთლიანად ფენა თანდათანობით დაქანებულია ბორცვის პერიფერიებისაკენ. კულტურულ დაფენებაში შეიძლება გამოიყოს რაიმე მკვეთრი ნიშნით ან სტერილური შრითა თუ ფენით გაუმიჯნავი დონეები, ხოლო მისი სტრუქტურული შედგენილობისა და მომავალში დონეთა მიხედვით მასალის ტიპოლოგიური შესწავლის საფუძველზე შეიძლება შემჩნეული იქნეს ქრონოლოგიური განსხვავებები. საერთოდ კი, კერამიკული მასალის წინასწარული განსაზღვრით კულტურული ფენის ზედადონეები რამდენადმე უფრო მოგვიანოდ გამოიყურება, ვიდრე ქვედა და დონეები.

ნაგებობათა ნაშთები შეიცავს წითელი ბათქაშისა (გადამწვარი თიხის შელესილობის) და ნახშირის შრეებს. ჩვეულებრივად, როგორც მსგავს ძეგლებზეა დამოწმებული, ნახშირის შრეები ბათქაშის ქვეშაა მოქცეული (სათავსოს შიდა არეში ჩანგრევის გამო). ვერტიკალური ჭრილების მიხედვით ჩანს, რომ ნაგებობები თიხაზვინულში ყოფილა ჩამჯდარი, ე. ა. ძირი ნახევრად მიწურისებურ ჩაღრმავებას წარმოადგენდა, რომლის შუა ადგილი სწორი იყო. ერთმანეთთან მიმართებაში ჭრილებზე ეს ნაგებობები ტერასულ დონეებს ქმნიდა. გეგმის მიხედვით კი განათხარ ფართობზე შეიმჩნეოდა ნაგებობათა ამ ნაშთების გარკვეული წესით (დამბრობით) განლაგება, რაც მიახლოებით წარმოდგენას გვიქმნის ნაგებობათა გეგმარებაზე. მთელ შესწავლილ ფართობზე, აღნიშნული სექტორის და (N-S 1-4) ტრანშეების სამხრეთ ნაწილში შეიძლება გამოვყოთ მთლიანობაში შედარებით უფრო გასარჩევი ამგვარი ნაშთები, რომლებიც, როგორც ჩანს, ორ ნავებობას შეეფარდება. ნაგებობები ოთხკუთხა ან მომრგვალო კუთხეებიანი უნდა ყოფილიყო, დააბლოებით 5X5 ან 6X6 ფართობისა. O-W ტრანშეაში გამოვლინდა კიდევ ერთი ასეთი ნაგებობის ნაშთი (თუ ისინი ზემოხსენებული ერთ-ერთი ნაგებობის ნაშთის გაგრძელებას არ წარმოადგენს,

რომელიც უფრო დასავლეთ მხარეს იყო), მაგრამ ამ ნაგებობის მოცულობის სავარაუდებლად ჯერ მონაცემები არა გვაქვს, რადგან ტრანშების გარე მონაკვეთები, საითკენაც ეს ნაშთები ვრცელდება, გაუთხრელია. ნაგებობათა ნაშთების ადგილას, ისე როგორც ნაგებობების გარეთ, მრავლად ჩნდებოდა ნივთიერი მასალა — კერამიკა, საოჭახო-სამეურნეო დანიშნულების ქვები, ცხოველის ძვლები და სხვ.

საერთოდ მოპოვებულია მნიშვნელოვანი ნივთიერი მასალა რომელთა უდიდეს ნაწილს წარმოადგენს კერამიკული ნაწარმი (თიხის ჭურჭელი თითქმის მთლიანად ფრაგმენტირებული სახით). ეს კერამიკა ძირითადად ეკუთვნის ბრინჯაოს ხანის კოლხურ კერამიკულ პროდუქციას, მაგრამ ამასთანავე ავლენს გარკვეულ თავისებურებას. არის ხელსაფქვავის ქვები, ქვასანაყები, ქვაკეცები (მრგვალი ბრტყელი რიყის ქვები), კუისა და ობსიდიანის იარაღები თუ ნახატები და ანატკეცები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები და სხვ. ეს მასალები (უმთავრესად კერამიკის მიხედვით ვმსჯელობთ) შეესატყვისება ნოსირის ბორცვის II (შეიძლება ნაწილობრივ) და III ფენებისა და „კეკელური ზუგას“ სხვადასხვა ფენების მასალებს (უფრო დეტალურად იხ. ქვემოთ). კულტურული ფენა უნდა ეკუთვნოდეს შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და გვიანბრინჯაოს ხანას (ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანა და მეორე ნახევარი).

ნოსირი-მუხურის ჯგუფის სხვა ნამოსახლართა კულტურული ფანეზი

ექსპედიციამ ჩატარა აგრეთვე არქეოლოგიური დაზვერვები და სადაზვერვო გათხრები ცხაკიასა და გეგეტკორის რაიონების სხვადასხვა ადგილებში.

1968 წ. ჩატარდა დაზვერვები, ხოლო 1970 და 1974 წწ. მცირე მასშტაბის გათხრები გეგეთის ტერიტორიაზე (ცხაკიას რ-ნი) მდებარე ნამოსახლარ ბორცვზე. ეს ადგილი მდებარეობდა მესამე ნოსირიდან 3 კმ-ზე ჩრდ.-აღმოსავლეთით, მდ. ტეხურას ნაპირას, ქარსაცავი ნარგავების ბოლოზე. ბორცვის ჩრდილო ნახევარი მოხსნილი იყო მდინარის მიერ. გადარჩენილი ნაწილის შუა აღვილას დავდეთ N-S დამხრობის 5X2 მ თხრილი (ტაბ. 22), რომელშიც მიწის ზედაპირიდან 1-2 მ სიღრმეზე გამოვლინდა. ორი კულტურული ფენა თითოეულის უდიდესი სისქე აღწევდა დაახლოებით 0,5 მ-ს. მათ ყოფდა ყვითელი თიხის თხელი ფენა, რომელშიც აგრეთვე მასალა აღმოჩნდა. ქვედა ფენა ნახანძრალი გამოდგა, შეიცავდა გადამწვარ

კერამიკას ფრაგმენტების სახით. ფენაში საკმაო რაოდენობით ჩნდებოდა წითელი ბათქაში. კერამიკის მიხედვით ფენები უნდა ეკუთვნოდეს ნოსირის პორცეს II ან III კულტურული ფენის (შეიძლება მათ შორის გარდამავალ) პერიოდს. კერამიკა ნოსირის მასალებთან შედარებით მდარე ხარისხისაა. ფენებში აღმოჩნდა ცოტაოდენი ცხოველის ძვლები.

1968-1970 წლებში სადაზვერვო სამუშაოები ჩატარდა გეგეჭკორის რ-ნის სოფ. ვედიდკარში, სადაც ნამოსახლარ ბორცვზე გავავლეთ სადაზვერვო თხრილი და გარკვეულ სიღრმეებზე შევისწავლეთ კულტურული ფენა. გამოვლინდა ბრინჯაოს ხანის კერამიკა და წითელი ბათქაში.

1969 წელს მცირე მასშტაბის დაზვერვა ჩატარდა ზუგდიდის რაიონის სოფ. ანაკლიასთან მდებარე „დიხა გუძუბაზე“ (დიხა გუძუბა, II), სადაც შემდეგში ფართოდ გაშალა მუშაობა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ცენტრის ექსპედიციამ. ჩვენი დაზვერვის შედეგად, ვიწრო თხრილში ბორცვის თავზე, გამოვლინდა ზედა ფენის მასალები, გვიანი ბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის მოგვიანო კოლხური კერამიკა და ადრეანტიკური ხანის კერამიკის ნიმუშები.

მცირე სამუშაოები ჩატარდა აღნიშნულ წლებში ტეხურის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ნოსირიდან ორიოდე კილომეტრზე ქ. ცხაკაიას მხარეს (ცემენტის ქარხნის მიდამოებში). აქ გამოვლინდა ძელების ნაგებობა (წყობა), რომელიც მდინარის მოქმედების გამომის კალაპოტში გამოდიოდა. ნამოსახლარი თითქმის მთლიანად მოხსნილი იყო მდინარის მიერ.

1974 წლიდან დაწყებული, როდესაც ექსპედიციამ წამოიწყო არქეოლოგიური გათხრითი სამუშაოები გეგეჭკორის რაიონის სოფ. მუხურჩაში, პარალელურად წარმოებდა სადაზვერვო სამუშაოები მუხურჩის მიდამოებში. კერძოდ, წინასწარულად გამოვიყვლიეთ სამოსახლო ბორცვები „კეკელური ზუგა“ და „ნაჭვის ზუგა“, სადაც შემდეგში ფართო გათხრითი სამუშაოები გაიშალა (იხ ზემოთ).

ამავე წელს ჩვენ ვიზუალურად გამოვიყვლიეთ ძელური ნაგებობის ნაშთები (სამოსახლო ბორცვის ძელურ წყობათა ტიპისა), რომლებიც შემთხვევით იქნა აღმოჩენილი ნოქალაქევის მეურნეობის ტერიტორიაზე თევზსაშენი აუზისა და წყალსაწრეტი ცრხის მშენებლობის დროს. ეს ადგილი მდებარეობს სოფ. მუხურჩის მიდამოებში, მისგან დაახლოებით 1,5 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო მუხურჩის სამართვიდან 300 მ-მდე მანძილზე ჩრდილოეთით.

ნაგებობის დიდი ნაწილი უკვე ექსკავატორს დაენგრია და მიწის ლრმა დონიდან ამოეყარა. ძელებისა და მორების კარგი დაცულობა მოწმობდა, რომ (დანგრევამდე) მთელი სიდიდით იყო შემორჩენილი, თუმცა ძელები გაშავებული იყო.

მუხურჩიში, სოფლის შიგნით, ფიქსირებული ვვაჭვს დაბალი ბრყტელი ნამოსახლარი ბორცვის არსებობა (1974 წ.), „კეკელური ზუგადან“ დაახლოებით 1 კმ-ზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, აღგილობრივ მცხოვრების, სულიკო გახოკიას, საკარმიდამო ნაკვეთში, სადაც საცხოვრებელი სახლი თვით ამ ბორცვზე იდგა.

1975 წელს „კეკელურ ზუგადან“ დაახლოებით 200 მ-ზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, არხის ნაპირას, აღგილ „ნაწისქვილევთან“ ახლოს გამოვლინდა კულტურული ფენა. იგი გადატვირთულია წინარე ანტიკური კერამიკით. შეიძლება ამ ფენის გაგრძელებას წარმოადგენს მძლავრი კულტურული პლასტი. რომელიც ახლოს მდებარეობს ამ აღგილიდან, მდ. აბაშის ერთ-ერთი ტოტის მოსახვევზე (აღგილი „პასიკოს ტობე“). აქ, შვეულ ფლატეებზე გამოდის კულტურული ფენა, რომელშიც შეინიშნება კერამიკის ნატეხები და სხვა მასალა. ერთმანეთისაგან დაახლოებით 100-150 მ-ით დაშორებულ ამ ორ უბანს შორის შევამჩნიეთ კულტურული ფენის არსებობა (ექსკავატორით მიწის მოთხრის შედეგად 1975 წ. და შემდეგში მდინარის სანაპირო დამბის მშენებლობის დროს 1981 წ.). ეს უბანი წინარე-ანტიკური და ადრეანტიკური ზანის სხვადასხვა ფენებს უნდა მოიცავდეს.

1977 წ. სადაზვერვო გათხრები ჩატარდა ცხაკაიას რაიონის სოფ. ხორშში არქეოლოგიური ძეგლის შემთხვევით აღმოჩენის ადგილას. ეს ადგილი მდებარეობს გორა „ლომურზე“, სადაც გზის ბშენებლებმა კარიერები გააკეთეს ხრეშის მოსაპოვებლად. კარიერზე თოთქმის მთლიანად იყო მოხსნილი ძველი ნასახლარის ფართობი (გორის თხემთან). თხემის ჩრდილო მხარეს ხელუხლებლად დარჩენილი იყო მცირე ზოლი, სადაც გავთხარეთ რამდენიმე ღარიბული სამარტი გვიანანტიკური თუ ადრეფეოდალური ხანისა. ხოლო თხემის ქვემო ნაწილი, კარიერიდან მოშორებით, შეუსწავლელი დარჩა. კარიერის ადგილას, მოხსნილი კულტურული ფენის ნაშთებიდან მოვიპოვეთ სხვადასხვა კერამიკული ფრაგმენტები, რომელთა შორის გაირჩეოდა, სულ ცოტა, ორი სხვადასხვა პერიოდის ჯგუფი. ერთი ეკუთვნის ადრეანტიკურ ხანას, მეორე (შავი კერამიკა) ნამოსახლარი ბორცვებისას, ე. ი. ბრინჯაოს ხანას (აღბათ ნოსირის ბორცვის III კულტურული ფენის პერიოდი). მრავლად მოიპოვებოდა ბათქაშის ნატეხები, რომლე-

ბიც უფრო ზედა (ადრეანტიკური) ფენისთვის, თუ ფენებისთვისაა მისაკუთვნებელი, რადგან ხანძრის კვალს ატარებდა ამ ხანის კერამიკის უდიდესი ნაწილი.

1980 წელს მუხურჩის ჩრდილო განაპირა ზოლში, აღგილ „ჭყონის ტყეზე“ აღმოჩნდა ნამოსახლარი ბორცვი, რომელსაც არხი ორ ნაწილად ყოფდა (ადრე აქ ლელე ყოფილა, რომელიც შემდეგ არხად უქცევია). ბორცვი მოზრდილია, ხშირი ეკალ-პარდებით დაფარული, და ამიტომ მიუდგომელიც იყო. ბორცვის შუაგულში გავლებული არხის წყალობით, დავაკვირდით სათანადო ჭრილებს. ბორცვი მრავალფენიანი ძეგლა ჩანს, რომელშიც გამოიჩინა მდლავრპატქა-შიანი ფენა (ალბათ შუა ფენა), რომელიც ნიადაგქვეშა დონეზეა.

ჩვენ აღარ ვეხებით ექსპედიციის მიერ შესწავლილ თუ გზადა-გზა გამოვლენილ ანტიკური ხანის ნამოსახლართა კულტურული ფე-ნების რამდენადმე დაწვრილებით დახასიათებას, რამდენადაც ეს სა-კითხი სპეციალური კვლევის სფეროს ეკლიფსის. მათგან უმთავრესია პლანტაციანი ფართობის დიდი (150×60 მ) ნამოსახლარი „კეჭელურ ზუგასთან“ (გაითხარა 1975, 1980 წწ.), დიდი (100×50 მ) შემაღლე-ბული ნამოსახლარი „ნაჭვის ზუგასთან“ (გამოვლინდა 1981 წ.) და ანტიკური (თუ წინარეანტიკური) ხანის მძივების განძის აღმოჩენის ადგილი სოფ. ზედა ნაგვაზაოში (გაითხარა 1980 წ.).

გათარების მათობის შესახებ

კოლხეთის დაბლობის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისას სათანადო ობიექტების, განსაკუთრებით ნამოსახლარების გათხრის სირთულესა და სიძნელეს კარგა ხანია მიექცა ყურადღება. კლიმატუ-რი, ტექტონიკური თუ სხვა გეოფიზიკური პირობების ზეგავლენით შექმნილ თავისებურებათა ინტერპრეტაციის გარდა, ზოგჯერ ვხვდე-ბით მკვლევართა მეთოდურ მითათებებს ამ ძეგლთა გათხრების შესა-ხებ (იხ. ქვემოთ). მართლაც, კოლხეთის ძეგლების შესწავლა თითქმის შეუძლებელია გარკვეული პრაქტიკული საშუალებების გამოყენების გარეშე, რაც ამა თუ იმ კონკრეტული პირობების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

ვფიქრობთ, წინა პარაგრაფებიდან ძირითადად გასაგები ხდება თუ რა განსაზღვრავდა ჩვენს ძეგლებზე გათხრების ამა თუ იმ მი-მართულებებით წარმართვას, ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებას, მა-გრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ექსპედიცია წინასწარ შემუშავებუ-ლი რაიმე მეთოდით ხელმძღვანელობდა. ნოსირის ნამოსახლარი ერთ-ურთი პირველთაგანია სათანადო ხასიათის იმ ძეგლებიდან, რომელ-

თა შესწავლა შედარებით ფართო გასშტაპის ვათხრებით განხორციელდა. პირველი ნაბიჭები, ამ საუკუნის 30-იან წლებში რომ გადაიდგა (ნაოხვამუსა და დიხა გუძუბას გათხრები), ჩვენს საფეხურზე პრაქტიკულად გამოუყენებელი დარჩა, განსაკუთრებით მეთოდიკის თვალსაზრისით, რადგან იმ დროს გათხრები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და და შედეგებიც სათანადოდ ასახული არ ყოფილა. ამდენად, გასაგებია, რომ მეთოდიკის თვალსაზრისით ჩვენ გზადაგზა გათხრების პროცესში გვიხდებოდა სხვადასხვა ღონისძიების განპორიციელება, რომელიც არ შეიძლება უნაკლო თუ უშეცდომო ყოფილიყო.

ნოსირის ნამოსახლარის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა მეთოდით ითხრებოდა. იგივე ითქმის სამოსახლო ბორცვის სხვადასხვა მონაცემებზეც.

ბორცვის ჩრდილო ნაწილის გათხრა წარმოებდა ცენტრალური თხრილის თანდათანობითი (ზონალური) გაფართოების გზით სხვადასხვა მხარეს და არა მთელი ფართობის ან მისი დიდი ნაწილის ერთდროული დალრმავების საშუალებით. ეს განხორციელდა იმ მიზნით, რომ უკეთ მომხდარიყო ფიქსაცია კულტურულ ფენათა უმთავრესად ნიადაგის თანამედროვე ზედაპირზე უფრო ღრმად მდებარეობის პირობებში (ჩრდილო მხრიდან ბორცვის თავის შემაღლება 1 მ-ს არ აღემატებოდა), ნიადაგის სისველისა თუ ღრმა ოჩრილების წყლით ამოვსების, დატალახიანების ხშირ შემთხვევათა გამო და სხვ. ამგვარ გათხრებს ახასიათებდა მიღებული ვერტიკალური ჰრილების მაქსიმალური სიხშირე, რაც გარკვეულ პირობებში დიდ მნიშვნელობას იძენს. ამავე მეთოდის გამოყენებას ააღვილებდა ის გარემოება, რომ ზედა პორიზონტებში ნაგებობათა ნაშთები სრულიად დანგრეული აღმოჩნდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ მეთოდს, ჰქონდა თავისი ნაკლი, რომელიც იგრძნობოდა გათხრების პროცესში: ხშირად ჩვენ მოკლებული ვიყავით ერთიანი ან ერთდროული სურათის აღქმას ამა თუ იმ კულტურული ნაშთების გავრცელების შესახებ, გეგმაში მათი მთლიანად დანახვის საშუალებას, — იყო ეს ბაოქაშის გროვა თუ შრე, თიხატკეპნილი იატაკი თუ თიხანაგები დონე, ხის ძელები თუ ხის ნაგებობა და სხვ.

ბორცვის სამხრეთი ნაწილის მნიშვნელოვანი მონაცემები, როგორც ვიცით, გაითხარა დიდი ტრანშეებით (ტაბ. 9,1; 15), რაც უმთავრესად მიზნად ისახავდა ბორცვის დიამეტრული ჰრილებით შესწავლას. ამავე მიზნით ტრანშეა გავლებულ იქნა ბორცვის დასავლეთ კალთაზე მისი კიდისკენ და შემდეგ აღმოსავლეთ ნაწილშიც (ტაბ. 4,2; 21). უფრო მთლიანი ფართობით შესწავლის ხასიათი ჰქონდა გათხ.

რებს მდ. ტეხურის ნაპირას (ტაბ. 1,3; 2; 16,9,10). მაგრამ, როგორც ითქვა, აქ დიდ ნაწილზე ფენათა სტრატიგრაფია არ დადგენილა. შეიძლება გათხრების პროცესში რამდენადმე იგნორირებულ იყო ვერტიკალური ჭრილების მნიშვნელობა.

„კეკელური ზუგას“ რელიეფური გამოკვეთილობა და შემაღლება (მიწის ზედაპირიდან 3 მ) თავიდან საფუძველს გვაძლევდა გვევარაუდა კულტურულ დაფენებათა მეტი ნაწილის ხელსაყრელი განლაგება თანამედროვე ნიადაგის ზემოთ. ასეთი ვარაუდი შემდეგში (1974-76 წწ.) ნაწილობრივ გამართლდა. სწორედ ამის გაძო აღნიშნულ წლებში ეს ძეგლი ითხრებოდა მოზრდილი ფართობის (ბორცვის ჩრდ.-დას. სექტორში), თანდათანობით და თანაბრად დადაბლებით ბორცვის ჩრდ.-დას. სექტორში, რაც მიზნად ისახავდა ყოველგვარი კულტურული ნაშთების, მათ შორის ნაგებობებისა თუ მათი ნანგრევების გეგმაში აღქმას და ფიქსირებას. მაგრამ შემდეგში უკვე ამ წესით გათხრის საშუალება ჩვენ აღარ გვქონია. კაირკვა ძეგლის მრავალენიანობა, მიწის ზედაპირიდან კულტურული ფენების მნიშვნელოვან სიღრმეზე განლაგება და ბორცვის ცენტრიდან პერიფერიისკენ მათი მკვეთრი დახრილობა. ყოველივე ამის გამო მოგვიხდა გასათხრელი სექტორის გვერდების გასწვრივი ლრმა ტრანშეების გავლება, რამაც შეამცირა წყლის მოძალება და დატალახიანება. დიდ ფართობზე წყლის სწრაფი ამოწურვის გზით (ფართობის შემცირებით), როცა შესაძლებლობა გვქონდა სიღრმეზე კიდევ უფრო უგვევიშროვებინა ეს თხრილები, ძირისთვის მიგვეცა დახრილობა და ა. შ. თუმცა ისიც უნდა ითვქას, რომ ჭრილების (თხრილის კედლების) ჩამონგრევის საშიშროება ყოველთვის არსებობდა.

ამგვარად, ნოსირის ბორცვისა და „კეკელური ზუგას“ შორის განსხვავებას ქმნიდა ზუგას მეტი შემაღლება, ე. ი. ზედა კულტურული ფენების ნაკლები დაძირულობა მეოთხეულის გვიანდელ გრუნტებში. დაძირულობის თვალსაზრისით შეიძლება იგივე იოქვას ტენურისპირა ქვედა ფენაზე ნოსირში და ა. შ. ამტომ „კეკელურ ზუგაზე“ ჩვენი გათხრები ატარებდა, ასე ვთქვათ, კომბინირებულ ხასიათს ლრმა თხრილების დადებისა და მათ შორის მოთავსებულა ფართობის გათხრის თვალსაზრისით. ცხადია, რომ ამ თხრილებზე მიღებული უმთავრესი, დიამეტრული ჭრილების მიღების საჭიროება ყოველთვის არსებობდა.

როგორც ცნობილია, ასეთი სიძნელეები თან სდევდა ანალოგიური ძეგლების გათხრებს, რომლებიც აღრე შეისწავლებოდა კოლხეთის დაბლობზე (დიხა გუძუბა, ნაოხვამუ, ყულევის სამოსახლო ბორცვები, ნამოსახლარი ოჩამჩირის პორტთან და სხვ.⁹).

სპეციალურ ლიტერატურაში ვხვდებით კოლხეთის დაბლობზე და მის პერიფერიებზე გათხრილი თუ მიგნებული და გამოვლენილი უძველესი ნამოსახლარი ძეგლების ზოგად დახასიათებას გეოფიზიკურ პირობებთან, მათი ცვალებაზობის პროცესთან კავშირში¹⁰. თუ ამ ძეგლებისთვის მოცემულ ერთ-ერთ ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას გავითვალისწინებთ და გავიზიარებთ (4 ძირითადი ტიპი ხელოვნური ბორცვების მდებარეობისა და გრუნტებში დაძირულობის მიხედვით — ი. გძელიშვილის თანახმად)¹¹, ალბათ ჩვენი უმთავრესი ძეგლები — ნოსირის ბორცვი, „ჯეველური ზუგა“, და „ნაჭვის ზუგა“ შესატყვისად ძეგლთა მეორე და მესამე ტიპებს უნდა დავუახლოოთ. ყურადღებას იპყრობს ავტორის ოკუმენდაციები ამგვარ ძეგლთა გათხრასთან დაკავშირებით, რომლებიც თეორიულად გეოლოგიური ინჟინრული თვალსაზრისით შეიძლება ძირითადად სწორი იყოს, მაგრამ პრაქტიკულად მათი განხორციელება ძალზე ძნელ საქმედ გვეჩვენება, მთლიანი კომპლექსური სახით—შეუძლებლად! ამის საფუძველს გვაძლევს არა მარტო შემოთავაზებულ ლონისძიებათა ტექნიკური სირთულე, უზომოდ დიდი სახსრების, შრომისა და დროის საჭიროება, არამედ თვით ძეგლების სპეციფიკაც და მუშაობის შესაძლებლობებიც.

ჩვენ ერთ სეზონში (საშუალოდ 2 თვე) სათანადო მასშტაბის ძეგლის მთლიანად გათხრის არავითარი საშუალება არ გვჭონია. ასეთი სამუშაო გათვალისწინებული იყო წლების მანძილზე. ოკუმენდირებული ლონისძიებები კი სამუშაოთა მოცულობის მხრივ შეავსებდა სეზონის მთელ პერიოდს ან მის უდიდეს მონაკვეთს და, ცხადია, დასჭირდებოდა სათანადო სახსრებიც. მეორე ტიპის ნასახლართათვის, მაგალითად (ხელოვნური ბორცვი, რომლის ქვედა ფენის ფუძე მდებარეობს მიწის ზედაპირიდან 2-3 მ სიღრმეზე, ხოლო გრუნტის წყლის მოდენა მოსალოდნელია პორიზონტული მიმართულებით, ქვიშნართა ფენების გასწვრივ), ასეთი სახის საღრენაუკ მოსამზადებელი სამუშაოებია ოკუმენდებული: გთხრების მოედანთან გრუნტის წყლების პორიზონტული მიმართულებით დენის შესაწყვეტად ბორცვის ირგვლივ ხის შპუნტის კედლის ამოყვანა; ზღუდარის ფსკერის განლაგება გათხრების მაქსიმალური სიღრმის ნიშნულზე 1-2-მ უფრო ღრმად; შპუნტის კედლის გარეთ საღრენაუკ ჭის ამოღება ხის მუდმივი გამაგრებით ხიმინჯების სიღრმეზე; შპუნტის კედელსა და ხელოვნურ ბორცვს შორის ღრმა თხრილის ამოღება უძველესი ფენის ფუძემდე და მისი გარეგანი ჰედლის სპეციალური გამაგრება ხის ხიმინჯებითა და ქვიშით ავსებული წნელის

უძირო გოდრებით; თხრილის ფსკერზე სადრენაჟო კვალისა და წყლის შესაკრეპი ორმოს ამოღება, აქედან წყლის გადაქაჩვა სიფონით სადრენაჟო ჭაში და იქიდან ტუმბოთი ამოქაჩვა. ავტორი ყველა აღნიშნული სამუშაოს შესრულების შემდეგ მიიჩნევს შესაძლებლად ბორცვის არქეოლოგიური თხრის დაწყებას. აღსანიშნავია, რომ იგივე რეკომენდაცია მესამე ტიპის ნამოსახლართა გათხრებისათვის (რომლის ქვედა ფენის ფუძე მდებარეობს ზედაპირიდან დააკლოებით 5 მ-ზე და სხვ.) ითვალისწინებს კიდევ უფრო რთულ მოსამზადებელ სამუშაოებს, ხოლო მეოთხე ტიპის ნასახლართა გათხრები (ხელოვნური ბორცვი ყველა კულტურული ფენის მიწის ზედაპირზე უფრო ღრმა განლაგებით, რომლის უძველესი კულტურული ფენის ფუძე დევს 5 მ სილრმეზე, ავტორისავე თქმით, „ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს: ღრმად დასული ლითონის შპუნტის კედლის შემოვლება ბორცვის ირგვლივ; 2 მ სისქის, ქიმიურად გამაგრებული ან ხელოვნურად გაყინული გრუნტის „ბალიშის“, სადრენაჟო თხრილების ქსელისა და წყლის ჩასაშვები ბეტონის ჭის გამართვა¹²; გარდა ამისა, რეკომენდებულია სხვა სახის რთული მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც საერთოდ ხელოვნური ბორცვის ტიპის ნამოსახლართა ფართობზე გათხრების ჩატარებას ეხება ესაა: ბორცვის სტრუქტურის გარკვევისა და კულტურული ფენების მინერალური ნაწილის დახასიათების მიზნით სხვადასხვა სისტემის ჭაბურლილებისა და შურფების გაკეთება, რომლებიც ბორცვის ბუნებრივ სუბსტრატამდე დავა, ჩაჭრის მას 3 მ სილრმეზე და მრავალი სხვ. ამის შემდეგ, საკუთრივ არქეოლოგიური გათხრებისას ოთხივე სექტორში უნდა დამთავრდეს ზედა ფენის აღება და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს მისი მომდევნო ქვედაფენის თხრა და ა. შ. კულტურული ფენების გარკვევით გამოყოფისა და მასალების აღრევის თავიდან ასაცილებლად რეკომენდირებულია თითოეული კულტურული ფენის გათხრა თხელ ფენებად, არაუმეტეს 5 სმ სისქისა, რაც განუწყვეტლად თან უნდა სდევდეს დაკვირვებანი ფენების უმცირეს ფიზიკურ-მექანიკურ ცვლილებებზედაც კი. მაგრამ ყოველივე ამას წინ უნდა უსწრებდეს კულტურული ფენის ნაშთების აპრობირება გასათხრელი კვადრატების წინასწარი ზონდირების გზით, რაც უნდა გაკეთდეს 10 მმ დიამეტრის და 25-30 სმ სიგრძის ნემსის საშუალებით ჭადრაკული წესით, არა უმეტეს 20 სმ დაშორებით წერტილებს შორის ¹³.

როგორც აღვნიშნეთ, ამ მითითებების შეუფერებლობას ჩვენი პრაქტიკისათვის განსაზღვრავს დროის ფაქტორი, სახსრები და სამუ-

ალებები, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ აგრეთვე ქეგლთა ზოგიერთი თავისებურების გაუთვალისწინებლობა მთელ ამ მეთოდურ სისტემაში. ეს ეხება, მაგალითად ნამოსახლარი ბორცვების ცალკეულ სტრუქტურულ და სტრატიგრაფიულ ასპექტს. არის ქეგლები. რომელთა მთლიანი ან ნაწილობრივი გათხრა უსათუოდ კულტურული ფენების თანმიმდევრული მოხსნით სრულიად შეუძლებელია ამ ფენათა მკვეთრი დახრილობის გამო, რომელიც ხშირად ცენტრიდანვე შეიმჩნევა პერიფერიის მიმართულებით. ჩვენ უმეტეს შემთხვევაში სწორედ ასეთ ქეგლებთნ გვაქვს საქმე. როგორც ჩანს, ამავე ხასიათისაა ნაოხვამუც (ცხაკაიას რ-ნი) და სხვა ანალოგიური ქეგლები. ბევრგან ასეთ ქეგლებზე კულტურული ფენების სიგრძივი კონტურები თითქმის შვეულ პარალელურ ხაზებს უახლოვდება (ტაბ. 20,2;21;29;36). ჩვენს ქეგლებზე აღნიშნულ დახრილობებში ჩართული იყო ტერასული განლაგების ჩაღრმავებები (იხ. ქვემოთ), რაც ართულებდა ზედაპირულ თხრას და მოითხოვდა სათანადო მონაცემების მნიშვნელოვანი სილრმის ჭრილებზე ფიქსირებას.

როგორც უკვე ითქვა, „კეკელური ზუგას“ გარკვეულ ფართობზე ვცადეთ ზედა კულტურული ფენის მთლიანად მოხსნა, რაც მოხერხდა მკვეთრი დახრილობის აღვილებზე საფეხურისებრ დაღრმავებით (ტაბ. 23,2,3). შემდგომშიც (O-W და N-S ტრანშეებში). სილრმეზე დასვლა პორიზონტალური თხრით, სწვადასხვა ფენის ერთდროულად შეხების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. პარალელური დახრილი ფენების თანმიმდევრობით (ფენა-ფენა) პრეპარირება კაგანუხორციელებელ საქმედ წარმოგვიდგება. აქედან ცხადი ხდება: კულტურული ფენის ძალზე თხელი შრეების პორიზონტალური მოხსნის სიძნელეც.

ვფიქრობთ, აუცილებელია კოლხეთის ატმოსფერული პირობების გათვალისწინება: როდესაც ნალექების სიხშირის გამო ღრმა თხრილებში წყალი უცბად გროვდება და აუცილებელი ხდება ყველა ძირითადი სამუშაო ცალკეულ მცირე მონაცემებზე ჩატარდეს, და მოკლე ვადებში დასრულდეს ბოლომდე. მართალია, გრუნტის წყლები შემაფერხებლად მოქმედებენ, მაგრამ წვიმის შედეგად მოძალებული წყალი ხშირად მეტ გავლენას ახდენს გათხრებზე. ამიტომ ჩვენი წყალსაწინააღმდეგო საველე ღონისძიებები უმთავრესად ნაწვიმარი წყლის წინააღმდეგაა მიმართული. მოზრდილ თხრილებს (თუ არ ჩავთვლით ნოსირის ბორცვის დიდ ქვაბულს) შესაძლებლობისდაგვარად ძირის მიხედვით პერიფერიისკენ ჰქონდა და-

ჭანება. ამიტომ წყალიც მეტწილად პერიფერიებზე გროვდებოდა, სიღანაც ვქაჩავდით ყველანაირი საშუალებით. ზოგჯარ აქვე, თხრილის ძირზე, კეთდებოდა ჩაღრმავება. დაღრმავების ფართობს, ისე როგორც საერთოდ თხრილის სიღიდეს განსაზღვრავდა კონკრეტული მიზანი, მაგ., სტრატიგირაფიული ჭრილის მიღება, ნაგებობის გამოვლენა და გაწმენდა, გრუნტის გარკვევა და ა. შ. დიდ სიღრმე-ებზე, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო თხრილებს გარკვეულ დონემ-დე დაყვანის შემდეგ შევიწროვებულად ვაღრმავებდით, ე. ი. თავდა-პირველი თხრილის (მაგ., N-SA ტრანშეის) ძირზე ჩაიკრებოდა უფრო ვიწრო თხრილი. ეს გვაძლევდა დროისა და სამუშაოს მნიშვ-ნელოვან ეკონომიკას და, გარდა ამისა, წყლის შეკრებისა და ამო-წურვის საშუალებას.

მეთოდური ხასიათის ცალკეული მითითებები არქეოლოგიუ-რი გათხრითი სამუშაოების შესახებ გამოითქვა ჭერ კიდევ კოლხე-თის ნამოსახლარი ძეგლების შესწავლის დასაწყისში. 1923 წ. ნაო-ხვამუს ბორცვის გათხრებთან დაკავშირებით გამოყოფილმა, კომი-სიამ (გ. ნიორაძე, ს. ტერ-ავეტისიანი, ს. მაკალათია, ა. ამირანაშვი-ლი-ბოლტუნვა) მიიღეს მისი გათხრის მეთოდური კეგმა¹⁴. კო-მისიამ უარყო მანამდე, წინასწარი საველე კომისიის მიერ (მაკალა-თია, ამირანაშვილი, გოგოლიშვილი) შემუშავებული პროექტის ორივე ვარიანტი — ჯვარედინი ტრანშეებითა და საფეხურებრივად გათხრის წესი. პირველი მეთოდი უარყოფილ იქნა როგორც პრაქ-ტიკური თვალსაზრისით ნელი და ძვირად ღირებული, მიწის გა-ზიდვის გამო, თუმცა საერთოდ იგი კარგ მეთოდად იქნა მიჩნეული. მეორე მეთოდი კი უარყვეს როგორც ძალზე ნელი, ძვირი და მოცე-მული დაბალი ყორლანისათვის (ბორცვისათვის) არამიზანშეწონილი. თუმცა ზოგადად ეს მეთოდიც დადებითად შეფასდა როგორც ყვე-ლაზე ფრთხილი და ბორცვის ნაყარა მიწის შემადგენლობაზე ყურა-დლების იდეალურად მაფიქსირებელი. ამიტომ კომისიამ მიიღო განსხვავებული მეთოდი — გარდამავალი ტრანშეის, ანუ პლანტაჟუ-რი წესით გათხრისა, რომლის მახედვით გათხრა იწყებოდა ბორცვის ერთ-ერთი (მოცემულ შემთხვევაში სამხრეთი) ნაპირიდან, საღაც ბო-რცვის ძირთან წინასწარ ამოითხრებოდა საკონტროლო ჭა მატერიკის გასარკვევად და ნიადაგის დაფენებათა შესასწავლად. გათხრები ყოვ-ველთვის გრუნტის დონემდე იქნებოდა დაყვანილი ბორცვი თანდა-თანობით მთლიანად მოიხსნებოდა 3-3 მ სიფართის სიგრძივ ზოლე-ბად, აღმოსავლეთიდან დასავლეთით დამხრობილი ჭრილებით. მო-

ნათხარი მიწა აზალი ზოლიდან ძველ ზოლზე გადაიყრებოდა, რაც დროისა და საშუალებების დიდ ეკონომიას გულისხმობდა და ა. შ.

ამჟამად უკვე შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მცდარი მეთოდი. ვფიქრობთ, ნაოხვამუს გათხრებს რომ სისტემატური ხასიათი მიეღო, აღნიშნული მეთოდი, მიუხედავად მისი ეკონომიურობისა, დიდად შეაფერხებდა სამუშაოებს. თუ მსგავსი ძეგლების გათხრის პრაქტიკული გამოცდილებიდნ გამოვალთ, რომელზეც ზემოთ უკვე ცყო ლაპარაკი, სწორედ მონათხარი მიწის დაგროვება ქმნის აქ გასა-თხრელი ადგილების დაწყლიანების საშიშროებას. უთუოდ სწორ თვალსაზრისს გამოთქვამდა ბ. კუფტინი შემდეგ წლებში, როდესაც სხვა ლონისძიებებთან ერთად სახავდა მეთოდურ ამოცანებს ნაო-ხვამუსა და კოლხეთის სხვა ძეგლების მომავალი გათხრებისათვის¹⁵. კერძოდ, ნაოხვამუსთან დაკავშირებით იგი მიუთითებდა, რომ პირ-ველ ყოვლისა აუცილებელია: არქეოლოგიური ჭრილების სისუფ-თავისა და მკაფიოების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ქვედა ფენებში; ნაწვიმარი და გრუნტისეული წყლის დაგროვების საწინააღმდეგოდ ჭრილებიდან წყლის ამოსაქაჩავად საღრენაჟო თხრი-ლებისა და მძლავრი ტუმბოების დროული მომზადება; საკუთრივ ბორცვისა და გარეშემო თხრილების ფართობიდან მონათხარი მი-წის გატანა შესაძლებლობისდაგვარად მექანიზებული საშუალებე-ბით და სხვ. რაც შეეხება ნაოხვამუს ბორცვის შუა ვადარჩენილი და პერიფერიული ნაწილების ფენა-ფენად მოხსნის საჭიროებას, ცხადია, რომ ბ. კუფტინის ამ მეთოდურ მითითებას ზოგადი საფუ-ძველი აქვს. მაგრამ, როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი მე-თოდი კოლხეთის დაბლობის სათანადო ძეგლებზე აღპათ გამართ-ლებული უნდა იყოს გარკვეულ კონკრეტულ პირობებში და გარ-კვეულ ძეგლებზე ან ძეგლის გარკვეული ნაწილისათვის, მაგ., ბორ-ცვის ნიაღაგსზედა დონეებზე და ა. შ.

მეორე თავი

ძრონოლოგია

ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის კოლხური კულტურის, ქრონოლოგიის საკითხები მრავალმხრივ პრობლემატურია და ელი-ან საბოლოო გადაწყვეტას. მაგრამ დღეისათვის გაცილებით უფრო მეტი მასშტაბითაა შესწავლილი ამ კულტურის ძეგლები, ვიდრე რა-მდენიმე წლის წინათ. კოლხური კულტურის თავისებურება რო-გორც მასალათა მორფოლოგიური ხასიათის, ისე ძეგლთა კომპლექ-სური შემადგენლობის ცალმხრივობის (ბრინჯაოს ნევთთა განძ-ებისა და კულტურული ფენების მასობრივი კერამიკული მასალის ურთიერთდაუკავშირებლობის) გამო შემაფერხებლად იქცა ამ კულ-ტურის ძეგლების დაპირისპირებაში აღმოსავლეთი საქართველოსა. და ცენტრალური ამიერკავკასიის კულტურებთან, რომელთაც აქვთ უფრო დამუშავებული და გარეშე სამყაროსთან დაკავშირებული. ქრონოლოგიური შეკვები. მაგრამ ახალი ძეგლების გამოვლენის შესატყვისად ისახება საგრძნობი კავშირებიც ამ კულტურათა სფე-როებს შორის, — განსაკუთრებით ადრეული რკინის ხანაში, — თუ გავითვალისწინებთ კულტურის მრავალი საერთო ელემენტის არსე-ბობას, რომლებიც გაცვლა-გამოცვლის საგანთა სახით იჩენს თავს. ბრინჯაოს ინდუსტრიის ფინალური განვითარების, რკინის ფართო გავრცელებისა და ხელოსნობის მნიშვნელოვანი წინსვლის პირო-ბებში.

ნოსირი-მუხურჩის ძეგლთა უმეტესობის ქრონოლოგიური გან-საზღვრისათვის კონკრეტული მონაცემები ჯერჯერობით ძალზე ცო-ტა გვაქვს და ამ საკითხის განხილვისას უმთავრესად უნდა დავეყ-რდნოთ მათ შეფარდებით ქრონოლოგიას. პირველ რიგში ვეყრდ-ნობით ყველაზე უფრო სანდოდ დათარიღებულ ძეგლს. ესაა მუ-ხურჩის სამაროვანი, რომელიც 1974 და 1976 წლებში ვაითხარა 16.

მუხურჩის სამაროვნის მასალებში გამოიყოფა ორი კომპლექსური ჯგუფი — ადრეული (ძვ. წ. VIII ს. — VII ს. პირველი ნახევარი) და მომდევნო ხანისა (ძვ. წ. VII ს. მეორე ნახევარი — VI ს.). ვუშვებთ სამაროვნის (და აღნიშნული ჯგუფების) ზედა და ქვედა ქრონოლოგიური საზღვრების რამდენადმე გადაადგილების შესაძლებლობას. მაგრამ ამ მასალების დიდი ნაწილი, რომელიც მრავალფეროვნად და კომპლექსურად დანაწევრებული ჸახითაა წარმოდგენილი, ვთიქმობთ მაინც შესაფერისია აღმოსავლეთ საქართველოსა და ცენტრალური ამიერკავკასიის ძეგლების მასალებთან შედარებისათვის. ამდენად, მუხურჩის სამაროვანი შეიძლება ერთ-ერთი საყრდენი ძეგლი გახდეს კოლხური კულტურის, კერძოდ წინამორბედი ნამოსახლარი პლატების ქრონოლოგიის კონკრეტიზაციის მნიშვნელობით, თუ ჩვენ მას ამ რიგის ძეგლებს რაიმე გზით დავუკავშირებთ. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში სწორედ კერამიკულ მასალას უნდა მივმართოთ.

მუხურჩის სამაროვნის ორი კერამიკული ჯგუფი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გვიანი ჯგუფი მჭიდროდ უკავშირდება ადრეანტიკურ კერამიკას, კერძოდ ამ ხანის ერთფენიანა ნამოსახლარის კერამიკას, რომლის დაუზიანებელი ნაწილი ჩვენ შევისწავლეთ „კეკელურ ზუგასთან“ მდებარე პლანტაციან ფართობში სოჭ. მუხურჩის ტერიტორიაზე (1975, 1980 წწ.). ეს ფენა დაახლოებით ძვ. წ. VI-V სს. უნდა დათარიღდეს. სამაროვნის ადრეული ჯგუფის კერამიკა კი, — ესაა მცირე ზომის შავთიხიანი ჭურჭელი, ხშირად შვეული კანელურებით, უახლოვდება ნოსირის IV პორიზონტის (ანუ IV ფენისა და ტეხურისპირა ძირა ფენის) კერამიკას ამავე ნამოსახლარიდან (ტაბ. 41, 321—739). (ამ ფენებს სიმოკლისათვის შემდგომშიც, ქვემოთ, აღვნიშნავთ „ნოსირის IV პორიზონტის“ სახელწოდებით). კერამიკის ეს უკანასკნელი სახეობა წარმოადგენს ნაოხვამუს ზედა ფენის, დაბლაგომის შუა ფენისა და სხვ. ტიპის ადრეულ კანელურიან კერამიკას (ადრეანტიკინის ხანა.) მუხურჩის სამაროვნის ხენებული კერამიკა შეიძლება ამ კერამიკის გადმონაშთად ჩაითვალოს, მაშასადამე, ნოსირის IV პორიზონტი და კოლხეთის ძეგლების სათანადო პორიზონტები შეხების წერტილს ავლენენ მუხურჩის სამაროვანთან, რომლისთვისაც ჩვენ შედარებით მყარი დათარიღება გვაქვს. ამგვარად, დაახლოებით დასტურდება ამ პორიზონტებისათვის ჩვენ მიერ (დ. ქორიძე, ე. გოგაძე) ადრე შემოთავაზებული აბსოლუტური ქრონოლოგია ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისი, X—IX სს. მცირე შესწორებით (რაც ამ პორიზონტის ფენათა მნიშ-

ვნელოვანი სიმძლავრის დადგენასთანაა დაკავშირებული) ჩვენ
დაახლოებით ამავე განსაზღვრას ვიცავთ. ეს იქნება ძვ. წ. XI ს. და-
სასრული — IX ს.

ნოსირის ბორცვის IV კულტურული ფენა ძირითადად გამოვ-
ლენილია მის პერიფერიული ფენები. მართალია, ცალკეული მოგვიანო ნავ-
თები, მაგ., ანტიკური ხანის იმპორტული ჭურჭელი, გვრცელებოდა
ამ ფენისა და ბორცვის ცენტრალური ნაწილის ზედაპირულ პორი-
ზონტებზე, მაგრამ სათანადო კულტურული დაფენება აქ არ არსე-
ბობდა ანდა არ შემორჩა. მხოლოდ ბორცვის დასავლეთ განაპირა
ნაწილში, ტრანშეის ბოლოზე, გამოვლინდა ასეთი პლასტი ხანძარ-
ში ძლიერ გადამწვარი ნაშთებით, რომელიც შესაძლოა ბორცვის
გარეთ გრძელდებოდა. ამავე ნამოსახლარის ტეხურისპირა ქვედა
ფენა (იხ. ზემოთ) ზოგადად ბორცვის IV ფენის სინქრონული ჩანს,
მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი შედარებით აღრე უნდა
იწყებოდეს, რამდენადაც ამ ფენის კანელურებიან კერამიკაში სჭარ-
ბობს მცირე და საშუალო ზომის ჭურჭელი ვიწრო კანელურებით,
გარდა ერთი შემთხვევისა, ხოლო ბორცვის IV ფენაში — ფართო-
კანელურებიანი დიდი ჭურჭელები (ქვევრების ზომისა). გარკვეული
საფუძველი გვაქვს ვიგულისხმოთ რომ ამ ჭურჭელეულის პირველ
კატეგორია უფრო აღრე გაჩნდა. ვიწროკანელურებიანი დეკორი
ლარული ორნამენტის განვითარება ჩანს, რომელიც დამახასიათე-
ბელია კოლხური კერამიკის უფრო აღრეული ჯგუფებისათვის. კერ-
ძოდ: ჯერ კიდევ ნოსირის III ფენის პერიოდში ჩნდება მცირე ზო-
მის ზოგიერთი ჭურჭელი შვეული ვიწრო ლარებით, რომლებიც
როგორც ჩანს, მომდევნო პერიოდის კანელურებიანი დეკორის საწ-
ყის ფორმას წარმოადგენდა. ამასთანავე ვხვდებით ტეხილი ფართო
კანელურების იშვიათ ნიმუშებსაც. ტეხურისპირა ძირი ფენის თავ-
ზე აღრეანტიკური ხანის მძლავრი ფენა იდო.

ქვემოთ ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით ნოსირის IV პორიზოტი
და კოლხეთის ძეგლების ქრონოლოგიური შესწავლის რეტროსპექ-
ტულ ხაზს, რომელსაც სრულიად მართებულად ირჩევს რიგი მევლე-
ვრებისა ძიების დროს. ახლა კი შევეცდებით სუმარულად და ცალ-
კაული ფენების გათვალისწინებით თვალი გავადევნოთ ნოსირის
ფენების ძირითადი მასალის — კერამიკის განვითარებას, რაც ვფა-
ქრობთ, საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ქრონოლოგიური რი-
გის ზოგიერთი დამაზუსტებელი შედარება.

* * *

ნოსირის ნამოსახლარის კულტურულ ფენათა შედარებითი ქრონოლოგიის საკითხების შესწავლისას ჩვენ უმთავრესად კერამიკულ მასალას ვიყენებთ. როგორც ცნობილია, მკვლევრებს სწორედ კერამიკა აძლევს საშუალებას ბრინჯაოსა და აზრეული რკინის ხანის კოლხური ძეგლების რელატიური ქრონოლოგიის აგების უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადასაწყვეტად. ამ რიგის საკითხები დიდ მნიშვნელობას იძენენ თუნდაც იმიტომ, რომ უამრავი ძეგლი და კულტურული ფენა სრულიადაც არ შედის არქეოლოგიურ ობიექტთა იმ რიცხვში, რომელთა აპსოლუტური ასაკი ლაპორატორიულადაა შესწავლილი რადიონახშირბადისა თუ სხვა ფიზიკური მეთოდებით¹⁷. გარდა ამისა, სხვადასხვა ექსპედიციის მიერ კოლხური კულტურის ძეგლთა მრავალფეროვნებისა და ვარიანტულ სახეთა გამოვლენასთან ერთად წარმოიშვება განსხვავებული ინტერპრეტაცია და, მაშასადამე, პრობლემებისადმი განსხვავებული მიღვომაც. კერძოდ ეს ეხება შედარებით ქრონოლოგიას, რის გარშემო ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებიც კია გამოთქმული.

ძეგლთა შეფარდებითი შესწავლისას, სათანადო მონაცემების შედარებით უფრო მეტი სისრულის გამო, ჩვენ ვეყრდნობით ნოსირის ფენების სტრატიგრაფიას, იქ მოპოვებული მასალების ტიპოლოგიას, რამდენადაც ეს ნამოსახლარი შეიცავს ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ქრონოლოგიურად თანმიმდევრულ სხვადასხვა ფენას. გათხრების მასშტაბიც შედარებით მნიშვნელოვანია, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და საინტერესოა ნივთიერი მასალა. ამ მონაცემების გამო ნოსირის ნამოსახლარი უკვე კარგახანია შესულია სამეცნიერო მიმოქცევაში.

აღსანიშნავია ნოსირის ბორცვის ცალკეულ უბნებზე კულტურული ფენების მნიშვნელოვანი სიმძლავრე და სტრატიგრაფიული დანაწევრება, რაც მათი პერიოდების შედარებით ხანვრძლივობაზე უნდა მიუთითებდეს. II-IV ფენებში აღინიშნება მძლავრი ხანძარი, რომლის ნაკვალევი ზოგჯერ გვავარაუდებინებს ფენებსა და შრეებს. შორის რომელიდაც შუალედების არსებობას. განსაკუთრებით დიდი ძალის ხანძარი დამოწმებულია II ფენის დიდ მონაკვეთებზე.

კერამიკულ ნაწარმში შემჩნეულ საერთო ევოლუციასთან ერთად შეიძლება შევამჩნიოთ ზოგიერთი კერამიკული სახეობის მოულოდნელი გამოჩენა ცალკეულ ფენებში. განსაკუთრებით ეს ეხება

ნოსირის IV პორიზონტს (ანუ IV ფენასა და ტეხურისპირა ძირა ფენას). ამიტომ III ფენასა და IV პორიზონტს შორის შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გარკვეული ქრონოლოგიური წყვეტილი (იხ-ქვემოთ).

* * *

ნოსირის ბორცვის I (ძირა) ფენის კერამიკა მთლიანობაში, ხა-სიათდება ფორმებისა და შესრულების ტექნიკის ყველაზე უფრო მეტი არქაულობის ნიშნებით, მაგრამ აქ შეგვიძლია სიტყვა დავსძინოთ ამ ფორმულირების რამდენადმე პირობითობის სასარგებლო-დაც. თავისი განვითარების დონით ეს კერამიკა შორს დგას საერთო კერამიკული წარმოების საწყისი ანდა ადრეული საფეხურის ნაწარ-მიდან, რომელსაც ახასიათებს პრიმიტიული და არასრულყოფილი შესრულება, იგი წარმოადგენს სავსებით ფორმირებულ ფაციას, აქვს ფორმების ხანგრძლივი ტრადიცია (რაშიც, მართალია, შეიმჩნევა კონსერვატიზმი) და ხშირად ავლენს დეკორატიული გაფორმების მომსხო-მოუხეშავ მანერას.

ფორმების არქაულობა პირველ ყოვლისა გამოიხატება უპირა-ტესად პირმოყრილი და მომრგვალოდ მუცელგამობერილი „ნახე-ვარსფერული“ და „მომრგვალო“ ჭურჭლების (თასები, ჭამები, ქო-თნები, ქოჭები, ტოლჩები, რამდენადმე მომალლო „ქილები“ და სხვ.) ან ოდნავ პირგაშლილი ჭურჭლების დამზადებაში. ყველა შემ-თხვევაში ჭურჭლის ძირი ბრტყელია საშუალო პროპორციული სა-ფართისა. მცირე ზომის ორნამენტირებული ჭურჭლების თითქმის მთელი ჯგუფი, როგორც ჩანს, უნდა მიეკუთვნოს სუფრის ჭურჭლე-ულს, რამდენადაც მას უპირისპირდება სადა, ხელით ნაძერწი ჭურჭ-ლების დიდი ჯგუფი. ეს არის მონაცრისფროდ ან მოშავოდ (იშვია-თად მოყავისფროდ) გამომწვარი უხეში სამზარეულო ჭურჭელი (ტაბ. 42,2046,2498). არქაულობას გამოხატავს აგრეთვე სუფ-რის ჭურჭლის მომცრო და მინიატურული (ზოგჯერ დეკორა-ტიული) ნახევარსფერული, დამუხლული, მომრგვალო სამკუთხა, ნისკარტისებური, ზოგჯერ ფაცეტირებული, ლაყუჩისებურ ორნა-მენტიანი და სხვა ყურები წვრილი ან მომცრო ნახვრეტით, რომე-ლიც როგორც ჩანს, თასმის გასაყრელად და ჩამოსაკიდებლად უკეთდებოდა ჭურჭელს; ჩაღრმავებული, ხშირად სადა, მარტივი შტამპით დატანილი ორნამენტის შესრულების წესი. ეს უკანასკ-ნელი წარმოადგენს ერთრიგად განლაგებულ ჭდეულ წერტილებს,

მრგვალ ჭდეებს, ნაძვისებურ შტრიხებს, დაკუთხულ მსხვილ სავარცლისებურ შტამპს და სხვ. ღარულ და სხვა სახის ორნამენტთან კომბინირებული კოპები თუ ძუძუსებური შვერილებიც სუფრის ჭურჭელს არქაულ იერს აძლევს (ტაბ. 37;42).

თითქმის მთლიანად I ფენის კერამიკა ხასიათდება კარგი გამოწვით და მინერალური მინარევებიანი კეცის სიმკვრივით. სუფრის ჭურჭელის უდიდესი ნაწილი შავთიხიანია, პრიალა ან გლუვი ზედაპირით და ჩვეულებრივად კარგად მოგლუვებული შიდაპირით. ღარული ორნამენტი ხშირად გვხვდება კონცენტრული რკალების, ნახევარწრეებისა და წრეეების სახით, ხოლო უფრო იშვიათად ოვალის, ფესტონის სახით და ა. შ. იგი კარგად და თანაბრადაა დამუშავებული. იგივე ითქმის რელიეფურ დეკორზე (კოპები და შვერილები), ტვიფრულ (შტამპიან) და ჭრილზოვან ორნამენტზე. ნახევარსფერულ და მომრგვალო ჭურჭელებს პირი ზევიდან ჩვეულებრივად დაბრტყელებული და მკაფიოდ დაყალიბებული აქვთ, რაც ლითონის ფორმების დეტალებს გვაგონებს და ზოგჯერ „რელიეფური“ ბაკოს სახეს იღებს. გვხვდება ძაბრისებურად (ცრატერისებურად) პირგადაშლილი ჭურჭელები, რომელთა ყელი შიგნიდან წიბოთია გამოყოფილი (ტაბ. 37,1795; 42,1427). დიდი ჭურჭელები, რომლებიც, როგორც ჩანს, საკვებისა და სითხის შესანახად იყო განკუთვნილი, გამოირჩევიან ასეთი პირის განსაკუთრებული სიფართოვით. ყელ-პირის მსგავსი ფორმა არაჩვეულებრივ ქრონოლოგიურ მდგრადობას იჩენს და ზოგიერთი ცვლილებებით არსებობას განაგრძობს აღრეანტიკურ ხანაშე ჩათვლით. თუმცა მუხურჩის სამაროვნის მასალებში ისინი ჩვენ არ შეგვიმჩნევია, რაც შეიძლება აიხსნებოდეს დაკრძალვის წესის ხასიათითა და სამარტეული ჭურჭელის სპეციფიკით. იშვიათად, მაგრამ გვხვდება შედარებით ფართონახვრეტიანი მუხლისებური სახელურები (ტოლჩებისა). რომელთაც ზედა ნაწილზე ვერტიკალური ბრტყელი შვერილი აქვთ (ტაბ. 42,1835). სახელურის ეს ფორმაც განაგრძობს არსებობას, III ფენის პერიოდამდე. როგორც ჩანს, მათ სახესხვაობას წარმოადგენს II ფენისთვის დამახასიათებელი სახელურები, რომელთაც „ფრინველის მკერდისებური“ ყურების სახელშოდება მიიღეს. ასევე იშვაათად ვამჩნევთ მრგვალ განივცვეთიან ყურებსა და სახელურებს.

II და III ფენებში შეიმჩნევა ძველი ტრადიციების განგრძობა მეტ-ნაკლებად შეცვლილი სახით. მაგრამ ამასთანავე ჩნდება ახალი ფორმები, ფორმათა დეტალები და ორნამენტული სახეები. თით-

ქმის ყველა ეს ცვლილება ასახავს ადგილობრივი კერამიკული წარმოების ევოლუციას. აღსანიშნავია აგრეთვე ჭურჭლის დამზადების, ფორმათა დეტალებისა და ორნამენტის შესრულების თანდათანობით გაუბრალოება ამ საერთო პროცესში, ზოგჯერ კი კეცის ფაქტურის გაუხეშებაც.

II კულტურულ ფენაში პროცენტულად მნიშვნელოვნად მცირდება ლარულორნამენტიანი შევთიხიანი სუფრის ჭურჭლის რიცხვი. ლარული ორნამენტი უფრო ხშირად გვხვდება სავარცხლისებურ შტამპთან კომბინირებული სახით, რომელიც ხშირად უკვე წვრილი პუნქტირით სრულდება (ტაბ. 44, 3613). პირმოყრილი ჭურჭლების კიდე ჩვეულებრივად თხელი ხდება, მისი საგანგებოდ და „ლითონისებურად“ დაყალიბების ტექნიკა ქრება. ჩნდება ნახევარსფერული მოზრდილი ბადიები, მოზრდილი და საშულო ზომის ჭურჭლები რბილად გადაშლილი პირითა და შეზნექილ-ცილინდრული (იშვიათ შემთხვევაში პორიზონტალურად გოფრირებული) ყელით. ხშირად კი პირი შესქელებულია, თითქმის პორიზონტალურადაა გარეთ გამოშვერილი და აქვს დაწახნაგებული ზედაპირი (ორიდან ოთხ წახნაგამდე) (ტაბ. 38, 1784). გვხვდება როგორც შევთიხიანი, ისე ლია — მოყავისფრო, მოწითალო, მოურდისფრო ჭურჭელი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში მოწითალოდ გამომწვარი ჭურჭელი ძნელი გამოსარჩევია ხანძარში გადამწვარი ნიმუშებიდან. კრატერისებურად პირგადაშლილი მოზრდილი ჭურჭლები II ფენაში შეიძლება იყოს მოყავისფრო და მონაცრისფრო ფერისაც. საერთოდ კი ლია მოყავისფრო და მოწითალო ტონებში გამომწვარი ჭურჭლის გაჩენას პირველად II კულტურულ ფენაში ვამჩნევთ, მაგრამ მასობრივობას იგი III ფენის პერიოდში აღწევს. უფრო თვალნათლივ ამ გარემოებაზე დაკვირვება შეიძლება „კეკელური ზუგასა“ და „ნაჭვის ზუგას“ ზედა პორიზონტების მასალების მიხედვით. ნოსირის II ფენაში ასევე პირველად ვამჩნევდით კეცის ფორმოვნებას (მხედველობაში გვაქვს ძლიერი ნასვრეტიანობა), რომელსაც გამოწვის დროს ჭურჭელი იღებდა თიხის ორგანული მინარევების გადაწვის გამო, რაც ძალიან ამსუბუქებს კეცს, მაგრამ ზოგჯერ ამცირებს მის სიმკვრივესა და სიმაგრეს. ფაქტურის ეს თავისებურება შეიძლება ახასიათებდეს თითქმის ყველანაირი ფორმისა და გამოწვის ჭურჭელს. ასეთი ჭურჭლების ოდენობა საკმაოდ მნიშვნელოვანია II ფენაში და ვფიქრობთ, რომ რამდენადმე მცირდება III ფენაში.

მოცემული პერიოდების კოლხური კერამიკის შეფარდებითი დათარილებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თიხის ჭურჭლის სპეციფიკური ყურები და მათ განვითარებაში აღვილად შესამჩნევი მობილურობა. ნოსირის ნამოსახლარის კულტურულ ფენათა კერამიკის მიხედვით შეგვიძლია თვალი გავადევნოთ მთელი ამ სპეციფიკის სრულ გრადაციას.

ნოსირის ბორცვის II ფენაში უკვე იშვიათია მინიატურული „ნახევარსფერული“, მუხლისებური, ცურისებური და სხვა ყურები, მაგრამ მყარად იკავებს ადგილს ორმხრივ (ნახვრეტის ორივე მხრიდან) ფაცეტირებული და, ალბათ ნახევარსფერულისაგან განვითარებული, უფრო მოზრდილი და მასიური, ზევიდან დაბრტყელებული ყურები (ტაბ. 43,1768) მეორენი შეიძლება წარმოადგინდნენ „ფრინველის მკერდისებური“ სახელურების საწყის ფორმას, რომლებიც ამავე ფენის ტოლჩებზე და რამდენადმე მსგავს ჭურჭლებზეა მორგებული და იძენენ სათანადო ფორმას. მაგრამ შემდგომში უტილიტარული მოთხოვნილებები განუწყვეტლივ ზემოქმედებენ ამ ფორმის განვითარებაზე და წარმოშობენ მის სხვადასხვა ვარიანტს. უკვე II ფენის პერიოდში (შეიძლება დასასრულს) ამ სახელურების ზედა ნაწილში, ლეროსა და კედლის შემაერთებელ ძგიდესთან, ისახება წყვილი მორჩისებური შვერილი და იქმნება უნაგირისებური ზნექილი, რასაც ალბათ ცერის მისაბჭენი დანიშნულება ჰქონდა (ტაბ. 38,1186). III ფენის სახელურებზე კი ვხედავთ მკაფიოდ გამოხატულ რქისებურ შვერილებს წაწვეტილ თუ ბრტყლად წაკვეთილი ბოლოებით. მათ „ზოომორფული“ ყურების სახელწოდება მიიღეს და შემდგომ განვითარებას განიცდიან ნოსირის IV პორიზონტში (ტაბ. 39,1030,1090). III ფენაში სახელურთა აღნიშნული სახეობები თანაარსებობენ. სახელურის ლეროს დაწახნაგება, რომელიც ჯერ კიდევ II ფენის პერიოდში ჩაისახა, თითქმის საყოველთაო გახდა IV პორიზონტის პერიოდის კანელურებიანი კერამიკის „ზოომორფული“ და კოჭისებურბოლოებიანი სახელურებისათვის, როდესაც უფრო ხშირად გვხვდება ლეროს გრავირების წესიც (ჩვეულებრივად ნაძვისებური ორნამენტი). ყველა ამ სახელურის საერთო დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ჭურჭლის კედელთან შემატებელი ძგიდე. ამ თავისებურებით სახელურების ზოგიერთი ვარიანტი აღრეანტიკურ ხანამდე აღწევს, მაგრამ ამ ღროს თავისებური „ზოომორფიულების“ გარდა ჩვეულებრივად გავრცელებულია მომცრო მორკალური მასიური, გარედან მომრგვალო ანდა ლენტური ყურები, რომელთაც ზემოდან ვიწრო ლილვაკი აქვს დაძერწი-

ლი. ყველაზე უფრო მასიური ნიმუშები ამ ყურებისა რამდენადმე მოგვაგონებს ნოსირის III ფენის ზოგიერთი ჭურჭლის უურს. ნოსირის ყველა ფენაში იშვიათად გვხვდება ყურები და სახელურები შედარებით ვიწრო, მრგვალგანივეკვეთიანი ღეროთი.

III ფენაში პირმოყრილი ნახევარსფერული ჭურჭლები იშვიათობას წარმოადგენს. შედარებით მრავლდება მრგვალბაკოიანი ჭურჭელი, კერძოდ, ჩნდება განივად გოფრირებული მრგვალი სქელი ბაკო. გადმონაშთის სახით არსებობას ინარჩუნებს ბაკოს დაწახნაგების ტრადიცია, რაც უფრო იშვიათად და შეცვლილი სახით გვხვდება IV პორიზონტის პერიოდში.

III ფენაშივე, როგორც ვიცით, არსებობას განაგრძობს კრატერისებურპირიანი მოზრდილი ჭურჭელი. მაგრამ კრატერისებურ ფართო პირებს III ფენიდან უფრო ადრეული მსგავსი ნიმუშებისაგან განსხვავებით (I და II ფენები) შიგნიდანაც და გარედანაც აქვთ რბილი გადასვლა მხარზე (ყელის ადგილას), ხოლო IV პორიზონტის პერიოდში ეს უკანასკნელი ნიშანი ერთადერთია ამდაგვარი ჭურჭლებისათვის. საერთოდაც, III ფენაში მკვეთრად იზრდება რბილად ყელ-პირგადაშლილ ჭურჭელთა რიცხვი, რომელთაც უფრო ვიწრო ყელი და ლია ფერის კეცი აქვთ. ამ ფენაშიც კერამიკას ახლავს მომცრო ზომის ოდნავ პირგადაშლილი, სწორკედლიან ქილისებური ფორმის ან მომრგვალო კედლიანი სამზარეულო ჭურჭლები. საყურადღებოა, რომ ნოსირის III ფენაში იშვიათად კი II ფენაში (აგრეთვე ჩვენ მიერ გათხრილ ძეგლთა შესატყვის ფენებში) არცთუ იშვიათად ჩნდებოდა შავპრიალებელი კერამიკა (მოზრდილი ჭურჭლის ფრაგმენტები) ე. წ. მოვარდისფრო სარჩულით, ანუ კეცის ორთენოვანი (შავი და მოვარდისფრო-მოწითალო) გამოწვით, რაც ძალიან დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს შუა ბრინჯაოს ხანის ე. წ. თრიალეთური კულტურის კერამიკისათვის (დაახლოებით II ათასწლ. შუა ხანამდე); კოლხური ნიმუშები, განსაკუთრებით „ნაჭვის ზუგადან“, ჭურჭლის კედლის ფრაგმენტების სახით აღმოჩენილი, სრულ მსგავსებას იჩენს, მაგალითად, თრიალეთურთან კეცის მიხედვით. მომდევნო ხანებში, II ათასწლ. შუა ხანების შემდეგ, ამგვარად გამომწვარი კერამიკა თითქმის სულ აღარ ჩანს ამიერკავკასიაში. თუ ამ ფაქტის ასახსნელად მოცემული ოლქებისათვის გარკვეულ საერთო ტექნიკურ დონეს ვივარაუდებთ, ჩვენ შეიძლება საფუძველი გამოვნახოთ ნოსირის II ფენის დასასრულსა და III ფენის დასაწყისის რამდენადმე მისაახლოვებლად თრალეთის კულტურის აღნიშნულ ფინალურ თარიღ-

თან.. III ფენის კერამიკაში შეინიშნება მცირერიცხოვანი ჭურჭლები სამეთუნეო ჩარხის კვალით, უმეტესად ეს ეხება ახალი ფორმის მომცრო ჭურჭლებს. მაგრამ არის ტრადიციული ფორმების ჭურჭლებიც. IV ფენაში კი ჩარხზე დამზადებული ჭურჭელი უფრო ხშირად გვხვდება.

II ფენის კერამიკის შემკობაში ჩვეულებრივი ხდება ჭურჭლის მხრის არეში ცალკეული თუ მწკრივებად განლაგებული მრგვალი ფოსოები. ზოგჯერ ასეთი ჩალრმავებები ჩართულია ორშელიმე სხვა ორნამენტში (ტაბ. 38,1276,1624,1681). მსგავსი ელემენტები ფიგურირებენ III ფენის კერამიკულ ორნამენტშიც (ტაბ. 39,284, 646: 44,3577), ხოლო მნიშვნელოვნად უფრო იშვიათად შეიმჩნევა IV პორიზონტის კერამიკაში.

III ფენის ორნამენტის წამყვანი სახეობებია: ღაროვანი ფესტონები, ჩვეულებრივად გრავირებული შტრიხებით ან დაშტამპული სავარცხლისებური პუნქტირით შევსებული, ორმლებიც ხშირად ნაძვისებურ სახეებს ქმნიან (ტაბ. 39,555,651,720,1103—4). ამავე ელემენტებითაა სარტყლები, შვეული ზოლები, შევრონები და ა. შ. ზოგჯერ გვხვდება გრავირებულ ხაზოვანი სახეებით შედგენილი ორნამენტი. წინანდებურად ძალაშია ჭურჭლის ყურებისა და კოპების ორნამენტულ სისტემაში ჩართვა. პარკეტული ორნამენტი ამ ფენაშიც გვხვდება, თუმცა უფრო იშვიათად.

მიუხედავად თანდათანობითი ცვლილებებისა და ნაწილობრივ მრავალი გარეგნული თვისების გაქრობისა, ნოსირის ბორცვის I-III ფენების კერამიკაში ვამჩნევთ ერთ უცვლელ ნიშანს — მთელი ამ კერამიკის საერთო სტილისტური იერის შენარჩუნებას.

როგორც აღვნიშნავდით, უფრო მეტი ცვლილებებია კერამიკულ წარმოებაში შეიმჩნევა ნოსირის IV პორიზონტში (ტაბ. 41,321—739; 45). თითქმის მთლიანად ქრება ჭურჭლის მომრგვალო („ნახევარსფერული“) ფორმები და მათთვის დამახასიათებელი ღარული შემკბა. ორნამენტის წინანდებური — რკალურ-წრიული სახეები (ტაბ. 51) და ა. შ., თუმცა სხვა ფორმები და დეტალები რამდენადმე შეცვლილი სახით განაგრძობს არსებობას, ჭურჭლის შემკობის უმთავრეს წესად იქცევა ზედაპირის კანელირება (ტაბ. 41,456 და სხვ). გამარტივებული და გაუხეშებული სახით შემონახულია გრავირებული ორნამენტის ზოგიერთი ელემენტი (სავარცხლისებური შტამპი, ნაძვისებური და სხვა სახის შტრიხები, ფოსოები, ჭდეები და ა. შ.). მაგრამ ისინი შედარებით იშვიათია გარდა „მუსლუხისებური“ სავარცხლისებური შტამპისა (დაგრძელებული ოვალური ჩალრმავებები

ტიხრისებური დანაწევრებით). ყველა ეს ელემენტი ორსებობას ინა-
რჩუნებს ანტიკური ხანის ადრეულ პერიოდებამდე და ძირითადად
თავს იჩენს სხვა ფორმებისა და ფაქტურის მქონე ჭურჭელზე.

ყველა ეს ცვლილება შეიძლება საფუძველს იძლეოდეს ნოსი-
რის III ფენასა და IV პორიზონტს შორის გარკვეული ქრონოლოგი-
ური წყვეტილების ან მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში რა-
ღაც ცვლილებების სავარაუდებლად. გარკვეული ინტერვალის დაშ-
ვება შეიძლება, მაგალითად, შემდეგი მოსაზრების გამო: როგორც
ითქვა, IV პორიზონტში გაბატონებული ალნიშნული კანელურები-
ანი კერამიკა გარკვეულ კავშირს ავლენს წინარე პერიოდის კერა-
მიკასთან, მაგრამ ადგილზე რაღაც ინტერვალის ორსებობის გარეშე
ეს კავშირი ძალიან სუსტად მოგვეჩვენებოდა და საკმარისი
არ იქნებოდა ახალი კერამიკის უცრად წარმოშობისა და მასობრი-
ვად გავრცელების ასახსნელად. ამასთან ერთად უნდა შევნიშნოთ,
რომ კოლხეთში ამ კერამიკის ანდა კანელურების ტექნიკის შემოტა-
ნის დაშვება სრულიად შეუთავსებელია კანელურებიანი ჭურჭლის
ტიპოლოგიასთან. დიდი თუ პატარა ზომის ამ ჭურჭლების სხვა ძირი-
თადი ელემენტები, მაგ., კრატერისებურად გადაშლილი ფართო პი-
რი, კიდისკენ რომ თხელდება, რქისებური და კოჭისებური შვერი-
ლებიანი ყურები, ტრადიციულ კოლხურ თავისებურებად წარმოვ-
ვიდგება.

ქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კრატერისებურპირიანი ჭურჭელი
კოლხური კერამიკისათვის დამახასიათებელია ჯერ კიდევ უძველე-
სი პერიოდებიდან, ნამოსახლარი ბორცვების ძირა ფენებიდან დაწ-
ყებული („გუძუბა“, „ზურგა“), მაგ., ნოსირის ბორცვის I ფენიდან.
ამიტომ ალბათ არ შევცდებით, თუ ძვ. წ. I ათასწლ. დასაწყისის კავ-
კასიურ (ე. წ. კოლხურ-ყობანურ) ბრინჯაოს სიტულებზე კოლხუ-
რი კერამიკული ჭურჭლების კრატერისებური პირის განმეორებას,
დავინახავთ და ამით მხარს დავუჭროთ ბ. კუფტინის მოსაზრებას,
რომ სწორედ კოლხურმა კერამიკამ იქნია. გავლენა ბრინჯაოს სიტუ-
ლებზე და არა პირიქით¹⁸. ბ. კუფტინი ამ რიგის მემკვიდრეობას ხე-
დავს ჭურჭლების საერთო ფორმაში კორპუსის კანელირებაში, რაც
თავისი წარმომავლობით კერამიკულ ტექნიკას უკავშირდება და
აგრეთვე რქისებურშვერილებიან ყურებში. თუმცა, ჭურჭლის პი-
რის მიმართ კუფტინი იმის შესაძლებლობასაც უშვებდა, რომ თიხის
ჭურჭლები სიტულების მიბაძვით „იღებდნენ ძაბრისებური პირის
თხელ კიდეს, მათთვის ესოდენ შეუფერებელს სიმყიფის გამო“.

ნოსირის IV პორიზონტის პერიოდში კერამიკულ წარმოებაში მომხდარი მკვეთრი ცვლილებების რიცხვში კიდევ შედის კოლხეთის ძეგლებში გამოჩენილი სრულიად უცხო კერამიკული ფორმები და ელემენტები. ესაა, მაგალითად, შავპრიალა ჭურჭელი შედარებით ვიწრო ყელ-პირით, ჭურჭელის მომრგვალობაკონი პირები და უფრო ხშირად მხარზე თუ მუცელზე დატანილი პორიზონტალური ლარებისა თუ ჩაღრმავებული ხაზების, რელიეფური ზოლების ორნამენტი, ჭურჭელის ყელის გოფრირება და ა. შ. (ტაბ. 45,2665, 2873). ჩვენ ამაში ვხედავთ საქართველოსა და ცენტრალური ამიერკავკასიის აღმოსავლეთი რაიონების კერამიკულ თავისებურებებს. თუმცა იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ ასეთი ელემენტი კოლხეთში უფრო აღრეულ პერიოდშიც შეინიშნება, მაგ., ნოსირის პორცვის. II-III ფენებში (ტაბ. 44, 3602-3,3626,3637,3586,3639). ახალი ელემენტების ფართო გავრცელება კი კოლხეთში, რომლებიც კოლხური კერამიკული ტრადიციების სფეროს გარეთაა, კიდევ უფრო გვიან ხდება — მუხურჩის სამაროვნის პერიოდში (დაახლოებით ძვ. წ. I ათასწლ. მეორე მეოთხედი და ნახევარი). თუმცა ამასთანავე, ამ სამაროვნის, აგრეთვე ექსპელიციის მიერ შესწავლილი წინარეანტიკური ხანის სხვადასხვა ნამოსახლართა მასალების მაგალითზე, ვამჩნევთ ცალკეული ადგილობრივი ტრადიციის გამძლეობასაც, რომლებიც თუ არ სჭარბობს, თანაბრად მაინც შეეფარდება ამ სიახლეებს.

ქველი კოლხური კულტურის ერთ-ერთ ყველაზე აღმოსავლეთ რეგიონში, ზედ ქართლის საზღვარზე (საჩხერის რ-ნის სოფ. კორბოულთან) შესწავლილი წინარეანტიკური და ადრეანტიკური ძეგლების ჯგუფის შესწავლის საფუძველზე მივდივართ სავარაუდო დასკვნამდე, რომ ამ ხანაში (შეიძლება რამდენადმე ადრეც თავისი საწყისის მიხედვით) აღნიშნულ ოლქში შეიძლებოდა მომხდარიყო გარკვეული მასშტაბის კულტურული ექსპანსია ან მიგრაცია უფრო აღმოსავლეთი რაიონებიდან (აღმ. საქართველო)¹⁹. კოლხური კერამიკის ახალი ელემენტების შესახებ ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ასეთივე დასკვნა გავაკეთოთ კოლხეთის შიდა რაიონების მიმართ, მხოლოდ შენიშვნით, რომ ნებისმიერი ექსპანსია ამ შიდა რაიონებში უფრო სუსტია, ვიდრე ხსენებულ საჩხერის რაიონში. რამდენადაც მრავალი აღმოსავლური ელემენტი უფრო დასავლეთით არ ვრცელდება. მაგ., ისეთი, როგორიცაა შვეულბორტიანი ჯამები და ლანგრები.

* * *

ექსპედიციის მიერ გათხრების რაოდნში შესწავლილი ქეგლებიდან ერთ-ერთია სოფ. გეჯეთთან შესწავლილი ნამოსახლარი ბორცვი შედარებით მცირე სიძლიერის ორი კულტურული დაფენებით. ორივე ეს დონე, როგორც ჩანს, შეესატყვისება ნოსირის III ფენის პერიოდს (ან II-ის დასასრულს).

„კეკელური ზუგასა“ და „ნაჭვის ზუგას“ კულტურული ფენები. წინასწარული ზოგადი განსაზღვრით, ნაწილობრივ უნდა შეესატყვისებოდეს ნოსირის II და III ფენებს. „კეკელური ზუგა“, როგორც ვიცით, გვაძლევს ფენების სტრატიგრაფიას. აქ შეიძლება გამოიყოს სულ ოთხი კულტურული პლასტი. ყველაზე მძლავრია I (ზედა) კულტურული ფენა.

გათხრებმა „ნაჭვის ზუგაზე“ გამოავლინა ერთი მძლავრი კულტურული დაფენება, რომელშიც კერამიკული მასალის წინასწარული განსაზღვრის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა ასაკის დონეები (2 მაინც). გასათვალისწინებელია ამ პლასტის სხვადასხვა ფენებს (ანუ ნაგებობათა სამშენებლო პერიოდებს) შორის შეფარდებათა დაზუსტების შესაძლებლობაც რამდენადმე განსხვავებული ასაკის ფარგლებში. ის ფაქტი, რომ მთელი ეს დაფენება იდოდიდ თიხაზვინულზე, რომელიც ბორცვისებურ შემაღლებას წარმოადგენს და „ზუგას“ ცენტრისკენ 3 მ-ზე მეტ სიმაღლეს აღწევს, ხოლო ძირით გარშემო რელიეფის ზედაპირიდან 1,5 მ. სილრმეზე დევს და ეყრდნობა ქვიანი თიხნარის გრუნტს, შეიძლება მიუთითებდეს მთელი სამოსახლოს საკმაოდ ადრეულ თარიღზე.

„ნაჭვის ზუგას“ მთლიანი კულტურული პლასტი და „კეკელური ზუგას“ სხვადასხვა ფენები კარგად შეეფარდება ერთმანეთს. „ნაჭვის ზუგას“ ზედა დონეების კერამიკის უდიდესი ნაწილი ანალოგიურია „კეკელური ზუგას“ ზედა ფენის მოყავისფრო პირგადაშლილი ჭურჭელებისა. ქვედა დონეების კერამიკა კი, რომელშიც მეტია შავი და მოშავო, რამდენადმე უხეში ნაკეთობის პირმოყრილი და ღარებიანი ჭურჭელი (რაც შეიძლება ნაწილობრივ ამ ადგილზე შემორჩენილ არქაული ტრადიციების შემორჩენას ნიშნავდეს), უფრო უახლოვდება „კეკელური ზუგას“ II და უფრო ღრმად მდებარე ფენების თიხის ნაწარმს.

მაგრამ ჩვენი უმთავრესი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ კერამიკული მასალის მიხედვით „კეკელური ზუგასა“ და „ნაჭვის ზუგას“ კულტურული ფენები ასაკობრივად ნაწილობრივ შეესატყვისება ნოსირის ბორცვის II-III ფენებს, ალბათ II ფენის დასასრულ-

სა და III ფენის დასაწყისს, ხოლო თუ პირველი ვათგანის მრავალ-ფენიანობას და მეორის კულტურული პლასტის საკმაოდ დიდ სიმ-ძლავრეს გავითვალისწინებთ, შეიძლება მათი პერიოდების მნიშვნე-ლოვანი ხანგრძლივობაც ვივარაუდოთ. ასე რომ შეიძლება დადას-ტურდეს ჩვენ მიერ აღრე გამოთქმული ვარაუდიც ნოსირის ნამო-სახლარის ცალკეული შესატყვისი პორიზონტის ქრონოლოგიური-დიაპაზონის შედარებით მნიშვნელოვან ხანგრძლივობაზე.

რამდენადაც აბსოლუტური დამათარილებელი მონაცემები (მათ შორის რადიოკარბონული განსაზღვრებები) კოლხეთის მრა-ვალი სტრატიფიცირებული ძეგლიდან არ გაგვაჩნია, მათი ქრონო-ლოგიის შესწავლაში მთავარ პრობლემად რჩება ამდაგვარი შეფარ-დებითი დაპირისპირების გარკვევა.

* * *

აღნიშნული ეპოქის კოლხური ძეგლების კულტურულ ფენათა შე-სწავლა საბჭოთა მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ ამ საუკუნის 30-იან წლებში და 40-იანი წლების დამდეგს დაიწყო. ნაწილობრივ ეს იყო დაზვერვები და ზოგადი გამორკვევები, რომელთაც თან ახლდა ძეგ-ლთა მეტ-ნაკლებად მიახლოებითი სტადიალური და ქრონოლოგიუ-რი განსაზღვრებები²⁰. ზოგიერთ ადგილას სამეცნიერო ექსპედიციე-ბის მიერ წამოწყებულ იქნა გათხრები, რომლებიც ეპიზოდური აღ-მოჩნდა, მაგრამ გამოავლინა გარკვეული მონაცემები და ხელშესა-ხები ნივთიერი მასალა, რომელმაც შექმნა ძეგლების საერთო ხასი-თის გარკვევის შესაძლებლობა²¹. უფრო გვიან ამ მონაცემთა მთელი ხელმისაწვდომი ნაწილი (ძირითადად ნაოხვამუსა და დიხა გუძუბას გათხრებიდან) სისტემატიზებული, განზოგადებული და ქრონოლო-გიურად სათანადოდ ინტერპრეტირებულ იქნა ბ. კუჭტინის მიერ, რომელმაც კოლხეთის ძეგლებისათვის ააგო იმდროისათვის ყველა-ზე უფრო სრული და დაზუსტებული პერიოდიზაცია²².

60-იანი წლებიდან კოლხეთის დაბლობზე სტაციონარული არქეოლოგიური გამოკვლევების ფართოდ გაშლის დასაწყისში უკვე მრავალი ცნობა დაგროვდა ბრინჯაოსა და აღრეული რკინის ხანის ძეგლების გეოგრაფიის შესახებ. საკმაო წვლილი ამაში მიუძ-ლვის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დასავ-ლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიურ ექსპედიციას (1965 წ.)²³. ამ ექსპედიციის მუშაობის შედეგები შეიცავს გამორკვეულ ძეგლ-თა წინასწარულ ქრონოლოგიურ განსაზღვრებს (მათ შორის ნოსი-რის ბორცვისას), რომელთაგან მრავალი თარიღი შემდგომში — არ-

ქეოლოგიური ექსპედიციების მიერ წარმოებული გათხრების შედეგად — დადასტურდა, ზოგიერთი კი დაზუსტებულ იქნა²⁴.

როგორც სადაზვერვო, ისე სტაციონარული გათხრითი სამუშაოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს შიდა კოლხეთის ძეგლებში უფრო ადრეული პერიოდების ცალკეული კულტურული ფენის გამოვლენა, რომლებიც, როგორც მათ განსაზღვრავენ, ენეოლითისა და ადრეული ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის (ისპანი, საელიაო, კურჩია, დიხა გუძუბე II და სხვ.)²⁵. ამ ძეგლების კავშირი მომდევნო ეპოქასთან, ისე როგორც ზღვისპირა ადრეული ძეგლებისა (აფხაზეთი), ჯერჯერობით სუსტად ისახება. ამიტომ მათი შედარებითი და აბსოლუტური ქრონოლოგია სავსებით გარკვეული არ არის.

ბოლო წლებში ფართო მასშტაბის საველე-არქეოლოგიური კვლევის წარმატებით განხორციელების შედეგად, განსაკუთრებით ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვ. თ. მიქელაძე), გამოვლენილი და შესწავლილია რიგი ზურგას (გუძუბას) ტიპის ახალი ძეგლებისა და სხვა კულტურული ფენებისა²⁶. მაგრამ ყველა ამ ძეგლიდან არ არის მასალა საკმარისად და კომპლექსურად გამოშვეულებული (მაგალითად, ისეთი მრავალფენიანი სამოსახლო ბორცვიდან, როგორიცაა „ნამჭედური“ ქობულეთის რაიონში), რაც აძნელებს ძეგლების ქრონოლოგიურ ინტერპრეტაციას საერთო მასშტაბით.

ნოსირი — მუხურჩის ძეგლების კულტურული ფენები სხვადასხვა შეფარდებაშია კოლხეთის დაბლობის ცნობილი ძეგლების დიხა გუძუბესა (გუძუბასა) და ნაოხვამუს ფენებთან²⁷ (იხ. თანდართული ქრონოლოგიური სქემა, გვ. 94).

ნოსირის ბორცვის I (ძირა) და II ფენები (კერამიკული მასალის ზემოთ მოტანილი ტიპოლოგიის მიხედვით) დაახლოებით და ნაწილობრივ დიხა გუძუბეს II ფენის (ბ. კულტინის მიხედვით შუაბრინჯაოს დასაწყისი ან ადრებრინჯაოს დასასრული) სინქრონულად მაგვაჩნია. ვუშვებთ ნოსირის I ფენის ქვედა ზღვარის რამდენადმე დაბველებისა და II ფენის ზედა ზღვარის გაახალგაზრდავების შესაძლებლობას დიხა გუძუბეს II ფენის სათანადო მიზნებთან შედარებით²⁸. ამასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს ზოგიერთი ნიშნით დიხა გუძუბეს II ფენის კერამიკის უფრო მეტი მიღრეკილება ნოსირის ბორცვის II ფენის კერამიკისადმი, ვიდრე I ფენის კერამიკისადმი. მაგალითად, დიხა გუძუბეს ამ ფენის კერამიკის მეტი ნა-

წილის შესახებ შენიშნულია: შედარებით ცუდი გამოწვა, კეცის მუ-
რა-მოვარდისფრო ფერი და ბალიისებურ-ქილისებური მოზრდილი
ჭურჭლის სიმრავლე²⁹. ამავე შედარებით ასპექტში შეიძლება
განვიხილოთ აღნიშნული ფენის კერამიკაში შედარებით მოგვიან
ტენდენციის მქონე ფორმებისა და ორნამენტაციის არსებობა, ისე-
თისა, როგორიცაა ჭურჭლის „ორფერდა“ და სხვა სახის ყურები,
შევრონული ორნამენტი და ა. შ. ვა დიხა გუძუბეს II და III ფენების
კერამიკას შორის მკვეთრი განსხვავება არ შეიმჩნევა, მომდევნო,
სულ ზედა, IV ფენაში კი მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, მაგ-
რამ III ფენის გარევეული კერამიკული ტრადიციები გრძელდება
და კერამიკის გვიანი სახეობები, ჯერ შემოსული არ არის, — ისეთი,
როგორიცაა კანელურიანი კერამიკა და სხვა, რომლებიც დამხასი-
ათებელია დაბლაგომის შუაფენისა, ნაონვამუს ზედა ჰორიზონტისა³¹
და ნოსირის ნამოსახლარის IV ჰორიზონტისათვის. ამიტომ, დიხა გუ-
ძუბეს III ფენა შეიძლება ნოსირის II ფენის პერიოდის შიგნით ან-
და მის დასასრულს იწყებოდეს და ნაწილობრივ ამავე ძეგლის III
ფენის ემთხვეოდეს, რომლის პერიოდის შიგნით, შეიძლება მთლად
ნოსირის IV ჰორიზონტის დასაწყისამდე, დიხა გუძუბეს IV ფენა
გრძელდებოდეს.

ნოსირის ბორცვის II და ნაწილობრივ II ფენა, როგორც ჩანს,
შეიძლება ასაკობრივად გავუთანაბროთ ნაონვამუს ქვედა (I და II)
ფენებს. ამ ძეგლის არსებობა (ასევე ბ. კუფტინის მიხედვით) შუა
პრინციპის ხანის დასასრულიდან იწყება. გვინდა შევნიშნოთ, რომ
თუმცა ბ. კუფტინის პუპლიკაციის მიხედვით ნაონვამუს კერამიკას
ფენობრივ განაწილებაში შეიძლება ეჭვიც კი შევიტანოთ აღრევას
თვალსაზრისით, რის შესახებ თვით ავტორიც მიუთითებდა³², მაგრამ
ამჯერად უნდა დავკმაყოფილდეთ ამ დაჯგუფებათა საერთო ხასია-
თით.

ნაონვამუს I და II ფენებში სახეზეა ტოლჩები და სხვა მომცრო
ჭურჭლები, შემკული მდიდრული რკალურლაროვანი და „პარკეტუ-
ლი“ ორნამენტით, „ფრინველისმკერდისებური“ ყურებით; გვხვდე-
ბა აგრეთვე უფრო მოზრდილი ჭურჭლების ფრაგმენტები ღარული,
სავარცხლისებურწერტილოვანი და ფოსოებიანი ორნამენტით. ჭურ-
ლის უმეტესობა პირმოყრილია ან კრატერისებურად გადაშლილი
პირი აქვს. ვამჩნევთ სხვა სახის ყურებსაც, როგორიცაა მაგ., ფართო
ლენტური „ორფერდა“ და (ზედა ჰორიზონტებში — II-III ფენებ-
ში თანდათან რომ მრავლდება) „რქებიანი“ სხვადასხვა ყურები და
სახელურები³³.

იგივე შეიძლება აღვნიშნოთ ნაოხვამუს კერამიკული მასალების ერთი ჯგუფის შესახებ, რომელიც ბორცვის ცენტრალურ ნაწილში წარმოებული გათხრებით იქნა მოპოვებული 1940 წ. არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით (საქართველოს სახ. მუზეუმის კოლექცია № 17-55³⁴). სამწუხაროდ, ამ ვასალის არ ახლავს თითქმის არავითარი დოკუმენტაცია საინვენტარო დავთარში. ჩანაწერების მიხედვით შეიძლება მათი მიკუთვნება ულრმესი კულტურული პლასტებისადმი, რომლებიც 1,5-დან 3 მ-მდე სიღრმეზე იღო. ესაა უმთავრესად საშუალო და მოზრდილი შავი, მოყავისფრო ან მოწითალო ჭურჭლების ფრაგმენტები კრატერისებურად გადაშლილი თუ სქელი დაწანაგებული პირით, ზოგჯერ „ფრანველისმკერდისებური“ დამუხლული ან ზემოდან ბრტყელი. მრგვალნახვრეტიანი ფაცეტირებული ყურით, რქისებურ შვერილებიანი ყურებით დასხვა. გვხვდება მოზრდილი ბადიები და ა. შ. არის ლარებით, სავარცხლისებური წერტილებით და გრავირებით კომბინირებული ორნამენტი, ე. წ. პარკეტული ორნამენტი, მრგვალი ფოსოები, კონუსური კოპები, დაბალი უნაგირისებური დანაძერში და ა. შ. ვანჩინევთ ნოსირის II-III ფენებისათვის (განსაკუთრებით II ფენისათვის) დამახასიათებელ კერამიკულ ფაქტურას ფორებიანი კეცით.

მაგრამ ნაოხვამუს I და II ფენები შეიძლება შესატყვისად რამდენადმე უფრო გვიან იწყებოდეს ვიდრე ნოსირის ბორცვის II და III ფენები, რამდენადაც მათში, როგორც გვგონია, ყველაზე არქაული იერის მქონე ელემენტების ნაკლები სიუხვეა, ვიდრე ნოსირის ხსენებულ ფენებში. ყოველ შემთხვევაში, ნაოხვამუზე კერამიკის მნიშვნელოვანი ჯგუფის არსებობა, რომელიც არ შეიძლება ნოსირის III ფენის კერამიკაზე უგვიანესი იყოს, ეჭვს არ იწვევს. ამას ადასტურებს ნაოხვამუს III (ზედა) ფენის კერამიკის ხასიათიც. ეს ფენა სავსეა ნოსირის IV პორიზონტის ტიპის კანელურიანი კერამიკით (ფართო კანელურები და სხვა). ამიტომ ეს ფენა დაახლოებით უნდა შეესატყვისებოდეს ნოსირის IV პორიზონტს. ჩვენ ჯერ არ შეგვიძლია დავაზუსტოთ კანელურიანი კერამიკის პერიოდის დასაწყისი კოლხეთში, მეტ-ნაკლებად მკვეთრი ცვლილებები ამ პერიოდის მასალებში შეიმჩნევა თითქმის ყველა ძეგლზე. მაგრამ ზესაძლებელია, რომ ყველგან არ იყოს ქრონოლოგიური წყვეტილი სათანადო ფენასა (კანელურებიანი კერამიკით) და წინარე ფენას შორის, როგორც ამას ვვარაუდობთ ნოსირში.

დაახლოებით ასეთივე ასაკობრივი შესატყვისობა ჩანს ნოსირის აღრეულ ფენებსა და სამფენოვან ძეგლს, ზურგას შორის, რომელ-

იც ქვედა ორი ფენის მასალების მიხედვით, ჩვენის აზრით, გათხრებისა და გამოკვლევის ავტორის თ. მიქელაძის მიერ სწორად არის სინქრონიზებული ნაოხვამუს სათანადო ფენებთან³⁵. ავტორივე, როგორც ჩანს, მართებულად ანიჭებს უპირატესობას რაღიოკარბონული თარიღების თარიღიალურ ვარიანტს, რომელიც მიღებულია ზურგას ქვედა კულტურული ფენიდან (3470 ± 190) და ავტორის მიერ გამოყენებულია აგრეთვე ნაოხვამუს ფენების აბსოლუტური დათარიღებისათვის³⁶. სწორედ ქ. წ. II ათასწლეულის შუა ხანას (ქ. წ. 1500 წ.), როგორც დამაკმაყოფილებელ აბსოლუტურ თარიღს იძლევა ამ გამოთვლის საშუალო მაჩვენებელი, რაც სავსებით ეთანხმება ბ. კუფტინის მიერ ერთ-ერთი არქეოლოგიური ნიმუშის (ქვის ლახტისთავის) დათარიღების ნაოხვამუს ქვედა ფენიდან (ქ. წ. II ათასწლ. შუა ხანა)³⁷ და ნოსირის ბორცვის II ფენის სატყისისათვის ჩვენ მიერ ნავარაუდევ აბსოლუტურ თარიღს (ქ. წ. II ათასწლეულის შუა ხანა ან პირველი ნახევრის დასასრული).

ნაოხვამუს ზედა ჰორიზონტებისა და სხვა ძეგლების სათანადო ფენების აბსოლუტურ დათარიღებასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ნაოხვამუზე მოპოვებული ბრინჯაოს ნივთებისა და სხვა ნაკეთობების კუფტინისეული ქრონოლოგიური ინტერპრეტაცია დამაკმაყოფილებელი ჩანს. ეს არის ბრინჯაოს შუბისპირი ცხოველთა შესანიშნავი გრავირებული გამოსახულებით, რკინის შუბისპირი, ბრინჯაოს ისრის პირები, სატეხი, საკინძები და სხვა, რომელთაც იგი გვიან ბრინჯაოს ხანას აკუთვნებს, კერძოდ, კოლხურ-ყობანური კულტურის სამხრეთ ვარიანტს. ავტორი ირკვევს კულტურულ პლასტში მათი მოხვედრის პირობებს, როგორც სამარხეული კომპლექსისა ჯერ კიდევ ნაოხვამუს III (ზედა) კულტურული ფენის ზედაპირული ჰორიზონტის წარმოქმნამდე³⁸. ყოველივე ეს პრინციპში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ ფენის, აგრეთვე ნოსირის IV ჰორიზონტის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარის ქ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნით განსაზღვრას. როგორც ვნახეთ, ამასვე ეთანხმება ზურგასა და ნაოხვამუსათვის თ. მიქელაძის მიერ შემოთავაზებული დათარიღება.

მაგრამ თ. მიქელაძის მიერ მოცემული ნოსირის ადრეული (I-III) კულტურული ფენების ქრონოლოგიურ შეფასებას სრულად ვერ გავიზიარებთ. ამ ფენებს იგი მთლიანად აკუთვნებს ქ. წ. II ათასწლეულის პირველ ნახევარს, ეყრდნობა რა სამივე ამ ფენის

კერამიკული მასალების ერთმანეთთან ახლო მსგავსებას და შემდგომი საფეხურის კერამიკისაგან განსხვავებას³⁹. მათთან ერთად დასა გუძუბეს II-III ფენები, ნამცედურის ქვედა ფენები და ა. შ., ავტორის მიერ კოლხური ძეგლებისათვის შემოთავაზებული პერიოდიზაციისა და კერამიკული მასალების ქრონოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, თავსდება პროტოკოლხურ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებს ძველ კოლხურ პერიოდს (გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა). ამ უკანასკნელს ეცუთვნის ნაოხვამუ, ზურგა, ტეხურისპირა ქვედა ფენა ნოსირში და ა. შ.⁴⁰.

ნოსირის აღნიშნული ფენების ასეთი დაძველებისათვის ავტორს შეიძლება პქონდა კიდეც გარკვეული საფუძველი, რამდენადაც ნოსირის მასალების პუბლიკაციაში და ინტერპრეტაციაში გათხრების პირველ წლებში შეიძლებოდა ასახულიყო ფენათა სტრატიგრაფიული ფიქსაციის დროს დაშვებული ცალკეული შეცდომები. მაგრამ ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ კერამიკის მიხედვით ზამოალნიშნულ ფენებს შორის მსგავსებასთან ერთად შეიძლება შევამჩნიოთ მნიშვნელოვანი განსხვავებაც, რაც სამეთუნეო წარმოების განვითარებას მოწმობს. უფრო გვიან კი (III ფენის შემდეგ), გარკვეული შუალედის დაშვების მიუხედავად, ჩვენ ვხედავთ აგრეთვე გენეტიკურ კავშირს სათანადო კერამიკული ჭრულების ცალკეულ ელემენტებს შორის, რაც გამორიცხავს დიდ წყვეტილს. მთლიანი სახით ამ ადრეული ყველა პერიოდის კერამიკის ევოლუცია სათუთა არ არის, რასაც სრულიად მართებულად ხაზს უსვამს თ. მიქელაძე⁴¹.

ამასთან ერთად, აღნიშნული უძველესი პერიოდებიდან დაწყებული ადრეანტიკურ ხანამდე (ჩათვლით), ჩვენ ვხედავთ ტრადიციების უწყვეტ განგრძობას სხვა სამეურნეო დარგებშიც, ყოფაში და მშენებლობაში. ამიტომ, შევნიშნავდით, რომ ნომენკლატურული მცნება „კოლხური კულტურა“, რომელსაც ზოგჯერ შედარებით ვიწრო ჩარჩოებით ზღუდავენ ხოლმე (გვიანი ბრინჯოს ხანა) უკვე პოტენციურად უნდა იძენდეს უფრო ფართო მნიშვნელობას.

რაც შეეხება ნოსირის ქვედა პორიზონტების გარკვეულ ფარგლებში დაძველებას, განსაკუთრებით I კულტურული ფენისა, რომელიც დიდად გამოირჩევა მასალების არქაულობით, პრინციპში ამის წინააღმდეგი არა ვართ, რასაკვირველია, ყველა პლასტის ქრონოლოგიური დიაპაზონის თანაფარდობისა და სხვა ძეგლებთან მათი შესატყვისობის გათვალისწინებით. I ფენის მიმართ ვუშვებთ კიდევაც ამას (300-წლიანი პერიოდი ყოველგვარი შიდა წყვეტილებით),

მაგრამ აბსოლუტური დამათარილებელი კონკრეტული მონაცემების უქონლობის გამო ჯერჯერობით თავს ვიკავებთ 200 წელზე მეტი შუალედით ფენათა უმეტესობის განსაზღვრისაგან.

ვთიქმოთ, რომ ნოსირის ნამოსახლარის ტეხურისპირა ქვედა ფენის ქრონოლოგიური ინტერპრეტაცია დაზუსტებას მოითხოვს (კანელურიანი კერამიკის შემცველი ფენა). ეს თანაბრად ეხება როგორც ჩვენ მიერ ადრე შემოთავაზებულ დათარილებას (წინარეანტიკური და ადრეანტიკური პერიოდები)⁴², ისე თ. მიქელაძის თარიღს. ავტორი სათანადო კერამიკას ძველ კოლხურ II პერიოდს აკუთვნებს, ძვ. წ. I ათასწლ. პირველი საუკუნეებიდან შუაკოლხური I პერიოდის დასაწყისამდე (ავტორის პერიოდიზაციით), ანუ ძვ. წ. VI ს. შუა ხანამდე⁴³. როგორც ვთქვით ახლა უკვე ამ ფენას (IV ფენასთან ერთად) ვათარილებთ ძვ. წ. X-IX სს-ით (ან XI დასასრულით და X სს). ეს თარიღი ემთხვევა ზემოხსენებული ძველი კოლხური II-ის დასაწყისს, რომელიც კანელურიანი კერამიკის გაჩენით ხასიათდება. შემდეგ, ჩვენი მონაცემებით (მუხურჩა) ამ კერამიკის ადრეული სახეები ანტიკურ ხანამდე ქრება, ხოლო ძვ. წ. VI-V სს-შიდე აღწევს კერამიკული ჭურჭლის ძირითადად განსხვავებული ტექნიკა „კანელირებისა“ (დანაძერწი ზოლური ქედებით).

მაშასადამე, ნოსირის ნამოსახლარის ტეხურისპირა ქვედა ფენასა და მის ზემოთ მდებარე ადრეანტიკური ხანის ფენას შორისაც ქრონოლოგიური წყვეტილი არსებობს. ამ ქრონოლოგიურ ინტერვალს, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო შეესატყვისება წინარეანტიკური ხანის კულტურული ფენები ადგილ „ნაწისქვილართან“, რომლებიც ჩვენ გამოვიკვლიერ წინასწარულად სოფ. მუხურჩის განაპირას, მის დასავლეთ მხარეს. ნოსირის ნამოსახლარის სანაპირო უბნის სულ ზედა ფენა კი არეული იყო, შეიცავდა ელინისტური და სხვა ხანის კერამიკას.

სამწუხაროდ, პუბლიკაციის უკმარისობის გამო არა გვაქვს სრული წარმოდგენა ქ. ქობულეთის ისეთ პირველხარისხოვან ძეგლებზე, როგორიცაა მრავალფენოვანი სამოსახლო ბორცვი ნამჭედური (შვილი კულტურული ფენა), ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი ისპანი და ფიჭვნარის საკულტო ბეგლი⁴⁴. შეიძლება ზოგადად ვივარა-უდოთ, რომ ნამჭედურის ქვედა, VI-VII ფენების კერამიკა შეესატყვისება ნოსირის I და II ფენის მასალებს. რაც შეეხება აპედათის დიხა-გუძუბას (გეგეჭკორის რ-ნი), გამოქვეყნებული მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,⁴⁵ კერამიკული მასალის მთელი შემადგენ-

ლობა შეიძლება მივაკუთვნოთ ნოსირის ბორცვის III, ნაწილობრივ კი II ფენის პერიოდს. მაგრამ ასეთი განსაზღვრა აღმათ გათხრების ავტორის დასკვნის საწინააღმდეგო იქნებოდა, რომელიც თვლის, რომ მთელი ეს მასალა განეცუთვნება ერთ პერიოდს და შეუძლებელია რაიმე ეტაპების გამოყოფა. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ ძეგლზე თვით ავტორის მიერ ფიქსირებულია სტრატიგრაფიულად მკაფიოდ გამოყოფილი სამი კულტურული ფენა, ხოლო ამ ფენების მასალა, რომელიც დათარიღებულია ძვ. წ. XV-XIV სს., შედარებულია ნაოხვამუს ბორცვის ორი ფენის — ზედა და შუა ფენების მასალებთან⁴⁶.

ამგვარად, კოლხეთის კანელურებიანი კერამიკის დასაწყისისა და აყვავების ხანას (რომელშიც ეჭცევა ტეხურის პირა ქვედა ფენა და ბორცვის IV ფენა) ჩვენ ვვარაუდობთ უშუალოდ მუხურჩის სამაროვნის აღრეული კომპლექსის დასწყისამდე (ძვ. წ. VIII ს. და საწყისი ან IX ს. დასასრული), რომელშიც შეიმჩნევა ამ ორი ჯგუფის ძეგლების დამაკავშირებელი კანელურიანი კერამიკის აღრეული სახეობის არსებობა.

ნაკლებ კონკრეტული იქნება ნოსირის ბორცვის I-III კულტურული ფენების ასაკის განსაზღვრა. ფენების მნიშვნელოვანი სიმძლავრისა და დანაწევრების გამო ვუშვებთ მათი ქრონოლოგიური საზღვრების მერყეობას ქვედა (I-II) ფენების დაძველებით, რაც შეესატყვისება მასალების არქაულობას. ზამოალნიშნული რადგან კარბონული თარიღის გათვალისწინებით (ზურგა) შეგვიძლია დავასახელოთ ამ ფენების შემდეგი თარიღები (ზევიდან ქვევით):

III ფენა — ძვ. წ. XIII-XII (ან XIII-XI) სს.; II ფენა — XV XIV (ან XVI-XV) სს.; I ფენა — XVIII-XVI (ან XIX-XVII) სს. ამასთან, მოცემული სქემა არ ასახავს ქრონოლოგიური ზღვარის სავსებით დასაშვებ მერყეობას ნახევარი საუცუნის ფარგლებში და ა. შ.

ასე რომ, აღნიშნული III-IV ფენები ამიერკავკასიისათვის საყოველთაოდ მიღებული არქეოლოგიური პერიოდიზაციის მიხედვით უნდა მიეკუთვნოს გვიანი ბრინჯაოსა და აღრეულ რკინის ხანას; II ფენა — შუა ბრინჯაოს დასასრულსა და გვიანი ბრინჯაოს დასაწყისს; ხოლო I ფენა დაახლოებით შუა ბრინჯაოს შუალედ ეტაპს⁴⁷.

ეს ქრონოლოგია შეიძლება დაადასტუროს ზოგიერთი მონაპოვრის საერთო ხასიათმა. ქვედა (I-II) ფენებში უხვადაა წარმოდგენილი არა მარტო კერამიკა არქაული ფორმისა, არამედ ქვისა და ძვლის იარაღებიც (ტაბ. 46) (II ფენიდან გვაქვს სპილენძის საკინძი — ტაბ. 38). ზედა ფენებში მსგავსი ნივთები გაცილებით ნაკლებია,

ხოლო ბევრი სრულიად არ ჩანს. ზედა (III) ფენაშივე ნაპოვნია პრინჯაოს ბრტყელი ცული (ტაბ. 46,3709). ფრაგმენტირებული მომცრო ფოთლისებური სატევარი (ტაბ. 40), პატარა საჭრეთელი (ტაბ. 46,1048), სფერული მძივი, ლითონის ჩამოსასხმელი თაბის პატარა ყალიბის ნატეხი (ტაბ. 40) და პატარა ციცქვები (გამდნარი ლითონის გადმოსასხმელი).

ცული წარმომავლობს III ფენის სულ ზედა ჰორიზონტიდან და მხარს უჭერს ამ ფენის დათარიღებას. მსგავსი ბრტყელი ცული (რამდენადმე განსხვავებული პროპორციებისა) ცნობილია ციხისძირის განძიდან, რომელიც თარიღდება გვიან ბრინჯაოს ხანთ (ბ. კუფტინი) ან ძვ. წ. XII-XI საუკუნეებით (დ. ქორიძე)⁴³. საჭრეთელი თავისი ფორმით გვაგონებს ნიმუშებს ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანისა თუ პირველი ნახევრის დასასრულის ურეკის განძიდან⁴⁴. და ხაზს უსვამს აღნიშნული ფენის მიღრეულებას ამ ათასწლეულის შუა ხანისაკენ. III ფენისთვის ნავარაუდევი თარიღი შეიძლება შეამაგროს ბოლო წლების აღმოჩენამ დაბლაგომში (სამტრედის რ-ნი). აქ, ბორცვ ნასაყდრევის ქვედა კულტურულ ფენაში (ვ. თოლორდავას გათხრები), რომელიც ნოსირის ბორცვის III ფენის თანადროული უნდა იყოს, მოპოვებულ იქნა კერამიკის ნიმუშები სოლისებური შტამპიანი ორნამენტით,⁵⁰ რომელიც დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკისათვის გვიანი ბრინჯაოს შედარებით ადრეულ ეტაპზე (დაახლოებით ძვ. წ. XIII-XII სს.). აღსანიშნავია, რომ დაბლაგომის ეს კულტურული ფენა იღო ნოსირის IV ჰორიზონტისათვის დამახასიათებელი კანელურებიანი კერამიკის შემცველი ფენის ქვეშ.⁵¹

როგორც ვთქვით, III ფენის ზემოხსენებული ბრინჯაოს საჭრეთელი მნიშვნელოვნად უფრო ადრეულ ნიმუშებთანაც კი (ურეკის განძიდან) იჩენს მსგავსებას, მაგრამ ეს ფაქტი, მთლიანობაში აღმულ სხვა მონაცემთა გათვალისწინების გარეშე, ჩვენ არ გამოგვადგება აღნიშნული ფენის ასაკის დაზუსტებული განსაზღვრისათვის. იგივე შეიძლება ითქვას ბრინჯაოს მძივზე იმავე ფენიდან, რომელიც გვაგონებს ზოგიერთ უფრო ადრეულ ნიმუშს ადრებრინჯაოს ხანის საჩხერის ყორლანებიდან⁵² და ეშერისა და აზანთის დოლმებიდან აფხაზეთში⁵³.

კოლხური კულტურის წრის ცალკეული ადრეული კერამიკული ელემენტი, როგორც, მაგ., უორნამენტო პირმოყრილი, ზოგჯერ ცალკეულკოპებიანი ჭურჭლის ფორმა ისპანის კულტურული ფენის კერამიკიდან, თუმცა კი ამუღავნებს გარკვეულ ზოგად მსგავსებას სა-

მოსახლო ბორცვების ქვედა ფენების წამყვან კერამიკულ ჯგუფებთან, მაგრამ კონკრეტული კავშირების გარეშე. ჩვენი კერამიკის ერთ-ერთი იშვიათი სახეობის ორნამენტის (მრავალწყება ნახევარმთვარისებური ჩაღრმავებული ორნამენტი) (ტაბ. 37, 1753) საკმაოდ ახლო ანალოგიას შეიძლება წარმოადგენდეს ნიმუშები მაჭარის ნამოსახლარის III, ადრებრინჯაოს ხანის ფენიდან აფხაზეთში (გუდაუთის რ-ნი)⁵⁴. მაგრამ ისინი იზოლირებულია ჩვენ მიერ განხილული კერამიკული პლასტისაგან სრულიად სხვა ტიპოლოგიური ასორტიმენტის გარემოში არსებობის გამო. სწორედ მასალათა შეფარდებით-ტიპოლოგიური კომპლექსური შემადგენლობის არარსებობა გვაიძულებს თავი შევიკავოთ კონკრეტული ქრონოლოგიური დაპირისპირებისაგან მაშინაც კი, როდესაც კოლხეთისა და ტერიტორიულად უფრო დაშორებულ ძეგლთა კერამიკას შორის ისახება ახლო პარალელიზმი. მაგალითად, როგორიცაა „ფრინველისმკერდისებური“ ყურები ადრებრინჯაოს დასასრულისა და შუაბრინჯაოს დასაწყისის უფრო აღმოსავლეთ მხარეთა ზოგიერთი ძეგლის კერამიკაში (ქორეთი⁵⁵, ხოვლე⁵⁶, თრიალეთი⁵⁷, ელტო⁵⁸, და სხვა). ამავე ეპოქაში, ან უფრო ადრე, შეიმჩნევა მსგავსი ვარიანტების გავრცელება სამხრეთ ევროპაში და ეგეოსურ ზოგიერთ ოლქში. შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე ევროპის სხვადასხვა რეგიონში (ისე როგორც კოლხეთში) კონუსური კოპებითა და შვერილებით, ღარებითა და სხვა ელემენტებით კომბინირებული დეკორით შემკული კერამიკის აღრეული გაჩენა⁵⁹.

ამგვარად, ჩვენ შევეხეთ ნოსირი— მუხურჩისა და ნაწილობრივ სხვა ძეგლთა ქრონოლოგიის ზოგიერთ კერძო საკითხს ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე იმაზე, რომ შეიძლებოდა მონაცემთა რამე ამომწურავი გაანალიზება მოგვეხდინა. ან რომელიმე პრობლემა გადაგვეწყვიტა. განხილულ ძეგლთა წრეშიც და კოლხეთის სხვა რეგიონებშიც გამოკვლევას ელის ახალი არქეოლოგიური ობიექტები. ბევრ შემთხვევაში სასურველია დაწყებული გათხრითი სამუშაოების გაგრძელება და უკვე მოპოვებულ მონაცემთა დეტალიზება. ყოველივე ეს ალბათ ხელს შეუწყობს ისეთი მნიშვნელოვნი საკითხების გარკვევას, როგორიცაა სტრატიფიცირებულ კულტურულ ფენათა შორის არსებული ქრონოლოგიური ინტერვალები ან სხვადასხვა ძეგლთა და ფენათა ნაწილობრივი ურთიერთდამთხვევა, შეფარდებით და აბსოლუტურ დათარიღებათა ურთიერთშესატყვისობა და სხვ.

მეორე საკითხს წარმოადგენს კულტურულ პლასტია დაკავშირება ძველი კოლხეთის ლითონის ინდუსტრიასთან (განძები, სამაროვნები), რომელიც ადრეულ პერიოდებში თითქმის სრულიად მოწყვეტილი რჩება ნამოსახლართა კერამიკული მასალის უდიდესი მასისაგან. უეპველია, რომ ქრონოლოგიის შესწავლის დიდად შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს მასალათა პუბლიკაციის ჩამორჩენა, მათ შორის ზოგიერთი სამაროვნიდან.

მ ე ს ა მ ე თ ა ვ ი

ეკონომიკური და კულტურული განვითარების ღონი

ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს რამდენადმე სრული წარმოდგენა ამ საკითხებზე არა მარტო იმიტომ, რომ შესწავლილი ძეგლების საერთო რაოდენობა არასაკმარისია, არამედ იმიტომაც, რომ ცალკეულ ძეგლთა ბოლომდე გამოკვლევა რთული და შეუძლებელი ხდება. მაგრამ მოპოვებული ნივთიერი მასალების გაანალიზებისა თუ მონაცემთა განზოგადების საფუძველზე მაინც შეიძლება გარკვეული პასუხის გაცემა.

კერამიკული წარმოება მოცემულ ხანაში ერთ-ერთი წამყვანი და ყოვლისმომცველი დარგი ჩანს, რომლის პროდუქტია კოლხეთის სათანადო ძეგლებზე გაცილებით სჭარბობს ყოველნაირ სხვა მასალას. სწორედ კერამიკული ჭურჭლის ფორმები გვაძლევს საშუალებას როგორლაც თვალი მოვავლოთ სხვა სამეურნეო დარგებსაც. მაგალითად, ნოსირის კერამიკის ფართო და ტიპოლოგიურად დიფერენცირებული ასორტიმენტის მიხედვით თავისუფლად შეიძლება მსჯელობა ინტენსიური მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ზოგად ხასიათზე და ა. შ.

აღრეული კულტურული ფენების კერამიკაში უკვე ვხედავთ დიდი ზომის ქვევრისებურ ჭურჭლებს, რომელთა რაოდენობა და ფორმათა თავისებურება სავარაუდებელს ხდის მათ გამოყენებას არა მარტო სითხის მოსაკავებლად, არამედ მარცვლეულისა და მესაქონლეობის პროდუქტთა შესანახადაც.

კერამიკული ჭურჭლეულის ტიპოლოგიაზე და სხვ. ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი ქრონოლოგიასთან დაკავშირებით (იხ. მეორე თავი). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფორმებისა და დეკორატიული გაფორმების მხრივ სხვადასხვა პერიოდების მანძილზე შემჩნეული ცვალებადობა, აღბათ, სწორედ სამეურნეო დარგებსა და ყოფაში მომხდარი შედარებითი ცვლილებების ნია-

დაგზე ხდება. მართალია, ფორმალური თუ მხატვრული თვალსაზრისით კერამიკის გარკვეული მხარე გამარტივებას ან რეგრესსაც კა განიცდის (და მსგავს მოვლენებს, როგორც ვიცით, კერამიკის მასობრივ წარმოებაზე გადასვლას უკავშირებენ), მაგრამ ზოგადად, როგორც ჩანს, ევოლუციის საერთო პროცესს ემორჩილება. ადრეული პერიოდების თიხის ჭურჭელი შეიძლება ძირითადად ხელით ნაძერწი იყოს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ დახვეწილი ფორმებისა და მკაფიოდ გამოძერწილი დეტალების მქონე ჭურჭელი, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ხელით მბრუნავ მორგვზე იყოს ნაკეთები. სწორედ ეს ეგზემპლიარები ხასიათდება ზედაპირისა და შიდაპირის კარგი მოგლუვებით თუ გაპრიალებით, რაც შესაძლებელია მორგვზე დამუშავების კვალს ფარავდეს. ზოგიერთი ძეგლი გვაძლევს კერამიკის ადგილობრივი წარმოების დამადასტურებელ აშკარა მონაცემებს, რასაც გამოხატავს ცალკეული სათანადო აღმოჩენა, მაგალითად, ჭდეული ორნამენტის დასატანი შტამპებისა (ნოსირის ბორცვის შუა ფენა — ტაბ. 46, 1915, 2224, ჭალადიდას ზურგის შუა ფენა⁶⁰, ღიხა გუძუბე I-ის შუა ფენა⁶¹), სამეთუნეო ქურის სოლებისა (ნოსირი) და ძვლის მრავალრიცხოვანი საპრიალებლებისა (ტაბ. 46, 1869-71 სხვ.). პირდაპირი მონაცემები იმდროინდელი რწმენა-წარმოდგენების შესახებ ნასახლარებიზან არ გაგვაჩნია. ვერამიკული დეკორატიული მოტივებისა და ელემენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით (მაგალითად, — ცურისებური შვერილები, ტუბუსებური კოპები. სოლარულ-ლარული წრეები და სხვ.). შეიძლებოდა მათში ზოგიერთ კულტთან და საკრალურ რიტუალთან დაკავშირებული სიმბოლური ნიშნები გვეცნო. სათანადო ელემენტები მრავალფეროვნად (მრავალნაირი ვარიანტით) და მრავალრიცხოვნადაა წარმოდგენილი კოლხურ კერამიკაში, განსაკუთრებით ადრეულ საფეხურებზე. შემდეგში მთელი ეს შემადგენლობა თანდათან ღარიბდება და იყლებს (მაგ., ნოსირის III-IV ფენების კერამიკა), რაც შეიძლება კერამიკული წარმოების საერთო ნიველირებისა და ამ სიმბოლიკის სხვა დარგში, სხვა სფეროში გადანაცვლების თუ აქცენტირების შედეგი იყოს. თუმცა უნდა ითქვას, რომ სხვა სახის დეკორაციული ელემენტები („ზოომორფული“ ყურები, კანელურები და სხვა.) შემდეგშიც ხშირად დაბვეწილი შესრულებით გვხვდება.

კოლხეთის ბარის იმდროინდელი მოსახლეობის უმთავრეს სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა, რაზედაც პირდაპირ მიუთოთებს კოლხურ ძეგლებზე აღმო-

ჩენილი სათანადო ხასიათის უამრავი მასალა. კერძოდ, ნოსირი-მუხურჩის ძეგლების ყველა ფენაში მრავლად გვხვდება დამანასიათებელი ხელსაფქვავები (ჩვეულებრივად ნავისებური ოვალური ქვედა ქვით), ქვასანაყები, სანაყები, სასრესები, პურის საცხობად (და შეიძლება საჭმლის შესაწვავად) გამოყენებული მრგვალი ბრტყელი რიყის ქვები და სხვა. გვხვდება კუის ნამგლისპირები (ჩასართები), მიწის საჩიჩქნი ირმის რქის იარაღები, ქვის თოხისებური იარაღი და შეიძლება ამავე მიზნით გამოყენებული წერაქვისებური იარაღი (ტაბ. 46). მსგავს აღმოჩენებს (იარაღთა ზოგიერთი იშვიათი ნიმუშის გამოკლებით) ადგილი ჰქონდა კოლხური კულტურის სხვა ცნობილ ძეგლებზეც.

ამავე ძეგლებზე აღმოჩენილი ხორბლეულის ნაშთები წარმოადგენს იმის დამადასტურებელ ფაქტს, რომ მარცვლეულ კულტურებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა კოლხეთის მიწათმოქმედებაში. ნოსირის ბორცვისა და ტეხურისპირა უბნის ქვედა ფენებში აღმოჩენილია ცალკეული მცირე გროვების სახით კარგად დაცული ენდემური ჯიშის ხორბლის მარცვლები — ლიკა (*triticum carthlicum*) და მახა (*triticum palaecolohicum*). გარდა ამისა ნაპოვნია ფეტვის მარცვლები⁶². თავისთავად გასაგები ხდება, რომ აღნიშნული ენდემური ჯიშების გავრცელება ძველ კოლხეთში (მახას ჯიშის მარცვლები კიდევ აღმოჩენილია დიხა გუძუბე I-ის II ფენაში⁶³) და ინტენსიური მიწათმოქმედების მიმდევარი მოსახლეობის საცხოვრებლებზე მისი დაზასტურება საკმაოდ მყარ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ კოლხეთის ბარის რაიონები ხორბლეულისა და კულტურულ მცენარეთა წარმოშობას ერთ-ერთ ნავარაუდევ ცენტრში შემავალ მხარედ მივიჩნიოთ.

ასეთივე მრავალმეტყველი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ვაზის-აღმოჩენას ნოსირის ბორცვის ქვედა ფენაში⁶⁴. ხოლო ყურძნის წიპ-წებისას დიხა გუძუბე II-ზე⁶⁵. სხვა კულტურული მცენარეების ნაყოფისა თუ შემგროვებლური მეურნეობის პროდუქტების მხრივაც დაახლოებით ერთგვაროვანი სურათია კოლხეთის ძეგლებზე.

დიხა გუძუბე I-ზე დადასტურებულია „მჭადის ფეტვა“, ორივე დიხა გუძუბეზე და ნოსირში — ჩვეულებრივი ფეტვის მარცვლები, რომელთაც ზოგჯერ არქეოლოგები ღომის მარცვლებად მიიჩნევენ, აგრეთვე — წაბლის, თხილისა და რკოს ნაყოფი; გოვრის კურკები ნაპოვნია დიხა გუძუბე II-ზე⁶⁶.

კიდევ უფრო მეტ შესატყვისობას ვამჩნევთ კოლხურ ძეგლებს.

შორის, როდესაც ერთმანეთს ვადარებთ სათანადო ოსტეოლოგიურ მასალებს ⁶⁷. ეს შესატყვისობა განისაზღვრება როგორც რაოდენობრივი, ისე ტიპობრივი მონაცემებით. ყველგან სჭარბობს ტანმორჩილი მსხვილფეხა რქოსანი საქონელი — *Bos taurus*, რომლის ძვლები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. შემდეგ მოდის შინაური ლორი და ბოლოს წვრილფეხა რქოსანი (თხა, ცხვარი). შეიძლება მოვიყვანოთ რაოდენობრივი შეფარდების ორიოდე მაგალითი გარკვეულ წლებში მოპოვებული ძვლოვანი ნაშთების მიხედვით.

ნო სირი. 1968 წ. მსხვილი რქოსანი — 40, ლორი — 30, წვრილი რქოსანი — 5, 1969 წ. მსხვილი რქოსანი — 77, ლორი — 37, წვრილი რქოსანი — 11.

ნო ს ე ვ ა მ უ. 1933-34, 1936, 1938 წწ. მთლიანი რაოდენობა — 650, მსხვილი რქოსანი — 526, შინაური ლორი — 114, ცხვარი და ცხენის კბილები — 4.

სხვადასხვა სახის ცალკეულ აღმოჩენათა მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ აგრეთვე მეურნეობის, ტელოსნობისა და შინამრეწველობის სხვა დარგებზე. სავსებით დასაშვებია, შაგალითად, კაუის წვრილი ნივთების ადგილობრივი დამზადება (ნამგლის ჩასართები, ისრისპირები და სხვა (ტაბ. 46, 1945, 2351), რამდენადაც კულტურულ ფენებში, განსაკუთრებით ქვედა დონეზე, არცთუ იშვიათად გვხვდებოდა კაუის ანატკეცები, კაჭრები და სხვა ნამტვრევები; უფრო იშვიათად კი ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები, რაც აღმოსავლეთ ოლქებიდან აშკარად შემოტანილი ამ მასალის ადგილობრივ დამუშავებას გულისხმობს. იმპორტთან დაკავშირებით აქვე შეიძლება მოვიხსენიოთ გამომწვარი თიხის ცილინდრული ნივთი (ნახევარი) შუაში ნახვრეტით ნოსირის IV ფენიდან (ტაბ. 46, 2742). რომლის ლაბორატორიული შესწავლის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებიდან მისი წარმომავლობის შესახებ ⁶⁸. ეს სწორედ ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთი ბოლო პერიოდია, როდესაც ჩვენ კოლხურ კერამიკაში ვამჩნევთ მნიშვნელოვან ცვლილებებს და აღმოსავლეთი ოლქების მხრიდან სავარაუდო გავლენებს.

სხვადასხვა ჯგუფის წვრილი ნაკეთობები, როგორიცაა ქვისა და თიხის კვირისტავები, საწაფები, ძვლის ნემსები თუ მახათები, სალესი ქვები და სხვა (ტაბ. 46) საოჯახო ხელსაქმისა და შინასაქმიანობის საჭიროებებს ემსახურებოდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის მონაცემები, რომ-

ლებიც, პირდაპირ თუ ნართაულად, მელითონეობასა და ლითონის გამოყენებაზე მიუთითებენ, როგორც საერთო საწარმოო განვითარების უველაზე მძლავრ საფუძველზე და რამდენადმე ხელს უწყობენ ამ პროცესის დაზუსტებასაც.

გარდა ზემოგანხილული ლითონის ნივთებისა, ნოსირის ბორცვის III ფენიდან, გვაქვს ლითონის ნივთის ჩამოსასხმელი ყალიბი (ფრაგმენტი, ტაბ. 40, 1882), გადადნობილი ლითონის გადმოსასხმელი პატარა ციცქვები. ზედა პორიზონტებში მატულიობს სალესი ქვების რაოდენობა, რაც ლითონის იარაღის მომრავლებას ნიშნავს: ხშირდება ლითონის იარაღით ზის დამუშავების შემოხვევები. მაგალითად, — III ფენის ფიცრისებურად გამოთლილი ბრტყელი ძელები № 1 თხრილში (1976 — 77 წწ.), ყავრისებური თხელი ფიცრები ტეხურისპირა ქვედა ფენაში, ბოლოებგაღაჭრილი მორები ტეხურისპირა შუა (ადრეანტიკური ხანის) ფენაში და სხვ.

ცხადია, რომ ყოველივე ეს ცოტას მეტყველებს ლითონის გამოყენებაზე საკვლევი საზოგადოების სამეურნეო ცხოვრებაში და ყოფაში. იმის გამო, რომ პირდაპირი მონაცემები მცირეა ან ძნელად ხელმისაწვდომი. აქვე ბუნდოვნად რჩება მრავალი გნიშვნელოვანი საკითხი სხვა სფეროშიც, რის გამო მხოლოდ ზოგადი და სავარაუდო მსჯელობის საშუალება რჩება.

* * *

სამეურნეო და საყოფაცხოვრებო რაიმე არქიტექტურული კონსტრუქცია ჩვენს ძეგლებზე რამდენადმე სრული სახით არ შემორჩენილა. ნოსირის ბორცვზე დიდ ქვაბულში დამოწმებული ძელების ოთხკუთხა წყობა და ჩრდილოეთ მხარეს რკალურად შემოვლებული ლიანდაგისებური წყობა (ტაბ. 3; 9), ჩანს, სხვადასხვა ხასიათის ნაგებობათა ნაწილებია და ჩვენამდე საძირკველის სახითაა მოღწეული. ოთხკუთხა გეგმის ძელური წყობა შეიძლება საცხოვრებელი ნაგებობის ან სამეურნეო სათავსოს საძირკველი იყოს. უფრო სრული სურათი გვაქვს სხვა პარალელურ ძეგლებზე, მაგ., ნაოხვამუსა⁶⁹ და დიხა-გუძუბე II-ის ქვედა ფენებში⁷⁰ და ადრეანტიკური ხანის ბორცვის ტიპის ნამოსახლარ „სიმაგრეზე“⁷¹. ნაოხვამუზე ძელური წყობები (ლიანდაგისებური თუ უჯრედული) ბორცვის პერიფერიულ ნაწილს შემოუყვება გარეშემო და, როგორც მიიჩნევენ, ფართო სქელი ზღუდის ფუძეს წარმოადგენს. დიხა-გუძუბე II-ზე და „სიმაგრეზე“ კი გვაქვს მნიშვნელოვან ფარ-

თომზე დაცული იატაკ-საძირკველის სხვადასხვა წყობები, ერთ შემთხვევაში („სიმაგრე“) — ჯარგვლური წყობის კედლებიანი ოთხკუთხა სათავსოს (შეიძლება საცხოვრებელი სახლის) გარკვეული სიმაღლის კედლები. რამდენადაც ვიცით, ნამჟედურის ბორცვის ერთ-ერთ ფენაში კარგად იყო დაცული ასეთივე წყობის ოთხკუთხა ნაგებობის ქვედა ნაწილი. ღიხა-გუბუქე I-ის ხიმინჯებიანი და თითქოს „რვაკუთხა“ ძელური (მორებიანი) საძირკვლის გვონე წნულ-კედლებიანი ნაგებობის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი⁷².

ნოსირის ბორცვის ოთხკუთხა ძელური წყობის შესახებ გამოთქმულია მოსაზრება /ალ. ჯავახიშვილი/, რომ ეს არის ოთხკუთხა მორული ნაგებობის ნაშთი, რომელსაც შეიძლებოდა ჰქონოდა ან კოჭოვან-მიწაყრილიანი, ან სიგრძივ-გვირგვინიანი გადახურვა, რაც, ავტორის აზრით, უფრო საგულისხმოა ადგილობრივ კლიმატურ პირობებში და ტიპოლოგიურად უპირისპირდება ბ. კუფტინის მიერ ნაოხვამუზე ნავარაუდევ თიხით მელესილ წრიული გეგმის ნაგებობას კონუსური სახურავითა და წნული კარკასით⁷³. ავტორი თვლის, რომ მსგავს ძეგლებზე უდავოდ უგინდება გვირგვინული წყობის განსაკუთრებული მორული უჯრედის გამოყენება ნაგებობის ძირზე და, რომ ეს სისტემა კარგად არის ცნობილი აღნიშნულ ხანაში. ამ ფაქტს ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რამდენადაც იგი დოკუმენტურად ადასტურებს კოლხეთში მშენებლობის განსაკუთრებული ტექნიკისა და კონსტრუქციის საკმაოდ ძველი ტრადიციის არსებობას, რომლისგანაც უნდა განვითარებულიყო ანტიკური ხანის ავტორის ვიტრუვიუსის ძიერ (ძვ. წ. I ს.) აღწერილი კოლხური სახლი და რომელთანაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია დარბაზული ტიპის სამხრეთკავკასიური საცხოვრებლის წარმოშობის ძირეული საკითხები, სპეციალისტთა მიერ სხვადასხვა ინტერპრეტაციას რომ იღებს (ლ. სუმბაძე, თ. ჩიქოვანი). ამასთან დაკავშირებით აკტორს საკმაოდ დამაჯერებლად მიაჩნია ვარაუდი, რომ ადრებრინჯაოს ხანის „ქვაცხელას ტიპისა“ და საერთოდ დარბაზული ტიპის საცხოვრებლის ცენტრალური ნაწილის კონსტრუქცია გენეტიკურადა დაკავშირებული „ვიტრუვიუსის კოლხური სახლის“ გადახურვასთან, ხოლო საკუთრივ ნაგებობის ტიპი და კონსტრუქციული თავისებურებები აშკარა მიღრეკილებას იჩენს მცირეაზიულ უძველეს ძეგლთა წრისადმი (ხაჯილარი, ბეიჯესულთანი და სხვ.).

კოლხეთის სათანადო ძეგლთა ნაგებობებისა თუ საერთო დასახლების შესახებ ამჟამად მრავალი საკითხია დასმული, რომლებიც ეხება სამოსახლოთა მასშტაბებს, მოსახლეობის ოდენობას და მი-

სი სოციალური კატეგორიის განსაზღვრას, სამოსახლოთა სისტემას, მისი არსებობის საფუძველს, ბუნებრივი პირობებისა თუ სამეურნეო სპეციფიკის გავლენას დასახლების ტიპზე და ა. შ. სავსებით სამართლიანად არის შენიშნული რომ ამ საკითხებზე საბოლოო პასუხის გაცემა, კერძოდ სამოსახლოთა ურთიერთკავშირის არსზე, მათი ორგანიზაციისა და მშენებლობის პრინციპზე და სისტემაზე მსჯელობა შეუძლებელია სანამ განხორციელებული არ იქნება კომპლექსური შესწავლის ფართო გეგმა, რომელიც თავის დროზე დასახა ბ. კუთარინმა⁷⁴.

როგორც ვიცით, ნოსირი — მუხურჩის ნამოსახლარებზე, ისე როგორც სხვა კოლხურ ქადაგებზე, ამ საკითხებთან დაკავშირებული პირდაპირი მონაცემები მცირედი ოდენობით თუ მოიპოვება, მაგრამ თანდათან, მაინც გროვდება გარკვეული სახის სათანადო ფაქტები, რომელთაც მრავალმხრივი გაანალიზება და შეჯერება სჭირდება.

უნდა ვითქიქროთ, რომ სამოსახლო ბორცვებზე ჩვეულებრივად ორი ძირითადი ტიპის ნაგებობა არსებობდა, ჯარგვლისებური წყობის (სქელი მორებით ან შედარებით ვიწრო ქელებით ამოყვანალი) კედლებითა და წნულკედლიანი. ორივე ტიპის კედლები გარედან თიხით იყო შელესილი. ჩვენ მიერ შესწავლილ ნახანძრალ ფენებში ხშირად ჩნდებოდა ბათქაშის ნატეხები ყველანაირი სისქის ხის ანაბეჭდებით. კერძოდ, ნოსირის ბორცვის II ფენიდან (თხრილი № 4) გვაქვს სქელი (20—25 სმ სისქის) დამწვარი მორის ანაბეჭდიანი სქელი ბათქაშის ფრაგმენტი (სავ. № 209, 1976 წ. ტაბ. 46,1), რომელიც გარედან (ანაბეჭდის მეორე მხარეს) გლუვად არის მოლესილი ისე, რომ ეს მხარე სამწახნაგაა, შუა უდიდესი სიბრტყით, რომელსაც გვერდითი სიბრტყეები (ერთი ოდნავ მომრგვალებული) ბლაგვი კუთხით უერთდებიან. როგორც ჩანს, ეს ნიმუში მორების შეუღლების კუთხიდან გადასული ხის თავის შელესილობის ნაწილი არ უნდა იყოს, რადგან ყველა მხრიდან თავისუფალი ეს თავი ირგვლივ უნდა ყოფილიყო შელესილი, რასაც ჩვენი ნიმუშის გარეგნული ფორმა არ ეთანხმება. გამოდის, რომ კედლის შელესილობა მთლიან სიბრტყეს კი არ ქმნიდა, არამედ ქელების (მორების) შესაბამისად სიგრძივ რელიეფურად იყო დაზოლილი, რაც გულისხმობს წყობაში ქელების შედარებით სიმჭიდროვეს (სიახლოვეს) ან ერთმანეთზე დაყრდნობას და შეიძლება ეს სიმტკიცეს და გამძლეობას მატებდა მთლიან ლესილობას, რომელიც ქელე-

ბის დაცულობის შენარჩუნებასაც ემსახურებოდა. საერთოდ კა-
სტრატიგრაფიულ ჭრილებზე ნახანძრალი ნაშთების განლაგების მი-
ხედვით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ნახშირის შრეებს (ხის
ძელების ნამწვარს) ბათქაშის ქვეშ ავლენს, უნდა დავუშვათ კუთ-
ხეებით შეკრული, გარედან შელესილი ხის ნაგებობის შიდა არეში
ჩაქცევა. ხშირად ბათქაშისა და ნახშირის ეს შრეები მძლავრია და-
უწყვეტად გრძელდება მოზრდილ (მაგ., 8 — 10 მ. სიგრძის); მონა-
კვეთზე, რაც საკმაოდ დიდი ფართის ნაგებობის არსებობას
მოწმობს.

როგორც ვხედავთ, ამ მონაცემების მიხედვით, კოლხური ხის
ნაგებობები შელესილობით განსხვავდება „ვიტრუვიუსის კოლხური
სახლისაგან“, რომლისთვისაც ვიტრუვიუსის მიერ არ არის მითითე-
ბული კედლის შელესილობა, არამედ აღნიშნულია ჯარგვლური
წყობის ხეებს შორის შუალედი არის (სიცარიელის) თიხითა და ნა-
ფოტებით (თუ ფათხებით ანუ ძელაკებით) შევსება⁷⁵.

მართალია, ჩვენ განვიხილავთ სულ სხვა პერიოდს, ვიდრე ვი-
ტრუვიუსის ხანაა, მაგრამ ვიტრუვიუსის ციტირება, რასაც ავტორე-
ბი მიმართავენ კოლხურ ნაგებობებთან, მათ შორის ბრინჯაოს ხანის
კონსტრუქციებთან და მათ თავისებურებათა გარკვევასთან დაკავ-
შირებით, პრინციპში სავსებით დასაშვებია. კოლხური კულტურა
ძალზე ხანგრძლივად ინარჩუნებს უძველეს ტრადიციებს, განსა-
კუთრებით ყოფაში დამკვიდრებულ წესებს. ადრეული ანტიკური
ხანის ნამოსახლარ ძეგლებზე გვხვდება არა მარტო ბრინჯაოს ხა-
ნის ძველი პერიოდებიდან მომდინარე ცალკეული ელემენტების
შემნე კერამიკა. ვამჩნევთ ასეთივე ძველი ტრადიციების მქონე
(და ადრეულთან კიდევ უფრო მეტად მსგავს) საცხოვრებ-
ლებს თუ სხვა ნაგებობებს (ნახანძრალი ნაშთები). ესაა, ძაგლი-
თად, თიხით შელესილი ძელური, თუ ხის ნაგებობები აღნიშნული
ხანის მუხურჩის ნამოსახლარიდან („კეკელურ ზუგასთან“), რომ-
ლებიც უძველესი წესით იყო ნაგები და გაწყობილი, ხელოვნურად
მოზვინულ თუ ბუნებრივად შემაღლებულ თიხნარზე იღვა მასში
ჩალრმავებული ძირით. ამავე ხანისათვის, როგორც ვიცით, დამო-
წმებულია ჯარგვლური წყობის კედლებიანი ნაგებობა (ნამოსახლა-
რი „სიმაგრე“). მუხურჩის ხსენებულ ნამოსახლარზე მრავლადაა
ნაპოვნი ისეთივე ხელსაფქვავები, მრგვალი ბრტყელი საცხობი ქვი-
ბი და სხვა საყოფაცხოვრებო საგნები, როგორიც ნამოსახლარი

ბორცვების კულტურულ ფენებში. ასე რომ, იმ ისტორიულ პერი-
ოდამდეც, რომელსაც ვიტრუვიუსის ცნობა ეხება, სავსებით შესა-
ძლებელია უძველესი ტრადიციების მქონე სამშენებლო ტექნიკის
მოღწევა. გარკვეულ ტრადიციად ისახება თვით ხანძრის სისტემა-
ტური მოქმედება, ცხადია, თუ მას საზოგადოებრივი კომფლიქტე-
ბისა და ძალდატანების შედეგად წარმოშობილ მოვლენად არ მი-
ვიჩნევთ /იხ. ქვემოთ/.

მაგრამ მეორე მხრივ, არც ის შეიძლება ვიფიქროთ, რომ „ვი-
ტრუვიუსის კოლხური სახლი“ საყოველთაო მოდელია და კოლ-
ხეთში ადრეულ, თუ გვიანდელ პერიოდებში განსხვავებული ვარი-
ანტები არ არსებობდა საერთო კონსტრუქციისა თუ დეტალების
მხრივ. როგორც ვთქვით, ჩვენს ძეგლებზე დასტურდება როგორც
მორების და ძელების წყობით, ისე წნელებით ნაგები (წნული) სა-
ხლების არსებობა.

არქიტექტორი ვ. გაგოშიძე, რომელმაც ადგილზე შეისწავლა
ნოსირის ნამოსახლარის ნაგებობათა ძელური წყობები, მიიჩნევს,
რომ „ვიტრუვიუსის კოლხური სახლის“ რეკონსტრუქციის ზოგიერ-
თი ვარიანტი (ვ. გაგოშიძისა და გ. ლეუავას მიერ შემოთავაზებუ-
ლი), აგრეთვე ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეზე დამოწმე-
ბული სახლები („კუშტარა“ აჭარიდან და სოფ. მთის-კალთის
სახლი ზემო რაჭიდან) იდენტურია მორებიანი უძველესი კოლხური
საცხოვრებელი სახლისა, რომელსაც აშენებდნენ უსრული ჭდობით
(с връбками с остатком). უძველეს ხანაში ამ ტექნიკის დადას-
ტურებას ავტორი ცდილობს ნოსირის ბორცვის სუბსტრუქციული
ხასიათის ხის ნაგებობების (თიხაზვინულის საყრდენი სისტემის) მა-
გალითზე⁷⁶.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაგებობა სახლს არ წარმოადგენდა
(ავტორი მას სახლად თვლის მაშინდელი საერთო მონაცემების
უსრულობის გამო), ასეთი ჭდობის ანუ ძელის თავთან მის ქვედა
მხარეს გაკეთებული ამონაჭერის საშუალებით ძელების კუთხურად
დაკავშირება და ერთმანეთზე დამაგრება მართლაც შეიძლება და-
დასტურდეს (ერთ შემთხვევაში თითქოს ჩანს სქელ მორებზე—ტაბ.
7,1), თუ გავიზიარებთ ავტორის ახსნას, რომ დროთა განმავლობაში
ამ ამონაჭრის მოხაზულობა ხის სიძველის გამო გაქრა და მის არეში
უფრო მეტი ღია ადგილი შეიქმნა. მაგრამ ეს ყველგან არ ჩანს, გან-
საკუთრებით კარგად შემონახულ ვიწრო ძელებზე, რომელთა სი-
მრგვალე მოწმობს წყობის არსებობას ყოველგვარი ჭდობის გარეშე.

ცხადია, რომ ყველა ამ სახის არასრული მონაცემის და დეტალის ახსნა გაძნელდება თუ არ გავითვალისწინებთ საკვლევი ძეგლების საერთო ხასიათსა და ცალკეულ პერიოდში არსებულ სიტუაციას. თუმცა, საერთოდ, როგორც ცნობილია, ყველა არქეოლოგიური ძეგლის ხასიათის გარკვევა კონკრეტული და დეტალური ფაქტების განზოგადებით ხდება. მოვლენების ქრონოლოგიურ ას-კექტოან ერთად, მიუხედავად საერთო ტრადიციებისა, ყურადღებას იქცევს ლოკალური თავისებურებებიც.

ჩვენ ვხედავთ, რომ კოლხეთის დაბლობის ძეგლებისათვის ჩვეულებრივად დამახასიათებელია თიხაზვინულების სხვადასხვა სისტემა, როგორც სამოსახლოს ხელოვნური სუბსტრატი. თუმცა, შეიძლება, რომ იგი ყველგან და ყოველთვის ერთნაირად არ იყოს გამოხატული. ჩანს, რომ დიდი თიხაზვინული ქმნიდა სამოსახლოს ცენტრს და შესაძლებლობისდაგვარად იგებოდა ბუნებრივად შემაღლებულ ადგილას. ნოსირისა და მუხურის ძეგლებს გარდა („ნოსირის ბორცვი“, „კეკელური ზუგა“, „ნაჭვის ზუგა“) გრუნტის ასეთ შემაღლებას მოწმობს ნაოზვამუს ბორცვიც, რაზედაც მიუთითებდა ბ. კუფტინი⁷⁷. მის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიც⁷⁸ და გ. ნიორაძის მიერ ჩატარებული გათხრების შედეგების პუბლიკაციაც⁷⁹ მოწმობს, რომ ნაოზვამუზე გრუნტისზედა შემაღლებას წარმოადგენდა ხელოვნური თიხაზვინული, რომელიც, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდი მოცულობისა იყო და დაახლ. სამოსახლოს ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა. ამისდა მიხედვით, თიხაზვინულზე დაფენებულ კულტურულ ფენებს ზოგადად ნაპირებისკენ დაქანებული მდებარეობა ჰქონდათ. მაგრამ როგორც სამოსახლოს თავდაპირველი სუბსტრატისა, თუ მისი განმსაზღვრელი ხელოვნური ნაგებობისათვის, ავტორებს ამ თიხნარიანი შემაღლებისათვის ხაზი არ გაუსვამთ. ცხადია, რომ ამ საკითხის გარკვევის სიძნელეს ქმნიდა როგორც ნაოზვამუს, ისე სხვა მსგავსი ძეგლების არქეოლოგიური შესწავლის მცირე მასშტაბები.

ნოსირი-მუხურის ბორცვი-ნამოსახლარები იძლევა ამგვარი მოვლენის განზოგადებისა და ინტერპრეტაციის ცდის საშუალებას, როგორც ჩანს, ნოსირის ბორცვის დიდი თიხაზვინული და მისი საყრდენი მძლავრი ძელური სუბსტრუქცია, რომლებიც თავდაპირველ ან აღრეულ ნაგებობას წარმოადგენდა, განსაზღვრავდა დასახლების ხასიათს — განსახლებას, სამეურნეო სათავსოთა და ობიექტთა განლაგებას, გეგმარებას, მათი მოწყობის ხასიათს, სამშენებლო

ტექნიკას და სამშენებლო მასალებს. საკმაოდ მძლავრი თიხაზვინული (ნაპირებისკენ მნიშვნელოვნად ქვანარევი) დასტურდება „ნაჭვის ზუგაზეც“ კულტურული დაფენების ქვეშ, თუმცა მისი სრული სახე ჯერ ჩვენ გარკვეული არ გვაქვს. „კეკელურ ზუგაზე“ ბორცვის ცენტრის მახლობლად სიღრმეზე დადასტურდა კულტურული დაფენებები თუ მათი ნაშთები. მაგრამ ნაზვინი თიხის სქელი ფენები იქაც არსებობდა. რამდენადაც ცენტრალურ ნაწილში, განსაკუთრებით საკუთრივ ცენტრში გრუნტამდე დაღრმავებული არ ვართ (რაიმე მნიშვნელოვან ფართობზე მაინც), ჩვენ ვერაფერს ვიტყვით არსებობდა თუ არა ბორცვის თავამდე შემაღლებული მთლიანი თიხაზვინული (როგორც აქ, ისე „ნაჭვის ზუგაზე“ ბორცვის თხეში თავისუფალი ჩანს კულტურული ფენისაგან). „კეკელურ ზუგაზე“, არც რაიმე საყრდენი ძელური წყობა ჩანს. მაგრამ მომავალში ხის ნაგებობის მოკვლევაც არ უნდა იყოს გამორიცხული, თუ დავუმ-ვებთ ვარაუდს, რომ თავდაპირველი ზვინული შედარებით მცირე მოცულობისა იყო, ანდა დიდ თიხაზვინულს რამდენადმე ექსცენტ-რული მდებარეობა აქვს თანამედროვე ბორცვის ტოპოგრაფიულ ცენტრთან შეფარდებით, როგორც ამას ნოსირის ბორცვზე ჰქონდა ადგილი. თუმცა, „კეკელური ზუგა“ ზედაპირულად საკმაო შემაღლებისაა (3 მ) და უფრო სწორწრიული, თანაბრად ამოპურცული მოყვანილობა აქვს.

თიხით ნაგები ხელოვნური ბორცვის (ისე როგორც სქელ ფენად დაზვინული თიხნარის) უმთავრეს დანიშნულებას, კოლხეთის დაბლობის კლიმატურ პირობებში, ალბათ წარმოადგენდა მოსახლობის, პირველ რიგში საცხოვრებელი სათავსოების დაცვა წყლის მოძალებისა და სინესტისაგან. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დიდ თიხაზვინულზე უმთავრესად საცხოვრებელი ნაგებობები იყო განლაგებული. ამიტომ, მიუხედავად ვარაუდისა, რომ ძვ. წ. II ათას-წლეულის პირველ ნახევარში კოლხეთში შეიძლებოდა არსებული-ყო ქსეროთერმული კლიმატი, რასაც ბ. კუფტინი უშვებდა, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მოსახლეობას მაინც დიდი შრომა და ბრძოლა უხდებოდა სიმშრალის შესაქმნელად და დასაცავად. მეორე მხრივ, ასეთი შემაღლება ქმნიდა ნაგებობათა ძირის ჩაღრმავებისა და მათი ტერასულად განლაგების შესაძლებლობას, რაც აუმჯობესებდა სხვა სტიქიური მოვლენებისაგან თავდაცვას, ქმნიდა დასახლების კომპ-აქტურობას, იძლეოდა სამშენებლო ეკონომიას და სხვ.

წყლისა და სინესტისაგან თავდასაცავად უთუოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა საღრენაუო თუ პიდროსაიზოლაციო საშუალებები. რო-

გორც ცნობილია, ადასტურებენ ან ვარაუდობენ კოლხეთის სამო-
სახლო ბორცვების გარშემო ირგვლივი თხრილების არსებობას, რო-
მელთაც ალბათ წყალსაწრეტი დანიშნულებაც ჰქონდა. წვენ არ
გვქონდა საშუალება ბორცვების გარშემო მნიშვნელოვანი ფართობი
შეგვესწავლა ამ თვალსაზრისით. მაგრამ რამდენიმე „შემოხვევა“ში
ბორცვის პერიფერიების მცირე მონაკვეთებზე შევნიშნეთ ჩაღრმა-
ვები გრუნტში, მაგ., „კეკელური ზუგას“ O—W თხრილის ბო-
ლოზე და ნოსირის ბორცვის ჩრდ. ნაპირთან, № 1 და № 4 თხრილე-
ბის შეერთებაზე, სადაც (შეერთებასთან) ჩაღრმავების (ძველი თხრი-
ლის) შიდა ნაპირი და მის გასწვრივ დაწყობილი ძელები შემაგრებუ-
ლი იყო ირიბად ჩასობილი მოკლე ნიმინჯებით (ტაბ. 18, 1,2). ვფიქ-
რობთ, გრუნტისეული თუ ნიადაგისეული სისველის საწინააღმდეგო
და მყარი ფუძე-საყრდენის დანიშნულება ჰქონდა. სხვადასხვა წყო-
ბის ძელებს, სოლებს, ხის წვრილ ნათალ ნაფოტებს თუ ბურბუ-
შელას, ხმელ მცენარეულ მასას, მცენარეულ (ფოთლებისა და წვრი-
ლი ტოტების) საფენებს, ქანისებური მასის გროვებს, წვრილ რიყის
ქვას და კენჭებს, რომლებიც მრავლად გვხვდებოდა და უკეთ იყო
შემონახული ნოსირის ბორცვის ღრმა დონეებზე. აღნიშნული თვალ-
საზრისით ეფექტურად გამოიყურება აგურისებური ვადაწმვარი
ბათქაშის ნატეხები და მათი გროვები, რომელთა სიმრავლეს მძლავ-
რი ხანძარი ქმნიდა. ასეთ ხანძარს კი შეიძლება ზოგჯერ ვანზრახაც
ახდენდნენ დაძველებული ნაგებობების გასაუქმებლად, თუმცა გამო-
რიცხული არა ხანძრის სხვა მიზეზებიც. აღსანიშნავია, რომ ხშირად
ბათქაშის ფენები და შრეები სპეციალურად გაფანტულ გადასწორე-
ბული გროვების შთაბეჭდილებას ტოვებენ. ალბათ ამის გამოც. ბათ-
ქაშიან დაფენებებს შორის ხშირად გვხვდება შერეული კულტუ-
რული ფენა, განსაკუთრებით დაფერდებული პლასტების ადგილას.

თითქოს ჩანს, რომ განსაკუთრებით მძლავრი ბათქაშიანი და
ნახშირიანი ფენები დიდი თიხაზვინულის არეში, მის კალთებზე ან
თიხის სქელ პლასტებზეა მოქცეული. ამიტომ, შეიძლება აქ ვივარაუ-
დოთ ნაგებობათა მეტი სიმძლავრე, სიმჭიდროვე და ა. შ. ნოსირის
ბორცვის ზოგიერთ ნაწილში რამდენადმე განსხვავებულ სურათს
ვხედავთ. როგორც აღვნიშნეთ, აქ დიდ თიხაზვინულს ჩრდ. და
სამხრ. მხარეს შედარებით მკვეთრი დაფერდება ჰქონდა (შეად. ტაბ.
16,1). და, როგორც ვიცით, თიხაზვინულის ჩრდ-ით (დიდი ქვა-
ბულის გარკვეულ ნაწილზე) მძლავრი ბათქაშიანი (II) კულტუ-
რული ფენა დაბალ დონზე იდო I ფენის ზემოთ, თიხის თხელ

ფენაზე, თუმცა იგი თიხაზვინულის თავზეც და ფერდზეც კრცელდებოდა. უფრო განაპირა ადგილებზე კი II ფენა ხანძრის კვალს არ ატარებდა. ამდენად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ პერიოდში ეს პერიფერიები წარმოადგენდა სამეურნეო დანიშნულების ადგილებს, სადაც ძირზე დაგებული ძელები უკეთ იყო შემონახული. მსგავსივე გეგმარება შეიძლება ვივარაუდოთ III კულტ-ფენისათვის (II ფენის ზემოთ) რომლის ხანძარსგარეშე პონაკვეთების განლაგება შეეფარდებოდა II ფენისას.

ნოსირის ბორცვის დიდ თიხაზვინულზე და მის კალთებზე რომ I კულტ. ფენის მნიშვნელოვანი ნაშთები აღმოგვეჩინა, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ზვინულსგარე დაბალ დონეებზე, მის ჩრდილოეთით (დიდი ქვაბულის ფართობზე) უფრო სამეურნეო ობიექტები სჭარბობდა; აქ ბევრია გრუნტზე თუ ნაყარზე (ადრე ღაფენებულ მიწაზე) დაგებული ძელები, ეზოსა თუ თავისუფალი ადგილებისათვის განკუთვნილი მოწყობილობები და სხვ. ეს შეიძლება ასევე იყოს, თუ დავუშვებთ, რომ თიხაზვინის არეში ეს ფენა მოხსნილია, განსაკუთრებით, თუ იგი აქ ნახანძრალი არ იყო და ჰიდროინოლაციისათვის გამოსადეგ გამომწვარ ბათქაშს არ შეიცავდა. დიდი ქვაბულის არეში ეს ფენა მძლავრი ხანძრის კვალს არ ატარებს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ აქ ხანძრის რაიმე ნიშანი არ არსებობდეს ნახშირის ცალკეული შრეების სახით, რომლებიც შეიძლება უპათქაშონ ხის ნაგებობის ან ფაცხისებური წნულის გადაწვის ნაშთი იყოს. დასაშვებია ის ვარაუდიც, რომ ნოსირის ბორცვის I კულტ. ფენის პერიოდში ამ სამოსახლოს თავდაპირველი ნაწილი სწორედ ქვაბულის არეში იყო, თუ გავითვალისწინებთ აქ მოპოვებული კერამიკის მეტი ნაწილის ყველაზე არქაულ სახეს. მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, ასახსნელი იქნება თიხაზვინულის ქვეშ რაიმე კულტ. ნაშთის არარსებობა და ბორცვის სხვა ნაწილებში I კულტურული ფენის არსებობა. ამ შემთხვევაში, ცხადია, პერიფერიებზე გამოვლენილი უადრესი ფენა, რომელსაც მასალის მიხედვით II ფენას ვერ მივაკუთვნებთ, I ფენის პერიოდის მოგვიანო საფეხურს მაინც უნდა განეკუთვნოს, როდესაც თიხაზვინული უკვე აგებული იყო და მის გარშემო (და ქვაბულის ჩრდ. მხარესაც) მოხდა პირვანდელი სამოსახლოს გაზრდა-გაფართოება. ადრინდელი და შედარებით მცირე სამოსახლოს არსებობის ვარაუდი ალბათ აგვისტინიდა სხვა-დასხვა ჩასიათის ნაგებობათა არსებობას ამ პატარა ფართობზე, მათ შორის საცხოვრებლი სახლისას (ოთხკუთხა ნაგებობა). ამ მონაკვე-თზე გამოვლენილი ძელების შესწავლამ, რომლებიც შედარებით

კარგად შემოინახა სველმა თიხნარმა და თიხანარევმა მიწამ, დაადგინა ხის სხვადსხვა ჭიში, მათ შორის კარგ სამშენებლო მასალად გამოსადევი — იფანი (კოპიტი), ტირიფი, მუხა, თელა და მურყანი (თხმელა)⁸⁰. ამავე ვარაუდს ეთანხმება ძველი თხრილის (ჩაღრმავების) არსებობა № 1 და № 4 თხრილების შეერთებაზე, რომლის ჩრდილ შემდეგში სამოსახლო გაფართოვდა და სხვ.

როგორც ვხედავთ, ნოსირის ბორცვის I ფენის თავისებურება სხვადსხვა ვარაუდის საშუალებას გვაძლევს. სხვადასხვა კულტ. ფენის მონაცემთა მიხედით შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ საკუთრივ ბორცვული დასახლება თავისი შინასამეურნეო საქმიანობით კომპაქტურია და ძირითადად მცირე ტერიტორიითაა შემოფარგლული, ალბათ შეესატყვისება დიდი ოჯახის ან გვარის ერთი ნაწილის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ გაერთიანებას.

ჩვენთვის უცნობია პირდაპირი მონაცემები ამ ხანის კოლექტის სამოსახლოებს გარეთ მათი მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შესახებ, მაგ., მიწათმოქმედებაზე, მეცნოველეობაზე თუ სხვა დარგებზე. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იმ ხანის მესაფერისად თითოეულ ასეთ კოლექტივს ინტენსიურად ჰქონდა ათვისებული ყველა ეკონომიკური საშუალება და სარგებლობდა მიმდებარე სამიწათმოქმედო ფართობითა თუ სავარგულით. საკმაოდ მაღალ დონეს მიღწეული ჩანს შინამრეწველობისა და ხელოსნობის დარგები, განსაკუთრებით თუ მაღალხარისხოვანი კერამიკის მიხედვით ციმსჭელებთ: ნოსირში, როგორც ითქვა, ადგილობრივ ვითარდება მეთუნეობა, მელითონეობა და შეიძლება სხვა დარგებიც. საურთოდ, მეთუნეობისა და კერამიკული ნაწარმის მაღალი ხარისხი, ზოგიერთ სხვა მახლობელ ძეგლთან შედარებით (კეკელური ზუგა, ნაჭვის ზუგა და სხვ.), მოწმობს აქ ამ დარგის გარკვეული (წამყვანი) საწარმოო ცენტრის არსებობას. ეს კი უნდა ნიშნავდეს, ხელოსნურ დარგში მაინც, ნატურალური მეურნეობიდან გამოსვლის ტენდენციის ჩასახვას. და უთუოდ ასეთი მოვლენა ედო საფუძვლად იმ ზოგად ერთგვაროვნებას, რასაც კოლხურმა კერამიკამ მიაღწია უკვე საკვლევი პერიოდის ადრეულ ეტაპზე. ამ მხრივ აღსანიშნავია უამრავი კერამიკული მასალის ტიპოლოგიური იდენტურობა მაქსიმალურად ურთიერთდაშორებული ისეთი ძეგლების ადრეული ფენებიდან, როგორიცაა, მაგ., ნოსირი, ანაკლიის დიხა გუძუბე და ქობულეთის ნამჭედური. მაგრამ საწარმოო ცენტრის მნიშვნელობა არ შეიძლება უკავშირდებოდეს მიკროლოკალურ რეგიონზე უფრო ფართო განსაზღვრას. როგორც ცნობილია, იმავე საწარმოო დარგების (მეთუ-

ნეობა, მელითონეობა) ადგილობრივ არსებობაზე მიუთითებს მონაცემები (კერამიკული შტამპი, ყალიბი) ჭალადიდის ზურგაღან და დიხა გუძუბე I-დან.

მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთის აღნიშნული ნასახლარები დიდ ფაქტობრივ მასალას იძლევა მრავალი საკითხის გასაშუქებლად, არსებობს ისეთი საკითხები, რომელთა ირგვლივ კერ არავითარი მონაცემი არ გამოჩენილა ან მცირე რამაა ცნობილი. ასეთებს ეკუთვნის, მაგ., განხილული კულტურის წარმოშობისა და მისი წინარე საფეხურების საკითხი. კოლხური კულტურის გენეზისისა და განვითარების, მისი შემქმნელი ხალხის ეთნიკური ვინაობის საკითხები, ისე როგორც კოლხური ბრინჯაოს საკითხი, დიდ პრობლემებს წარმოადგენს, რომელთაც მრავალმხრივი კვლევა სჭირდება.

КУЛЬТУРА ПОСЕЛЕНИЙ КОЛХИДЫ ЭПОХИ БРОНЗЫ И РАННЕГО ЖЕЛЕЗА

Резюме

Носири-Мухурчская археологическая экспедиция Государственного музея Грузии с 1967 г. ведет раскопочные работы в Цхакаевском и Гегечкорском районах. В 1967—1970 гг. экспедицией успешно руководил известный исследователь древней культуры Колхиды Д. Л. Коридзе, которому и принадлежат первоначальные хронологическое и другого характера определения раскопанных за этот период культурных слоев и соответствующих материалов.

Настоящая работа представляет полный отчет о раскопках поселений носири-мухурской группы, относящихся к эпохе бронзы и раннего железа. В ней делается попытка интерпретации соответствующих археологических данных, хотя выводы пока могут быть неполными и некоторые из них не совсем точными из-за сравнительной малочисленности исследованных памятников и объема раскопочных работ. Однако накопленный в течение ряда лет разнообразный материал требует его публикации в целом. Главное место в работе отведено Носирскому поселению.

Сопоставление наших памятников с аналогичными поселениями Колхидской низменности, исследованными другими экспедициями, дает возможность обобщения определенных данных и выявления отдельных особенностей рассматриваемой культуры.

*
* *

В 1967—1973 и 1976—1977 гг. исследовалось древнее поселение, расположенное на северной окраине сел. Третьего Носири, на левом берегу р. Техури, в 7—8 км к востоку от г. Цхакая. Культурные слои поселения в отдельных частях стратифицированы. Они относятся к разным историче-

ским периодам, начиная от среднебронзового, до ээлинистического включительно. Но лучше представлены слои бронзовой эпохи.

К началу археологических раскопок северная часть поселения уже была разрушена протекавшей здесь р. Техури (табл. 1). Наибольшая протяженность поселения, с северо-востока на юго-запад, достигает 150 м. Основной объект раскопок представлял искусственный холм площадью в 2000 м, образовавшийся в результате напластования культурных остатков. Он был расположен в метрах 40—50 от русла реки. Наибольшая высота от поверхности почвы (с южной стороны холма) достигала 1,7—1,8 м (табл. 8).

На холме выявлены 4 культурных слоя, некоторые со следами сильного пожарища. Три из них относятся к бронзовой эпохе (средняя и поздняя бронза), а четвертый, выявленный большей частью на перифериях, — к эпохе раннего железа. С последним слоем синхронизируется слой изученный у русла р. Техури (табл. 1, 4; 2; 16, 9).

Носирское поселение дает большой вещественный материал, стратифицированный в основной своей части. Оно представляет интерес и по деревянным сооружениям, имевшим обрубочные или плетеные из ветвей стены с глиняной обмазкой, или же по субструкции отдельных частей поселения.

В 1967 г. на холме были проведены раскопочные работы небольших масштабов. Они раскрыли общий характер холма. В том же году заложен большой раскоп у русла р. Техури (табл. 1, 4). Стратиграфия слоев здесь была установлена в следующем году. В большей части этой площадки культурные слои были перемешаны.

В 1968 г. в северной части холма (ближе к центру) раскопана площадь в 72 кв. м. Этот раскоп, имевший в плане четырехугольную форму (12×6 м), впоследствии постепенно расширялся раскопкой в северную сторону (табл. 10). В результате раскопок упомянутого года была установлена многослойность холма, добыт многочисленный материал. В нижнем слое выявлены остатки деревянного строения.

На прибрежном участке р. Техури (кв. СЕ 26—28, 36—38, 46—47) установлена стратиграфия культурных наслойний. В I (нижнем) и во II слоях выявлены остатки деревянных строений: в I слое — отдельные брусья и доски, во II слое — остатки мощного бревенчатого строения обрубочной кладки. Нижний слой, впоследствии синхронизированный нами с IV культурным слоем холма начала I тыс. до

н. э., содержал многочисленную канелированную керамику. В сев.-вост. части поселения были расчищены: остатки деревянного строения в виде кладки, составляющей фундамент, глинобитный пол и хозяйственные ямы у края русла реки (табл. 16, 10). А в сев.-зап. части поселения был изучен культурный слой на небольшом участке. Материалы этих участков должны относиться прибл. ко времени конца III слоя холма и начала «I разведочной площадки», т. е. к началу I тыс. до н. э.

В 1969 г. раскоп в средней и сев. частях холма был расширен еще на площади в 68 кв. м, т. е. на 17 квадратов (табл. 11; 12). В этом году было окончательно установлено наличие трех культурных слоев в данной части холма и выявлены отдельные строительные прослойки (уровни). В I (нижнем) слое были выявлены: бревенчатое основание четырехугольного строения и дугообразная двухколейная брусчатая кладка с северной его стороны и т. д. (табл. 3—4; 9).

В 1970 г. на Носирском холме раскопана площадь в 76 кв. м, 19 квадратов в два ряда (табл. 3). На западной периферии холма (траншея О—W1) был выявлен IV культурный слой.

В 1971—73 гг. центральная и южная части холма исследовались широкими траншеями N—SA (прибл. 22×4 м), N—SB (8×2 м) и (продолжением последней) N—SC (6×4 м). В центральной части культурный слой лежал на мощной желто-глинистой укладке толщиной в 2,5 м, возможно возведенной в начале жизни поселения. Укладка эта создавала искусственную холмообразную возвышенность, защищавшую жилье от влаги. Сама укладка опиралась на мощную обрубоочную бревенчатую кладку (табл. 5, 1, 2; 15—16). Предположительное отнесение этого сооружения к периоду I культурного слоя продиктовано тем фактом, что под ним не оказалось никаких остатков от культурного слоя. Дно всей толщи желтой стерильной глины и опорное деревянное сооружение обрубоочной кладки, вместе с подстилающим его растительным настилом (из листьев и веток) лежали непосредственно на черноглинистом или сероглинистом грунте. Древнейший же (I) культурный слой присутствует вокруг этого сооружения. Однако поверх укладки этот слой отсутствовал, а на его поверхности залегал II слой со следами пожарища. Здесь, в нижнем уровне культурного пласта были обнаружены отдельные керамические фрагменты типа керамики I слоя, что приводит нас к заключению, что соответствующий слой здесь имел небольшую мощность или же был снят до периода последующего, II культурного слоя. Последний залегал над

I слоем в других частях холма, где общий уровень залегания пластов опускался ниже уровня поверхности современной почвы и эти слои в основном хорошо выделялись друг от друга, благодаря присутствию во II слое мощных остатков пожарища, а также по некоторым другим признакам, как, напр., размежевающая желтоглинистая прослойка, тонкая прослойка обугленного растительного настила и др. III культурный слой отсутствовал или был снят в высокой части (на месте укладки, а в нижних участках обычно лежал над II слоем. IV же культурный слой, был выявлен в периферийных частях холма в виде мощного пласта — в южной стороне траншеи N-SA и N-SB (в 1970 г. он был частично выявлен в траншее O-W в зап. части холма). IV слой местами залегал над II слоем.

В южном конце траншеи N-SA, на ее дне был прорезан узкий раскоп (квадраты НЕ ОЗ, IE 13) (табл. 7,3), выявивший напластования I—II культурных слоев на значительной глубине (4,5 м от нулевого уровня, т. е. прибл. от вершины холма). II культурный слой здесь не выявлял следы пожара, как и на раскопанных нами позже крайних северных участках.

В 1976 г. после перерыва возобновились работы на Носирском холме (в 1974—75 гг. экспедиция была занята раскопками Мухурчского могильника и других памятников). Они продолжались и в 1977 г. Были изучены новые участки памятника. Это раскоп № 1 (участки А, В, С) в сев. части холма (табл. 9,1; 17; 18,1; 19,2); раскоп № 2 — в центральной части холма; раскоп в сев.-зап. части большой желтоглинистой укладки (табл. 5,3; 20); раскоп № 3, в южной части холма; раскоп № 4 в сев. части холма (табл. 19; 21); траншея O-W2 в вост. части холма и раскоп № 5 в продолжении этой траншеи к востоку. Были также возобновлены работы в траншее O-W1 (траншея O-W по раскопкам 1970 г.).

Стратиграфическое исследование поселения в последние годы дало целый ряд новых данных. На перифериях была установлена расчлененность и общая мощность I—III культурных слоев (раскопы № 1, № 5). Было фиксировано глубокое их залегание на соответствующих участках — до 4,85—5,50 м. Этому соответствовало общее наклонное залегание почти всех пластов от центра к периферии. Следовательно, центр первоначального поселения в виде большой глинистой укладки находился на естественно возвышенном месте. Культурные слои Носирского поселения дали богатый вещественный материал — керамику, каменные и костяные орудия, до-

машнюю утварь и хозяйственные предметы, некоторые металлические (медио-бронзовые) изделия и т. д.

*
* *

С 1974 г. экспедиция вела раскопки на жилом холме Кекелури Зуга, расположенным на зап. окраине сел. Мухурча (табл. 23—29). Общая его площадь составляла ок. 1200 кв. м. Высота равнялась 3 м. Ввиду такой возвышенности здесь раскопки казались более перспективными, чем на Носирском холме. К тому же, с западной стороны к холму примыкала свободная площадь. Первоначально на холме (на зап. его склоне) был заложен контрольный раскоп (8×2 м), доведенный до 1 м глубины. Раскоп выявил мощный слой краснoperежженою глиняной обмазки и остатки угля, большое количество керамических фрагментов, разные каменные и костяные предметы и т. д. Из-за занятости экспедиции другими объектами, в 1975—1976 гг. раскопки также в небольших масштабах коснулись Кекелури Зуга, а в 1977—1978 гг. вовсе не производились, продолжены были они в 1979—1980 гг. и получили более широкие масштабы.

Для раскопок был избран северо-западный сектор холма, раскопку которого мы предусматривали по возможности понижением всей площади, с получением вертикальных разрезов по диаметральным линиям О—W и N—S. Раскопки начались приблизительно от центра холма с постепенным расширением в пределах сектора. Снимался верхний культурный слой до стерильной желтоглинистой укладки, поверхность которой местами обнаруживала углубления или бугорки. Около центра поверхность эта находилась на глубине 0,35—0,40 м. Впоследствии (раскопки 1980 гг.) оказалось, что под верхним слоем и стерильным глинистым пластом шли культурные слои и прослойки, которые чередовались с такими же глинистыми пластами.


Всюду на раскапываемой площади был установлен слой со следами пожарища, содержащий краснoperежженые остатки глиняной обмазки и прослойки угля. Среди всего этого оказалось множество керамических фрагментов и других материалов. Одновременная раскопка большой площади с постепенным ее понижением дало возможность полностью выявить и зафиксировать в плане остатки сооружений. Нам кажется, что в углублениях на поверхности глинистой укладки можно угадать основание и дно террасообразно

расположенных строений полуземляночного типа (табл. 27). Подобная картина уже была известна с Носирского холма.

В указанном секторе Кекелури Зуга почти полностью был снят I (верхний) культурный слой.

В 1979 г. в нижней (периферийной) части холма и за его пределами была проведена траншея О—W вдоль южной линии сев.-зап. сектора. Затем (в 1980 г.) эта траншея была продолжена в восточную сторону, почти до центра холма (табл. 23,2; 24,1; 28; 29,3). В том же году была заложена траншея N—S, вдоль восточной линии сектора (табл. 25; 29,1,2). Это было вызвано, во-первых, необходимостью получения полных вертикальных разрезов по основным (диаметральным) линиям; во-вторых, наклонным залеганием культурных слоев, нередко получающих крутое, почти вертикальное положение. Последнее обстоятельство делает невозможным горизонтальное снятие какого-либо пласта земли. Поэтому, при снятии верхнего слоя в некоторой отдаленности от центра, уже на склоне холма, мы снимали землю ступенчато, а края углублений и бугорков вертикально прорезали (табл. 23,2,3). Тем самым создавалась возможность лишь приблизительного сохранения поверхности укладки для ее фиксации. Однако, при последующем углублении, когда дно раскопа оказывалось ниже уровня современной почвы, еще более усложнялись фиксация и послойное снятие пластов. в особенности на большой площади (действие воды, влаги и т. д.). Траншени несколько устраивали трудности.

Верхний культ. пласт кое-где проявлял слабые черты расслоения. В зап. части траншеи О—W выявлен лишь один мощный слой (табл. 28). Здесь и в сев. части траншеи N—S шурфами были достигнуты и проверены грунтовые глинистые пласти. Поверхность грунта тоже, по-видимому, поднимается к центру холма. Поселение возникло на возвышенном месте. У зап. края холма, на грани кв-ов ННО1—02, начинался и продолжался далее к западу культ. слой той же структуры, принадлежащий к поселению раннеантичного периода. В вост. части траншеи О—W замечались 4 культ. слоя (табл. 29,1,3), все со сладами пожарища, особо сильного в верхнем слое. Местами верхние слои (в местах прекращения нижних) были более наклонны. Ввиду трудности разграничения нижние слои мы обозначили общей номенклатурой: III—IV слои.



Жилой холм Начвис Зуга расположен в 2-х км к западу от сел. Мухурча. Диам. — 40 м, выс. — 4,5—5 м, площадь — 1500 кв.м (табл. 31; 32). Раскопки велись в 1981 г. в сев.-востч. секторе, в котором, ввиду крутизны склона, были заложены 4 траншеи (табл. 33). В них мы сохраняли ступенчатое понижение дна роскопа (табл. 30,1; 31). Затем в сев. стороне, с целью изучения площади в горизонтальном плане, были сняты и промежуточные полосы (табл. 31,2). По глубокой траншее N—S1 было установлено, что культ. слой (всего один мощный пласт) с пережженными остатками строений (уголь, глинян. штукатурка) лежит на большой глинистой укладке (выс. ок. 2,5 м), основание которой опускается на 1,5 м ниже уровня почвы (табл. 34—35). В целом культ. слой залегал наклонно к периферии холма. Планы построек кажутся четырехугольными, площ. 5×5; 6×6 кв. м.. В дальнейшем, изучение керамики, возможно, позволит заметить их возрастное различие по уровням.

Экспедиция проводила разведки и разведочные раскопки, выявила или частично изучила разновременные памятники. Из них следует упомянуть: жилой холм у сел. Геджети Цхакаевского р-на (1970, 1974 гг.) с двумя культ. слоями бронзовой эпохи (нижний со следами пожарища); предантичный культурный слой у местечка Нацисквили в сел. Мухурча (1975, 1981 гг.); остатки культ. слоев больших раннеантичных селищ у Кекелури Зуга (1975, 1980 гг.) и у Начвис Зуга (1981 г.).



Мухурческий могильник (1974, 1976 гг.), со сравнительно прочной хронологией, дает некоторые опорные данные при хронологическом изучении колхидских памятников. Образцы керамики из ранней группы могильника (VIII — первая полов. VII в. до н. э.) представляют типологическое продолжение каннелированной керамики IV горизонта Носири. Поэтому, этот последний, и соответствующие горизонты колхидских памятников, должны датироваться X—IX (или концом XI—IX) вв. до н. э. В керамике Носири наблюдается типологическая эволюция (табл. 37—45), в нижних слоях она более архаична. Абсолютный возраст I—III слоев Носирского холма в общих пределах II тыс. до н. э., мы пред-

